# ქართული ენა

# 12

სახელმძღვანელო გრიფირებულია
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

თბილისი 2013

Qartuli_Done-12_RVEULI _ 1

ქართული ენის მეთორმეტე დონის სახელმძღვანელო განკუთვნილია არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მოსწავლეებისათვის.

სახელმძღვანელოს კომპლექტი შედგება მოსწავლის წიგნის, მოსწავლის რვეულისა და მასწავლებლის წიგნისაგან კომპაქტ დისკთან ერთად.

სახელმძღვანელო შეიქმნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ სახელმწიფო პროგრამის „ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის“ ფარგლებში.

ავტორები: მაია მელიქიძე
თინათინ ცერაძე

რედაქტორები: ირმა ტაველიძე
დალი გვენცაძე-კაკაბაძე

მხატვარი: მაკა ჯებირაშვილი

ფოტოგრაფი: გელა ბედიანაშვილი

დიზაინერ - დამკაბადონებელი: თეონა კერესელიძე

© საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2013
© მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2013

# სარჩევი


პირველი ნაბიჯები .................... 4-36 გვ.

თემა 1 – ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲐ

1. სიმართლე და სამართალი .................... 37-48 გვ.
2. შერლოკ ჰოლმსი და მისი ისტორია .................... 49-51 გვ.
3. „ბასკომბის ველის საიდუმლოება“ .................... 51-62 გვ.

თემა 2 – ᲩᲕᲔᲜ ᲕᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲗ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲡ!

1. საზოგადოება და სახელმწიფო .................... 63-75 გვ.
2. ურთიერთობების ხელოვნება .................... 75-79 გვ.
3. ჩვენ ვირჩევთ, ისინი მართავენ! .................... 80-91 გვ.
4. წაკითხულის გააზრება .................... 92-93 გვ.

თემა 3 – ᲕᲘᲡᲬᲐᲕᲚᲝᲗ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲐᲓ!

1. კულტურათა დიალოგი .................... 94-105 გვ.
2. ტოლერანტობა .................... 106-115 გვ.
3. წაკითხულის გააზრება .................... 116-117 გვ.

# პირველი ნაბიჯები

## ცხოვრება ქუჩაში

**1. ფრჩხილებში მოცემული სიტყვებით შეავსე ტექსტში გამოტოვებული ადგილები და უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს. ყურადღება მიაქციე ფორმის სიზუსტეს.**

ისინი სხვადასხვა ______________ (*მიზეზი*) ხვდებიან ქუჩაში. ჯგუფ-ჯგუფად ცხოვრობენ ______________ (*ქუჩები*), ______________ ______________ (*მიტოვებული შენობები*), სკვერებში, ბაზრებისა და სადგურების ______________ (*ტერიტორია*)... მათ გარშემო სიბინძურე, სიცივე, უკიდურესი სილატაკე და ქაოსია. იქ უცხოა სიმყუდროვე და სიმშვიდე.

ისინი, ვინც ქუჩაში გადიან, ______________ (*საზოგადოება*) გაურბიან, ______________ (*ცხოვრება*) თავს არიდებენ. მათ დიდი აგრესია აქვთ ______________ ______________ (*საზოგადოება*) მიმართ, რადგან მიაჩნიათ, რომ ______________ (*ოჯახი*) ერთად ისინი თავად ______________ (*საზოგადოება*) გარიყა“.

ა. რატომ გადიან ბავშვები ქუჩაში? ______________

ბ. სად ცხოვრობენ ისინი? ______________

გ. როგორ გარემოში ცხოვრობენ ბავშვები? ______________

დ. რა ურთიერთობა აქვთ მათ საზოგადოებასთან? ______________

ე. რას ფიქრობენ ისინი საზოგადოების შესახებ? ______________

**2. დაუბრუნდი ტექსტს და შეასრულე მითითებები.**

ა. დააკონკრეტე ქუჩაში გასვლის მიზეზები მეწყვილესთან ერთად და გააცანი კლასელებს.

______________

ბ. ყურადღება მიაქციე კონტექსტს, განმარტე შენი სიტყვებით და გააცანი კლასელებს.

თავს არიდებენ, ანუ ______________

გარიყა, ანუ ______________

გ. წაიკითხე წინადადებები და დააკავშირე შესაბამის მნიშვნელობებთან.



Qartuli_Done-12_RVEULI _ 4

ა. ნაპირზე გატანა
ბ. ჩამოშორება, გაცალკევება

1. ზღვამ ნავი გარიყა. ____________________
2. მათ ახალი თანაკლასელი გარიყეს. ____________________

დ. დააკავშირე და ჩაწერე. წაიკითხე და შეადარე სხვების ვარიანტებს. დააზუსტე სისწორე მასწავლებელთან ერთად.

ა. თვალს არიდებს
ბ. თავს არიდებს

1. ცდილობს, არ შეეხოს; გაურბის: ____________________
2. ცდილობს, არ შეხედოს; არ უყურებს: ____________________

ე. რა არის „საზოგადოება“ და ვინ არიან მისი წევრები? როგორ ფიქრობ, ხარ თუ არა საზოგადოების წევრი?

**3. დაუბრუნდი ფორუმს (მოსწ. წიგნი, გვ. 5) და შეასრულე მითითებები.**

ა. ვინ არიან ფორუმის სტუმრები?

ბ. ვინ საუბრობს მიზეზებზე და რას ასახელებენ კონკრეტულად? მიუთითე სტუმარი და ჩაწერე მიზეზები მოკლედ.

1. ____________________
2. ____________________
3. ____________________
4. ____________________

გ. ვინ საუბრობს ქუჩის სისასტიკეზე? მიუთითე სტუმარი და დააკონკრეტე, რას გულისხმობენ ამ სისასტიკეში.

1. ____________________
2. ____________________
3. ____________________
4. ____________________
5. ____________________

დ. ვინ საუბრობს ამ ბავშვების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების შესახებ?

1. ____________________
2. ____________________
3. ____________________

ე. ვინ საუბრობს საზოგადოების მიმართ ბავშვების დამოკიდებულებების შესახებ?

1. ____________________

**1. დაუბრუნდი ფორუმს და განმარტე ხაზგასმული ფრაზები.**

როგორ გესმის?

ა. **რა ბედი ეწევათ,** ანუ: ______________________________

______________________________

ბ. **ამ სამყაროს ჩვენ ყოველდღიურად ვეხებით**, ანუ: ______________________________

______________________________

გ. **გვერდს ვუვლით**, ანუ: ______________________________

დ. **ძნელია, მოიპოვო მათი ნდობა**, ანუ: ______________________________

______________________________

ე. **ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან**, ანუ: ______________________________

______________________________

**2. დააკავშირე ერთმანეთთან და გადაწერე.**

| | | |
|---|---|---|
| ა. გვერდის | 1. გახდომა | ______________________________ |
| ბ. ნდობის | 2. ბრძოლა | ______________________________ |
| გ. სამყაროსთან | 3. ყურება | ______________________________ |
| დ. მსხვერპლად | 4. ავლა | ______________________________ |
| ე. განათლების | 5. მიღება | ______________________________ |
| ვ. თავისუფლებისათვის | 6. შეხება | ______________________________ |
| ზ. ზიზღით | 7. მოპოვება | ______________________________ |
| თ. უფლების | 8. დარღვევა | ______________________________ |

**3. აირჩიე და ჩაწერე სწორი ფორმა.**

ა. თავისუფლება ქუჩაში არ უნდა ____________________ (*მოძებნა / ეძებო / უძებნია*)

ბ. მათი ნდობა უნდა ____________________ (*მოიპოვე / მოუპოვებია / მოიპოვო*)

გ. რწმენა არ უნდა ____________________ (*დაკარგო / დაკარგა / დაუკარგავს*)

დ. პრობლემებს არ უნდა ____________________ (*გაქცევია / გაექცა / გაექცე*)

ე. ყურადღება უნდა ____________________ (*გამოიჩინა / გამოიჩინოს / გამოუ-ჩენია*)

ვ. მარტო შენს თავზე არ უნდა ____________________ (*ფიქრობ / ფიქრობდე / გიფიქრია*)

ზ. გამოსავალი უნდა ____________________ (იპოვა / უპოვია / იპოვოს)

თ. ძალადობის მსხვერპლი არ უნდა ____________________(*გახდეს / ხდება / გამხ-დარა*)

ი. შეცდომებს ყურადღება უნდა ____________________ (*მიგიქცევია / აქცევდე / მი-აქციო*)

**4. გაიხსენე ინფორმაცია და შემოხაზე სწორი პასუხი. 🎧 თავიდან მოისმინე და შეამოწმე.**

ა. რა მოხდა 1946 წლის 11 დეკემბერს?

- მიიღეს ბავშვის უფლებათა კონვენცია;
- შეიქმნა გაეროს ბავშვთა ფონდი;
- იუნისეფს მიენიჭა ნობელის პრემია მშვიდობის დარგში.

ბ. როდის მიიწვიეს საგანგებო სესიაზე ბავშვები?

- 1948 წელს;
- 1965 წელს;
- 2002 წელს.

გ. რა სტატუსით იყვნენ ბავშვები სესიაზე?

- ისინი მიიწვიეს, როგორც ოფიციალური წევრები;
- მიიწვიეს, როგორც დამკვირვებლები;
- სესია მოიწვიეს თვითონ ბავშვებმა.

დ. რისთვის მიენიჭა იუისეფს ნობელის პრემია?

- ბავშვთა კეთილდღეობისათვის შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის;
- 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ზრუნვისათვის;
- განსაკუთრებით, ქუჩის ბავშვთა უფლებების დაცვისათვის.

**5. დააკავშირე, როდის რა მოხდა.**

| | |
|---|---|
| 1946 წ. | იუნისეფმა მიიღო ნობელის პრემია; |
| 1948 წ. | შეიქმნა გაეროს ბავშვთა ფონდი; |
| 1965 წ. | იუნიეფმა მოიწვია საგანგებო სესია; |
| 2002 წ. | მიიღეს ბავშვის უფლებათა კონვენცია. |

**6. გადახაზე არასწორი შესიტყვებები.**

ა. ბავშვის უფლებათა კონვენცია
ბ. ბავშვის უფლებების ძალისხმევა
გ. ბავშვთა უფლებათა კონვენცია
დ. ბავშვთა უფლებათა დაცვა

**7. დააკავშირე ერთმანეთთან და გადაწერე.**

| | | |
|---|---|---|
| წვლილის | მიწვევა | ____________ |
| პრემიის | გაწევა | ____________ |
| ბავშვებზე | შეტანა | ____________ |
| სესიაზე | მინიჭება | ____________ |
| დახმარების | ზრუნვა | ____________ |

**1. გაასწორე ენობრივი შეცდომები და წაიკითხე.**

| შეცდომაა! | უნდა იყოს! |
|---|---|
| ა. მან ნობელის პრემია ბავშვთა კეთილდღეობის გამო შეტანილ წვლილზე აიღო.<br>ბ. თავისი ძირითადი საქმიანობაა ბავშვთა უფლებების დაცვა და კრიტიკულ სიტუაციებში მისთვის დახმარების მინიჭება. | |

**2. წაიკითხე განმარტებები და ჩაწერე, რა არის.**

*კეთილდღეობა წვლილი საზრუნავი*

ა. წილი, შენატანი; დამსახურება. ________________

ბ. საფიქრალი, სადარდებელი. ________________

გ. კარგი, ბედნიერი ცხოვრება. ________________

**3. გამოიყენე წინა დავალება და შეავსე გამოტოვებული ადგილები.**

ა. მისი ________________ ის იყო, რომ როგორმე პურის ფული ეშოვა.

ბ. მას უდიდესი ________________ აქვს შეტანილი საერთო საქმეში.

**4. მოძებნე ენობრივი შეცდომები და გაასწორე.**

| შეცდომაა! | უნდა იყოს! |
|---|---|
| იუნისეფი I-ლი ორგანიზაცია იყო, რომელმაც თანამშრომლობა გამოჩენილ ადამიანებში დაიწყო. 1954 წელს „თავისუფალ ელჩის“ წოდება პირველად ამერიკელ მსახიობს დანი კეის მიენიჭა. მას დაგვიანებით მიუერთდნენ ოდრი ჰეპბერნი და ამერიკელი მომღერალი, კომპოზიტორი და კინომსახიობი ჰარი ბელაფონტე. დღეს უკვე იუნისეფის კეთილი ნების ელჩის სია მრავალ ცნობილ და მსოფლიოში აღიარებულ ადამიანებს ითვლის. | |

**5. მოძებნე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა წინა დავალებში მოცემულ ტექტსში და ამოწერე.**

ა. შეთანხმებული მოქმედება, თანამოღვაწეობა. ________________

ბ. ცნობილი, სახელგანთქმული. ________________

**6. უპასუხე შეკითხვებს.**

ა. რა მოხდა 1954 წელს?

ბ. რით გამოირჩევა იუნისეფი სხვა ორგანიზაციებისაგან?

გ. ვინ იყო პირველი „თავისუფალი ელჩი“?

დ. შენი აზრით, რას საქმიანობენ კეთილი ნების ელჩები?

**7. გამოიყენე მოსწავლის წიგნში მოცემული ტექსტი (გვ. 7, დავალება №7) და დაადასტურე ან უარყავი მოცემული ინფორმაციები. დაასაბუთე შენი პოზიცია სათანადო ფრაზით.**

ა. პაატა ბურჭულაძის საქველმოქმედო ფონდიდან დახმარებას მსოფლიო დონის საოპერო მომღერლები იღებენ. ______________

**საიდან ჩანს?** ______________________________________________

______________________________________________

ბ. ანჯელინა ჯოლისათვის ყველაზე მნიშვნელოვან საქმეს სხვების სიცოცხლეზე ზრუნვა წარმოადგენს. ______________

**საიდან ჩანს?** ______________________________________________

______________________________________________

გ. მას მიაჩნია, რომ ბევრი შვილის ყოლა ხელს უშლის ადამიანს წარმატების მიღწევაში. ________

**საიდან ჩანს?** ______________________________________________

______________________________________________

დ. ცნობილ ფეხბურთელს, მესის, ძალიან მოსწონს, როცა აქებენ. ___________

**საიდან ჩანს?** ______________________________________________

______________________________________________

ე. მესი განსაკუთრებულ ყურადღებას ახალგაზრდა თაობის განათლებას ანიჭებს. ___ ________

**საიდან ჩანს?** ______________________________________________

______________________________________________

**8. გაიხსენე ინფორმაციები და მოცემული სიტყვების გამოყენებით აღადგინე კონტექსტი. შეავსე ცხრილის I სვეტი. წინადადებები გამართე ენობრივად.**

| | როგორ გახსოვს შენ? | როგორ არის ტექსტში? |
|---|---|---|
| **მზრუნველობამოკლებული ბავშვები** | | |
| **ცხელი წერტილები** | | |
| **ბავშვთა სახლები** | | |

**9. გამოიყენე წიგნი (გვ. 7) და შეავსე ცხრილის II სვეტი. შეადარე ეს წინადადებები ერთმანეთს და დაასახელე, რა დაემთხვა და რა – არა.**

**1. აირჩიე ერთ-ერთი კეთილი ნების ელჩი, მოიძიე დამატებითი ინფორმაცია მის შესახებ და გააცანი კლასელებს. მაგალითად,**

- ერთ-ერთი საინტერესო ისტორია მისი ცხოვრებიდან;
- უცნობი, გაუხმაურებელი დეტალი;
- სკანდალური ისტორია;
- რაიმე კურიოზი და ა.შ.

**2. გამოიყენე ყველა ნასწავლი ტექსტი და შეავსე სათანადო ინფორმაციით.**

**რა ორგანიზაციაა?** ______________________

**როდის შეიქმნა?** ______________________

**ჯილდო:** ______________________

______________________

**ორგანიზაციის საქმიანობა:** ______________________

**თანამშრომლობა ცნობილ ადამიანებთან (კეთილი ნების ელჩები):** ______________________

**მისი მთავარი საზრუნავი:** ______________________



Qartuli_Done-12_RVEULI _ 10

**3. შეადგინეთ შეკითხვები წინა დავალებაზე დაყრდნობით, დაუსვით ერთმანეთს და უპასუხეთ.**

**4. გამოიყენე სქემა და ისაუბრე იუნისეფისა და მისი კეთილი ნების ელჩების საქმიანობების შესახებ.**

ადამიანი და გარემო

**5. აირჩიე და ჩაწერე ყველა შესაძლო ვარიანტი.**

გაკეთება გაუარესება მიყენება შენარჩუნება გარკვევა მოგვარება

ა. ზიანის ___________________________

ბ. პრობლემის _____________________, _____________________, _____________________

გ. პირობების _____________________, _____________________, _____________________

დ. მოვლენის ___________________________

ე. არჩევანის _________________________

ვ. წონასწორობის ___________________________

**6. შეავსე წინადადებები და წაიკითხე. ყურადღება მიაქციე ფორმების სიზუსტეს.**

ა. ბიჭმა ძლივს შეინარჩუნა _________________________________.

ბ. გარემო ________________________ მკვეთრად გაუარესდა.

გ. მან სწორი არჩევანი _________________________.

დ. მისი __________________________ მარტივად მოგვარდა.

ე. ბიჭებმა თავიანთი ____________________________ გაარკვიეს.

**7. წაიკითხე განმარტებები და დააკავშირე მოცემულ სიტყვებთან.**

ნაგავსაყრელი კატასტროფა ნავთობი გარემო საწვავი ნარჩენი კრიზისი

ა. დედამიწის სივრცეში არსებული ბუნება, რომელშიც ადამიანები ცხოვრობენ. _____ _________________________________

ბ. თხევადი საწვავი ნივთიერება, რომელიც მიწის წიაღში მოიპოვება. ______________ ___________________

გ. რაიმე პროდუქციის გამოშვების შემდეგ დარჩენილი მასალა. _____________________

დ. მწვავე მდომარეობა. ____________________

ე. ნაგვის დასაყრელი სპეციალურად გამოყოფილი ადგილი. _______________________ __________________

ვ. თხევადი ნივთიერება, რომელსაც წვის უნარი აქვს, იწვის. _____________________

ზ. რაიმე უბედური შემთხვევა, ამბავი, რომელსაც მძიმე, საბედისწერო შედეგები მოსდევს. ___________________________

**1. გამოიყენე წინა დავალება და ჩაწერე ყველა შესაძლო ვარიანტი შესაბამისი ფორმით.**

ა. ____________, ____________ გამოწვევა
ბ. ____________ დაზიანება
გ. ____________ ჩაღვრა
დ. ____________ გაჟონვა
ე. ____________ გატანა

**2. გამოიყენე წიგნში მოცემული ტექსტები (გვ. 11) და შეასრულე დავალებები.**

ა. უპასუხე შეკითხვებს.
1. რა მოხდა 1978 წელს ატლანტის ოკეანეში?
2. რას მიაყენა ზიანი ჩაღვრილმა ნავთობმა?
3. რატომ მიიჩნევენ ამ ფაქტს ევროპის ისტორიაში უდიდეს ეკოლოგიურ კატასტროფად?
4. რა ვერსიები არსებობს ჩიტების უცნაურ დახოცვასთან დაკავშირებით?
5. რატომ უკავშირებენ მეცნიერები მათ დახოცვას კოსმოსურ ცდებს?
6. სად დაფიქსირდა პირველად ასეთი შემთხვევა?
7. რამდენად მასობრივ შემთხვევასთან გვაქვს საქმე?
8. რამ გამოიწვია ცუნამი იაპონიაში და რა მოჰყვა მას?
9. რატომ დააყენეს ფუკუშიმა ჩერნობილის გვერდით?
10. რა მოხდა ჩერნობილში?
11. რით არის შეშფოთებული დიუკის უნივერსიტეტის ბიოლოგი ლუკ დოლარი?
12. რა მოხდა ოჰაიოს შტატის ქალაქ ზეინსვილში?
13. რას წინასწარმეტყველებენ მეცნიერები?

ბ. დაწერე, რა არის თითოეული ტექსტის მთავარი სათქმელი. რის შესახებ იძლევა ის ინფორმაციას?

I. ____________
II. ____________
III. ____________
IV. ____________

გ. ამოწერე წამყვანი წინადადებები თითოეული ტექსტიდან, რომლებშიც გადმოცემულია ტექსტის მთავარი სათქმელი და წაიკითხე.

I. ____________
____________
II. ____________
____________
III. ____________
____________
IV. ____________
____________

**დ.** წაიკითხე და მონიშნე სათანადო უჯრები.

| | I ტექსტი | II ტექსტი | III ტექსტი | IV ტექსტი |
|---|---|---|---|---|
| 1. ავტორი საუბრობს მხოლოდ მომხდარ ფაქტებზე. | | | | |
| 2. ავტორი გადმოსცემს ფაქტს და გამოაქვს სათანადო დასკვნა. | | | | |
| 3. ავტორი სვამს პრობლემას, მოჰყავს ფაქტები და აფიქსირებს საკუთარ მოსაზრებას. | | | | |
| 4. ავტორი გადმოსცემს ფაქტებს, პოზიციებსა და დასკვნებს. | | | | |

ე. დაასათაურე მოცემული ტექსტები და გააცანი კლასელებს.

**3. წაიკითხე და შემოხაზე სწორი ვარიანტი. 🎧 თავიდან მოისმინე და შეამოწმე შენი დავალება.**

I. როდის იქცა ბიოლოგია წარმატებულ მეცნიერებად?

ა. XX ს-ის დასაწყისში;
ბ. XX ს-ის მეორე ნახევარში;
გ. XIX ს-ში.

II. როდიდან იღებს სათავეს თანამედროვე ბიოტექნოლოგია?

ა. XX ს-ის დასაწყისში;
ბ. XX ს-ის მეორე ნახევარში;
გ. XIX ს-ში.

III. რას გულისხმობს ბიოტექნოლოგია?

ა. საჭირო პროდუქტების მისაღებად ნებისმიერი ორგანიზმის გამოყენებას;
ბ. საჭირო პროდუქტების მისაღებად ცოცხალი ორგანიზმების გამოყენებას;
გ. საჭირო პროდუქტების მისაღებად ქიმიური ნივთიერებების გამოყენებას.

IV. ძირითადად, რაში გამოიყენება ბიოტექნოლოგიის მიღწევები?

ა. ახალი ტექნოლოგიების წარმოებაში;
ბ. მედიცინაში;
გ. მედიცინასა და სოფლის მეურნეობაში.

**1. გაეცანი განმარტებებს და დააკავშირე ისინი ქვემოთ მოცემულ წინადადებებთან. რომელი მნიშვნელობით არის გამოყენებული სიტყვა „იარაღი“ ცალკეულ შემთხვევაში? მიუწერე შესაბამისი ნომერი.**

იარაღი არის:

1. რაიმე სამუშაოს შესასრულებლად საჭირო საგანი, ხელსაწყო, ინსტრუმენტი (მიწის დასამუშავებელი იარაღი; სამეურნეო იარაღი, საწარმოო იარაღი (საკვების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ბინის, სათბობისა და სხვა შესაქმნელი საშუალებების)
2. ბრძოლისა და თავდაცვის საშუალება (თოფი, ზარბაზანი, ხმალი, ხანჯალი)
3. გადატ. რაიმე მიზნის მისაღწევი საშუალება, ღონისძიება;

ა. ცოდნა ჩემი იარაღია! __________

ბ. კუთხეში პატარა სახელოსნო გახსნა და სულ ახალთახალი იარაღი შეიტანა. ______

გ. ქირურგმა ჯერ ხელები დაიმუშავა, შემდეგ იარაღი აიღო და ოპერაციას შეუდგა. ________

დ. ჯარისკაცებმა იარაღს მოჰკიდეს ხელი და წინა ხაზზე გაიჭრნენ. __________

ე. მე ჩემი სიმართლით ვიბრძვი, სიმართლე უძლიერესი იარაღია! ________

ვ. აიღო საჭირო იარაღები და არხის თხრა დაიწყო. _________

ზ. წამოიღე იარაღები და ბაღში წავიდეთ! ________

თ. ელექტრიკოსმა იარაღები აიღო და ბოძზე აძვრა. _________

**2. დააკავშირე ერთმანეთთან.**

*შეიარაღდება / ბრძოლას თავს დაანებებს*

იარაღს აისხამს, ანუ ______________________________

იარაღს დაყრის, ანუ ______________________________

**3. განმარტე, როგორ გესმის:**

*თავიდან ფეხებამდე (კბილებამდე) იარაღში ჩამჯდარი, შეიარაღებული.*

**4. შეავსე ტექსტში გამოტოვებული ადგილები და შეასრულე მოცემული დავალებები.**

*მისი იარაღს ის იარაღის იარაღად*

*ბიოლოგიურ ომში ____________, როგორც წესი, ვირუსებს, ბაქტერიებს, სოკოებსა და მწერებს გამოიყენებენ. ბიოლოგიური ____________ შესაძლებლობები თვით ყველაზე უბოროტესს ტერორისტებსაც კი შიშის ზარს სცემს. ____________ ძალა, სხვებიდან განსხვავებით, უკონტროლოა. ბიოლოგიურ ____________ არ აქვს საზღვრები. ____________ სხვადასხვა გზებით ვრცელდება: ასაფეთქებელი საშუალებებით, აეროზოლის სახით ჰაერში გაბნევით, კვებაში ან სმაში მისი მოხვედრითა და, აგრეთვე, მწერების გზით.*

I. გაასწორე ტექსტში დაშვებული ენობრივი შეცდომები.

| შეცდომაა: | უნდა იყოს: |
|---|---|
| | |

II. მოძებნე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები და ამოწერე.

ა. აშინებს. ____________________

ბ. როცა ვერ შეამოწმებ, მეთვალყურეობას ვერ გაუწევ. ____________________

გ. ხაზი, რომელიც ორ ადგილს, ორ ტერიტორიას ერთმანეთისაგან ჰყოფს. ____________________

დ. საშუალება, ხერხი. ____________________

ე. გაფანტვა, გავრცელება. ____________________

III. გაიხსენე სრული ინფორმაცია ბიოლოგიური ომისა და იარაღის შესახებ და უპასუხე შეკითხვებს.

ა. რას უწოდებენ ბიოლოგიურ იარაღს სხვაგვარად და რატომ?

ბ. რა არის კონკრეტული ბიოლოგიური იარაღის მიზანი?

გ. გარდა ადამიანების განადგურებისა, კიდევ რა მიზანი აქვს ბიოლოგიურ ომს?

IV. დაუბრუნდი ტექსტს მოსწავლის წიგნში (გვ. 13) და შეამოწმე შენი პასუხები.

V. დაუსვით ერთმანეთს კითხვები ტექსტის გარშემო და უპასუხეთ.

**5. დააკავშირე ერთმანეთთან და გადაწერე.**

| | | |
|---|---|---|
| ჰაერში | გადატანა | ____________________ |
| საკვებში | მოწამვლა | ____________________ |
| ინფექციის | გაბნევა | ____________________ |
| მოსახლეობის | მოხვედრა | ____________________ |

**6. გაეცანი მოცემულ მითითებებს და, საჭიროებისამებრ, ბიოლოგიის მასწავლებლის დახმარებით მოამზადე პროექტი – „საკვები დანამატები“.**

I. პირველ რიგში, მოიძიე ინფორმაცია საკვები დანამატების შესახებ და შეადგინე შესაბამისი საგნის მასწავლებლის დახმარებით საკვები დანამატების ცხრილი.

II. შეაგროვე შენ მიერ მოხმარებული საკვები პროდუქტების ეტიკეტები და დაახარისხე შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ა. ეტიკეტები, რომლებზედაც კონკრეტულად არის მითითებული, რომელი ემულგატორები შედის პროდუქტის შემადგენლობაში;

ბ. ეტიკეტები, რომლებზედაც მხოლოდ ზოგადად არის აღნიშნული, რომ ის შეიცავს ემულგატორებს.

გ. ეტიკეტები, რომლებიც ამ მხრივ საერთოდ არ იძლევა ინფორმაციას.



Qartuli_Done-12_RVEULI _ 15

III. დაუბრუნდი პირველი ტიპის ეტიკეტებს (ა) და მოსწავლის წიგნში მოცემული ცხრილის დახმარებით გაარკვიე, რომელ საკვებ დანამატებს შეიცავენ ისინი.

IV. გამოკვეთე, არის თუ არა მათ შორის ორგანიზმისათვის საშიში ნივთიერებები და დააზუსტე ისინი.

V. გააანალიზე და გააცანი კლასელებს. მიუთითე პროდუქტი და შესაბამისი შემადგენელი ნივთიერება.

| ვიცი, რას ვჭამ | არ ვიცი, რას ვჭამ |
|---|---|
| უსაფრთხო: | |
| ნაკლებად საშიში: | |
| საშიში: | |
| ძალიან საშიში: | |
| და ა.შ. | |

**1. რას ნიშნავს სიტყვა „ბუნება“? განმარტე და მიუთითე, შენი აზრით, რა მნიშვნელობებით იხმარება ის ენაში. დაასაბუთე შენი პოზიცია კონკრეტული მაგალითებით.**

**ა.** იხმარება მხოლოდ ერთი მნიშვნელობით;

**ბ.** იხმარება სხვადასხვა მნიშვნელობით.

**2. წაიკითხე განმარტებები და შეამოწმე შენი ვერსია. დააკავშირე ისინი მოცემულ წინადადებებთან. ჩაწერე შესაბამისი განმარტების ნომერი.**

„ბუნება“ არის:

I. *რეალურად არსებული სამყარო (დედამიწა, ჰაერი, წყალი, ცის სხეულები, მცენარეები, ცხოველები);*

II. *რისამე არსი, ძირითადი თვისება; ხასიათი, ზნე.*

**ა.** „ო, რა ლამაზად იღვიძებს ბუნება მიძინებული!“ ___________

**ბ.** გიორგი სულ სხვა ბუნების ადამიანია. ___________

**გ.** ბუნებით მშვიდი იყო, მაგრამ ზოგჯერ გაფიცხებაც იცოდა. __________

**დ.** დაბნელდა. ბუნება დასაძინებლად მოემზადა. __________

**ე.** არაჩვეულებრივი ბუნება იყო, მსგავსი სილამაზე არსად მინახავს! __________

**ვ.** დიდი კატები ველური ბუნების „შვილები“ არიან. ___________

**ზ.** „ადრე ბუნება ემუქრებოდა ადამიანს, ახლა ადამიანი ემუქრება ბუნებას!“ _________

**3. წაიკითხე და დააკავშირე ერთმანეთთან.**

| | |
|---|---|
| 1. ბუნების წიაღში | **ა.** ბუნებაში არსებული შეუცნობელი უნარი |
| 2. ბუნების შვილები | **ბ.** ცის ქვეშ (ტყეში, მთაში, მინდორში...) |
| 3. ბუნების სამყარო | **გ.** ბუნებრივ გარემოში მცხოვრები, ცივილიზაციისაგან თავისუფალი ადამიანები |
| 4. ბუნების ძალა | **დ.** ბუნება მთელი თავისი მრავალფეროვნებით |

1. __________ 2. __________ 3. _________ 4. __________

**4. გადაახარისხე მოცემული სიტყვები.**

ქათამი ასტეროიდი ადამიანი ხე აისბერგი ქვა ხე სოკო ჰაერი
ბაქტერია არწივი კლდე ვეფხვი მარსი ყვავილი ჩანჩქერი
თევზი ღრუბელი ნისლი ჭიამაია აისბერგი ვარსკვლავი

**5. ცოცხალი ბუნებრივი სხეული:** ____________________

____________________

____________________

**6. არაცოცხალი ბუნებრივი სხეული:** ____________________

____________________

____________________

**7. წაიკითხე მოცემული ინფორმაცია და შეასრულე მითითებები.**

*„დედამიწაზე არსებული ყველა ბუნებრივი სხეული ნივთიერებებისაგან შედგება. ნივთიერებების უმრავლესობა თხევადი, აირადი (გაზობრივი) და მყარი ნივთიერებების სახით არსებობს."'*

ა. დაუბრუნდი წინა დავალებას და იქ მოცემული ბუნებრივი სხეულები გაანაწილე შესაბამისი კრიტერიუმებით:

**თხევადი:** ____________________

**აირადი:** ____________________

**მყარი:** ____________________

____________________

ბ. დაამატე, კიდევ რომელი თხევადი ნივთიერებები იცი.

გ. დაასახელე ნივთიერება, რომელიც სამივე მდგომარეობაში არსებობს. __________

დ. წაიკითხე და გაარკვიე, როგორი სხეულია. ჩაწერე მითითებული სიტყვები.

თხევადი აირადი მყარი

- ინარჩუნებს ფორმას. __________
- ხშირად მისი დანახვა შეუძლებელია. __________
- ზემოქმედებისას იცვლის ფორმას. __________
- მიედინება. __________
- ვრცელდება ჰაერში. __________
- იღვრება. __________
- ის შეიძლება გატყდეს. __________

**1. გაიხსენე მოსმენილი ინფორმაცია და შეასრულე მითითებები.**

ა. უპასუხე შეკითხვებს.

- რა მოხდა 1972 წელს სტოკჰოლმში?
- ვინ იყო ამის ინიციატორი?
- რით არის იაპონია ყველაზე წარმატებული ქვეყანა?
- როდის აღნიშნავენ გარემოს დაცვის მსოფლიო დღეს?

ბ. გაიხსენე, რას შეახსენებს გაერო ადამიანებს და შეავსე გამოტოვებული ადგილები.

*„ადამიანებს უჭირთ იმის გაგება, რომ რაღაც ________________________, თუმცა, როცა მეზობელ ქვეყანაში ________________________ აბობოქრდება ხოლმე, მაშინვე აგონდებათ ________________________.*

*შესაძლებელია, ეს ერთადერთია, რაც ყველა ______________________________________________________________________________________________________________.*

გ. 🎧 მოისმინე თავიდან და შეამოწმე შენი ნაწერი.

დ. დაუბრუნდი გაეროს მიერ ნათქვამ სიტყვებს და უპასუხე შეკითხვებს.

- რის გაგება უჭირთ ადამიანებს?
- რა არის ის „რაღაც“, რაც ადამიანებს აერთიანებთ? დაასაბუთე პასუხი ტექსტის მიხედვით.
- როგორ გესმის სიტყვა „აბობოქრდება“?
- გაიხსენე, სად და როდის აბობოქრდა ბუნება ბოლოს და რაში გამოიხატა ეს.
- შენ თუ გახსოვს გარემო და რას აკეთებ მის დასაცავად?

ე. ეთანხმები თუ არა სიტყვებს: *„შესაძლებელია, ბუნება ერთადერთია, რაც ყველა ქვეყანასა და ყველა კულტურას აერთიანებს“.*

დაადასტურე ან უარყავი მოცემული დებულება სათანადო არგუმენტებით.

**გაითვალისწინე!**

- მოიყვანე სათანადო ფაქტები, ანალოგიები, მაგალითები.
- შეეცადე, შენ მიერ მოყვანილი არგუმენტებით თანაკლასელებში გამოიწვიო გარკვეული ემოციები.

**2. გაიხსენე ტექსტი (მოსწ. წიგნი, გვ. 16) და შემოხაზე სწორი ვარიანტები.**

ა. გარკვეული სახეობების გადაშენება:

- ბუნებრივი პროცესია;
- ადამიანების ბუნებასთან არასწორი ურთიერთობების შედეგია;
- ეკოლოგიური კატასტროფის მიზეზია.

ბ. ბრაკონიერები:

- აბინძურებენ გარემოს;
- ანადგურებენ ფლორასა და ფაუნას;
- არ იცავენ ნადირობის, თევზაობის წესებს.

გ. ბიოლოგების აზრით:

- დედამიწის ფლორა და ფაუნა სერიოზული საფრთხის წინაშე დგას;
- ადამიანები გადაარჩენენ გაქრობის წინაშე მდგარ ცოცხალ ორგანიზმებს;
- ბუნება თავად იზრუნებს საკუთარი თავის გადასარჩენად.

**3. გაიხსენე ტექსტი და შეასრულე მოცემული მითითებები.**

ა. მოძებნე ტექსტში მცდარი ინფორმაცია და გაასწორე.

*მეცნიერები დამაიმედებელ განცხადებებს აკეთებენ: მსოფლიოს ყველაზე ცხელი წერტილებიდან თანდათან ქრებიან მცენარეთა და ცხოველთა გარკვეული სახეობები. თუ ასე გაგრძელდა, სავარაუდოდ, 10 წელიწადში საერთოდ გაქრება ქვეწარმავლებისა და მწერების ყველა სახეობა.*

*გასულ საუკუნეში მკვეთრად შემცირდა ლომების, ლეოპარდების, ავაზებისა და, განსაკუთრებით, ვეფხვების რაოდენობა. ორი ათწლეულის შემდეგ შეიძლება კვლავ გაიზარდოს დიდი კატების უმეტესობის რიცხვი.*

| მცდარია: | უნდა იყოს: |
|---|---|
| | |

ბ. თავიდან მოისმინე და შეამოწმე შენი ნაწერი.

გ. დაასაბუთე მოცემული ინფორმაცია ტექსტის მიხედვით.

საიდან ჩანს, რომ:

- პრობლემა სერიოზულია?
- პრობლემა მასობრივ ხასიათს ატარებს?
- მთელს მსოფლიოს ეხება?

დ. როგორია შენი პოზიცია ამ განცხადებასთან დაკავშირებით? ფიქრობ თუ არა, რომ მეცნიერთა შეშფოთება გაზვიადებულია? რას ემყარება მათი ვარაუდი? არის თუ არა ეს განცხადება საკმარისი და დამაჯერებელი შენთვის და რატომ? მეტი დამარწმულებლობისათვის რა აკლია მეცნიერთა არგუმენტებს?

1. **მოისმინე ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის ანალიზის შედეგები და ჩასვი გამოტოვებული ციფრები.**

გასული ნახევარი საუკუნისათვის ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის ანალიზმა შემდეგი სურათი აჩვენა:
- ლომების რაოდენობა ______________________ -მდე შემცირდა აფრიკის ველურ ბუნებაში, როცა 50 წლის წინ __________________________ს აღწევდა.
- ავაზების მაჩვენებელი დაეცა ___________________ - დან ________________ -მდე.
- ლეოპარდების რაოდენოვა შეიცვალა _____________________ -დან ____________ _________ -მდე.
- ველურ ბუნებაში სულ რაღაც ___________________ ვეფხვია, როცა მათი რიცხვი ადრე _______________________ -ს აღწევდა.

2. **დაუბრუნდი წინა დავალებას , გამოიყენე ანალიზის შედეგები და თავიდან გამოხატე შენი პოზიცია მეცნიერთა შეშფოთებასთან დაკავშირებით.**

3. **დაუბრუნდი მეცნიერთა განცხადებას. რა არის, შენი აზრით, ფუტკრებისა და დიდი კატების გაქრობის კონკრეტული მიზეზები? ჩაწერე ცხრილში და გააცანი კლასელებს. შეადარეთ ერთმანეთის ვარიანტები.**

| | | |
|---|---|---|
|  |   |  |
| **ფუტკარი** | **ბენგალური ვეფხვი** **აფრიკული ლომი** | **იაგუარი** |
| | | |

4. **მოისმინე ინფორმაცია და ჩაწერე ცხრილში გაქრობის რეალური მიზეზები. შეადარე ისინი შენს ვერსიებს. დაასახელე, რომელი ინფორმაცია იყო შენთვის მოულოდნელი და რატომ?**

| | |
|---|---|
| ფუტკრების გაქრობის მიზეზები | |
| ბენგალური ვეფხვისა და აფრიკული ლომების გაქრობის მიზეზები | |
| იაგუარის გაქრობის მიზეზები | |

**5. წაიკითხე და შემოხაზე სწორი ვარიანტი.**

ა. ცხოველი ან ფრინველი, რომელიც იჭერს და ჭამს სხვა ცხოველებს ან ფრინველებს, არის:

- გარეული
- საშიში
- მტაცებელი

ბ. ცხოველს, რომელიც მკვდარი ცხოველებით იკვებება, უწოდებენ:

- ხორცისმჭამელს
- ლეშისმჭაველს
- ყველაფრისმჭამელს

გ. მკვდარ ცხოველს ჰქვია:

- მძორი, იგივე ლეში
- გვამი
- ჩონჩხი

**6. გაეცანით მოცემულ შეკითხვებს და იმსჯელეთ მათ შესახებ. დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრებები სათანადო არგუმენტებით. მოისმინე და შეამოწმე შენი ვერსია.**

ა. მართლაც არის თუ არა შემაშფოთებელი მთავარი მტაცებლების გაქრობა დედამიწიდან?

ბ. რა შეიძლება გამოიწვიოს მათმა გაქრობამ?

გ. ვინ ან რა დაზარალდება ამით?

## მომსახურება

**7. გაიხსენე ნაწყვეტი რობინზონ კრუზოს შესახებ და შეასრულე მოცემული მითითებები.**

ა. წაიკითხე და მონიშნე სათანადო უჯრა.

| | **სწორია** | **არ არის სწორი** | **არ ჩანს** |
|---|---|---|---|
| 1. რობინზონ კრუზომ, საბოლოოდ, ყველაფერი გადმოზიდა გემიდან. | | | |
| 2. სამი სამართებლიდან ერთი გატეხილი აღმოჩნდა. | | | |
| 3. კარადის ერთ-ერთ უჯრაში მან ევროპული და ბრაზილიური მონეტები იპოვა. | | | |
| 4. რობინზონ კრუზოს ძალიან გაუხარდა ფულის დანახვა. | | | |
| 5. მან ნაწილი ფული ზღვაში გადაყარა, ნაწილი კი ნაპირზე გადაიტანა. | | | |
| 6. ტივი რობინზონ კრუზომ გემის ფიცრებისაგან შეკრა. | | | |
| 7. შეკრული ტივი პატარა, მაგრამ გამძლე აღმოჩნდა. | | | |

**ბ.** გამოიყენე წიგნი და შეამოწმე შენი ნაწერი. გაასწორე მცდარი ინფორმაცია ტექს-ტზე დაყრდნობით.

**გ.** დაადასტურე ან უარყავი მოცემული ინფორმაცია და დაასაბუთე შენი პასუხი ტე-ქსტიდან მოტანილი ფრაზით.

- *რობინზონ კრუზო მზად იყო, რომ მთელი გემი დაეშალა.* _________

  **საიდან ჩანს?** ____________________

  ____________________

- *ნაპირზე ყველაფრის გადატანაში მას ამინდმა შეუშალა ხელი.* _________

  **საიდან ჩანს?** ____________________

  ____________________

- *ფული, რომელიც რობინზონ კრუზომ იპოვა, არც ისე ბევრი იყო.* _________

  **საიდან ჩანს?** ____________________

  ____________________

- *ის დარწმუნებული იყო, რომ ფული აუცილებლად გამოადგებოდა.* _________

  **საიდან ჩანს?** ____________________

  ____________________

**დ.** მოძებნე მსგავსი მნიშვნელობის მქონე სიტყვები ტექსტში და ამოწერე.

- გადაჩხრეკილი, შემოწმებული, ____________________
- ძველი, გამოუსადეგარი ნივთები, ____________________
- ერთ ადგილზე გროვად დაყრილი, ____________________-
- დამსახურებული, შესაფერი, ____________________

**1. წაიკითხე განმარტებები და ჩაწერე, რა არის.**

*ვალუტა ბანკნოტი პლასტიკური ბარათი ფული*

**ა.** ის გადახდის ან გაცვლის საშუალებაა. ____________________

**ბ.** ის ქვეყნის ოფიციალური ერთეულია და მას მთავრობა უშვებს. ____________________

**გ.** ის ქაღალდის ფულს ნიშნავს. ____________________

**დ.** მას იყენებენ ნებისმიერი ფულადი ოპერაციის განსახორციელებლად. ____________________

**2. დააკავშირე ერთმანეთთან და გადაწერე.**

| | | |
|---|---|---|
| ოპერაციის | ოპერაცია | ____________________ |
| ფულის | მთავრობა | ____________________ |
| ფულადი | განხორციელება | ____________________ |
| ქვეყნის | შენახვა | ____________________ |

**3. გაიხსენე ინფორმაცია მილიონერების შესახებ და შეავსე წინადადებებში გამოტოვებული ადგილები. მოისმინე თავიდან შეამოწმე შენი ნაწერი.**

I. კარლ რაბედერი

ა. მან ______________________ ასაკში ______________________ გადაწყვიტა.
ბ. რაბედერმა __________________________________ ფულით ვერ მიაღწია.
გ. მისთვის ფულს მხოლოდ ___________________________ მოჰქონდა.
დ. გადაწყვიტა, მთელი ________________ თავიდან ______________________.
ე. მან ყველაფერი _________________________________ ჩადო.
ვ. ის ______________________ გადასახლდა.

II. გრეჰემ პენდრილი

ა. წარმოშობით ის __________________________ იყო.
ბ. აფრიკაში _________________ ის ____________________ ტომის წევრი გახდა.
გ. ინგლისში _________________________ გრეჰემი კვლავ მასაის ტომის ________ ____________________ დადის.
დ. მან საბოლოოდ გადაწყვიტა აფრიკაში _____________________.

III. ნიკოლას ბერგრუენი

ა. ის ____________________________ მილიონერია.
ბ. ნიკოლასი ___________________ სასტუმროებში ____________________.
გ. მან უარი თქვა ___________________ სახლზე, __________________ ყველანაირი ნივთის___________________.
დ. მას __________________, რომ ნივთებს ____________________ არ მოაქვს.
ე. მან გადაწყვიტა, _______________ ქონება ქველმოქმედებას _______________ _______.

**4. დაადასტურე ან უარყავი მოცემული ინფორმაცია (შემოხაზე** კი **ან** არა **და გაიხსენე ფრაზა, რომელიც შენს პასუხს დაასაბუთებს).**

**ა.** გრეჰემ პენდრილმა ყველაფერი გააკეთა, რომ მასაის წევრი გამხდარიყო. **კი არა**

**ბ.** სიღარიბეში გაზრდილი და გამდიდრებული რაბედერი დღეს უსახლკაროდ ცხოვრობს. *კი არა*

**გ.** გრეჰემი მასაის ტომის ტანსაცმელს განაკუთრებულ შემთხვევებში იცვამდა. *კი არა*

**დ.** ნიკოლას ბერგრუენის ოცნება იყო სასტუმროებში ცხოვრება. *კი არა*

**1. მოძებნე ენობრივი შეცდომები და გაასწორე.**

| | |
|---|---|
| ა. კარლ რაბედერი ღარიბობაში გაიზარადა.<br>ბ. მას რამდენიმე მანქანები ჰქონდა.<br>გ. რაც მიაჩნდა, ყველაფერი ქველმოქმედებაში დადო.<br>დ. მან მთელ რიგ რიტუალებში გაიარა.<br>ე. პენდრილმა გადაწყვიტა მისი რეზიდენციის გაყიდვა.<br>ვ. ის შეხვედრებზე ამგვარი ჩაცმული ცხადდება.<br>ზ. ნიკოლასმა უარი თქვა ყველანაირი ნივთის შეძენისათვის. | |

**2. გამოიყენე წიგნი და უპასუხე შეკითხვებს იგავ-არაკის გარშემო (გვ.19 ).**

ა. რა იპოვა კაცმა გზაზე?
ბ. როგორ მოიქცა ის ამის შემდეგ?
გ. რის ოცნება დაიწყო კაცმა?
დ. რა მოხდა ბოლოს?

**3. წაიკითხე წინადადებები და შეასრულე მითითებები.**

I. *„ღმერთმა ჩემი გამდიდრება მოინდომა.“*

ა. განმარტე, როგორ გესმის ეს სიტყვები.

ბ. ვინ არის „ღმერთი“?

- უხილავი არსება;
- უზენაესი ძალა, რომელმაც შექმნა სამყარო;
- არსება, რომელიც ადამიანებს ეხმარება.

II. *„კაცს ერთ წუთში დაემსხვრა ოცნებები.“*

ა. განმარტე, როგორ გესმის ეს სიტყვები.

ბ. რას ნიშნავს „ოცნებების დამსხვრევა“?

**4. მოძებნე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები ტექსტში და ამოწერე.**

ა. არაფრის მქონე, ______________________________
ბ. გავმდიდრდები, ______________________________
გ. დაარტყამს, ______________________________
დ. გავეხმაურო, დავუძახო, ______________________________

**5. გამოიყენე კონტექსტი და დააკავშირე სიტყვები განმარტებებთან.**

*ხარი ერბო ქილა*

ა. გადამდნარი კარაქი, ____________________
ბ. ფართოპირიანი, თიხის ან მინის უმუცლო ჭურჭელი, ____________________
გ. მამალი შინაური რქიანი ცხოველი, მის მდედრს ძროხას უწოდებენ. ______________

**6. ამოწერე ტექსტიდან ზმნები, რომლებიც მიწის სამუშაოებზე მიუთითებს და შეასრულე მითითებები.**

- ______________________
- ______________________

ა. წაიკითხე კონკრეტულ სამუშაოსთან დაკავშირებული განმარტება და დააკავშირე შესაბამის ზმნასთან.

- ამოსასვლელად (აღმოცენების მიზნით) მიწაში რაიმე თესლის (მარცვლის, კურკის...) ჩაგდება, ჩაყრა. ______________________
- სახვნელი იარაღით მიწის დამუშავება. ______________________

ბ. დააკავშირე სათანადო საწყისთან: *დათესვა / მოხვნა*

მიწის ______________________; მიწაში ______________________.

**7. გამოიყენე კონტექსტი და შეავსე მოცემული ცხრილი.**

| | ჩაწერე, რომელი მწკრივია | მიუთითე დრო | შეუწყვე პირები | მიუთითე S და O |
|---|---|---|---|---|
| იპოვა | | | | |
| გამოახვია | | | | |
| გაუყარა | | | | |
| გაიდო | | | | |
| განაგრძო | | | | |
| ფიქრობდა | | | | |
| მოინდომა | | | | |
| ჩავალ | | | | |
| გავყიდი | | | | |
| ვიყიდი | | | | |
| მოვიყვან | | | | |
| დავზრდი | | | | |
| დავასუქებ | | | | |
| მოვხნავ | | | | |
| დავთესავ | | | | |
| მიადგა | | | | |
| მიჰქონდა | | | | |
| გაივლის | | | | |
| გატყდა | | | | |
| დაიქცა | | | | |
| დაემსხვრა | | | | |

**1. დაუბრუნდი იგავ-არაკს („გლახაკი და ქილა ერბო“) და იქ მოცემული ინფორმაცია გაანაწილე ცხრილში.**

| რა მოხდა სინამდვილეში? | რა „მოხდა“ ოცნებაში? | რა დაგეგმა კაცმა? |
|---|---|---|
| | | |

**2. მოძებნე ენობრივი შეცდომები და გაასწორე.**

| | |
|---|---|
| ა. ღმერთმა ჩემი სიმდიდრე მოინდომა, – გაიფიქრა კაცმა.<br>ბ. წიწილებს გავასუქებ და იმასაც გავყიდი.<br>ე. ოცნებებში გართულმა კაცმა ხიდს ჯოხი მოუქნია.<br>ვ. კაცმა ერბოთი მთლიანი ქილა ხიდზე დაარტყა. | |

**3. წაიკითხე და გადახაზე არასწორი შესიტყვება.**

ა. ფულის / თანხის:

გადარიცხვა ჩარიცხვა გადახურდავება გაყიდვა მოხსნა შეტანა გატანა

ბ. ანგარიშის:

გახსნა დახურვა შევსება გამოტანა შემოწმება

გ. კრედიტის:

აღება ჩარიცხვა გაგრძელება დახურვა გაუქმება

**4. მოისმინე და შეამოწმე შენი ნაწერი.**

**5. გამოიყენე წინა დავალება და შეავსე წინადადებებში გამოტოვებული ადგილები კონტექსტის მიხედვით. წაიკითხე და შეადარე სხვების ვარიანტებს.**

ა. ფულის ________________________________ მინდა ჩემი ანგარიშიდან სხვა ანგარიშზე!

ბ. თქვენთან მინდა ანგარიშის ______________________.

გ. ძალიან გამიჭირდა და კრედიტის _____________________ გადავწყვიტე.

დ. მთლიანად მინდა ჩემი თანხის __________________!

ე. აღარ მინდა კრედიტის _______________________, სასწრაფოდ უნდა დავფარო!

ვ. ინტერნეტბანკის მეშვეობით შემიძლია ჩემი ანგარიშის ____________________?

**6. დააკავშირე ერთმანეთთან და გადაწერე.**

| | | |
|---|---|---|
| ბანკომატიდან | გადარიცხვა | ____________________ |
| ბანკომატში | დასმა | ____________________ |
| ანგარიშიდან | გამოტანა | ____________________ |
| ანგარიშზე | ნახვა | ____________________ |

**7. შეავსე ცხრილში გამოტოვებული ადგილები. ყურადღება მიაქციე ზმნისწინებს. წაიკითხე და შეამოწმე მასწავლებლის დახმარებით.**

| | **აწმყო** | **უწყვეტელი** | **წყვეტილი** | **II კავშირებ.** (უნდა...) | **I თურმეობ.** (არ...) |
|---|---|---|---|---|---|
| **ჩარიცხვა** | *რიცხავს* | *რიცხავ-**დ**-ა* | *ჩარიცხა* | *ჩარიცხოს* | *ჩაურიცხავს* |
| **გადარიცხვა** | *რიცხავ-ს* | | | | |
| **გადახდა** | *იხდი-ს* | | | | |
| **მიღება** | *იღებ-ს* | | | | |
| **აღება** | *იღებ-ს* | | | | |
| **გახსნა** | *ხსნი-ს* | | | | |
| **მოხსნა** | *ხსნი-ს* | | | | |
| **დახურვა** | *ხურავ-ს* | | | | |
| **შეტანა** | *შეაქვ-ს* | | | | |
| **გატანა** | *გააქვ-ს* | | | | |
| **გადატანა** | *გადააქვ-ს* | | | | |
| **გადახურდავება** | *ახურდავებ-ს* | | | | |

**8. შეასრულე წიგნში მოცემული მესამე დავალება (გვ. 20). გაასწორე რეპლიკებში დაშვებული შეცდომები და წაიკითხე.**

ა. ____________________

____________________

____________________

ბ. ____________________

____________________

____________________

____________________

**1. წაიკითხე რეპლიკები და შემოხაზე სწორი პასუხები.**

ა. – პირდაპირ შემოიტანთ თანხას თუ უნდა გადავრიცხოთ?
- გადახდის აპარატით უნდა ვისარგებლო;
- სად შემიძლია, რომ გადავრიცხო?
- პირდაპირ გადავიხდი, თუ შეიძლება!

ბ. – მთლიანად გადაიხდით თუ ნაწილს?
- მთლიანი თანხა სად უნდა გადავიხადო?
- მთლიანად, რა თქმა უნდა!
- შეგიძლიათ, მთლიანი თანხა გადარიცხოთ ჩემს ანგარიშზე?

გ. ხომ ვერ მასწავლით, ბანკომატოთ როგორ ვისარგებლო?
- ბანკომატმა ჩემი ბარათი ჩაყლაპა!
- ეს ბანკომატი არ მუშაობს!
- ძალიან მარტივია, აი, ნახეთ!

**2. დაალაგე სიტყვები სწორი თანამიმდევრობით. წაიკითხე წინადადებები და დაასახელე, რითი სარგებლობის წესებია მოცემული.**

ა. მარჯვენა ბარათი არსებულ მხარეს მოათავსეთ პლასტიკური ჭრილში.
ბ. მომსახურების ღილაკზე თქვენთვის სასურველი თითის ენა აირჩიეთ დაჭერით.
გ. თქვენი კლავიატურაზე PIN აკრიფეთ კოდი.
დ. ოპერაცია ღილაკზე მის გასწვრივ მოთავსებულ თითის დაჭერით თქვენთვის სასურველი შეარჩიეთ.
ე. თანხის სასურველი ვალუტა სურვილის გასწვრივ შეარჩიეთ გატანის შემთხვევაში, მის მდებარე ღილაკზე დაჭერით.
ვ. აირჩიეთ „დიახ“ ქვითრის შემთხვევაში, მიღების ღილაკი.
ზ. ოპერაციის თანხა, აიღეთ ბარათი და დასრულების შემდეგ ქვითარი.

1. ______________________________________________
______________________________________________
2. ______________________________________________
______________________________________________
3. ______________________________________________
______________________________________________
4. ______________________________________________
______________________________________________
5. ______________________________________________
______________________________________________
6. ______________________________________________
______________________________________________
7. ______________________________________________
______________________________________________

**3. წაიკითხე განმარტებები და დააკავშირე მოცემულ სიტყვებთან.**

*ზარალი დაზღვევა ანაზღაურება*

ა. უსიამოვნების, ხიფათის თავიდან აცილება. ____________________
ბ. დანაკარგის აღდგენა, სანაცვლოს მიცემა. ____________________
გ. ქონებრივი დანაკარგი. ზიანი, მისი საპირისპიროა *მოგება*. ____________________

**4. გაანაწილე სწორად.**

I. *დაზღვეული / დასაზღვევი / დამზღვევი*

ა. ის, რაც უნდა დააზღვიონ. ______________________

ბ. ის, რაც უკვე დააზღვიეს. ______________________

გ. ის, ვინც დააზღვია. ______________________

II. *დაზარალებული / დამზარალებელი / დაუზარალებელი / დასაზარალებელი*

ა. ის, ვინც ან რაც არ დაზარალდა. ______________________

ბ. ის, ვინც ან რაც დაზარალდება. ______________________

გ. ის, ვინც ან რაც დაზარალდა. ______________________

დ. ის, ვინც ან რამაც დააზარალა. ______________________

III. *ასანაზღაურებლი / ამნაზღაურებელი / ანაზღაურებული / აუნაზღაურებელი*

ა. ის, რაც უნდა ანაზღაურდეს. ______________________

ბ. ის, რაც ვერ ან არ ანაზღაურდა. ______________________

გ. ის, ვინც ანაზღაურებს. ______________________

დ. ის, რაც ანაზღაურდა. ______________________

**5. დააკავშირე ერთმანეთთან და გადაწერე.**

| | | |
|---|---|---|
| ხარჯის | აღდგენა | ______________________ |
| დანაკარგის | ანაზღაურება | ______________________ |
| სანაცვლოს | დაფარვა | ______________________ |
| დაკარგული დროის | მიცემა | ______________________ |

**6. ჩაწერე სწორად.**

დაზარალდა / გაფუჭდა:

მწყობრიდან გამოვიდა ანუ ______________________

ზიანი მიადგა, ანუ ______________________

**7. გამოიყენე წინა დავალებები და შეავსე წინადადებებში გამოტოვებული ადგილები კონტექსტის მიხედვით.**

ა. სეტყვამ საშინლად ______________ მოსავალი. (დააზარალა / დაზარალდა)

ბ. სეტყვის შედეგად მოსახლეობამ დიდი ____________ ნახა. (დაზარალება / ზარალი)

გ. სადაზღვევო კომპანია სრულად ______________ სტიქიური უბედ-ურებით გამოწვეულ ზარალს. (დააზარალებს / აანაზღაურებს)

დ. ______________________ ოჯახმა კომპენსაცია მოითხოვა. (დაზარალე-ბულმა / დამზარალებელმა)

ე. მშენებლობიდან დამითხოვეს და ______________ ანაზღაურებაც დამაკისრეს. (ზარალის/ დროის)

**1. შეავსე ცხრილში გამოტოვებული ადგილები. ყურადღება მიაქციე ზმნისწინებს. წაიკითხე და შეამოწმე მასწავლებლის დახმარებით.**

| | **აწმყო** | **უწყვეტელი** | **წყვეტილი** | **II კავშირებ.** (უნდა...) | **I თურმეობ.** (არ...) |
|---|---|---|---|---|---|
| **დაზღვევა** | აზღვევ-ს | აზღვევ-დ-ა | დააზღვია | დააზღვი-ო-ს | და-უ-ზღვევ-ია |
| **ანაზღაურება** | | | | აანაზღაურ-ო-ს | |
| **აღდგენა** | | | აღადგინა | | აღუდგენია |
| **მოგება** | იგებ-ს | | | | |
| **წაგება** | | | | | წაუგია |
| **დაზარალება** | აზარალებ-ს | | | | |
| **მიცემა** | აძლევ-ს | | მისცა | | |
| | **აწმყო** | **უწყვეტელი** | **წყვეტილი** | **II კავშირებ.** (უნდა...) | **I თურმეობ.** (არ...) |
| **დაკარგვა** | კარგ-ავ-ს | | | დაკარგ-ო-ს | |
| **დაფარვა** | | ფარავ-დ-ა | | | დაუფარავს |
| **დამალვა** | | | დამალა | | |

**2. გამოიყენე მოცემული სიტყვები და შეავსე წინადადებაში გამოტოვებული ადგილები სწორი ფორმით.**

ა. ზარალი ანაზღაურება დაზარალებული დამზარალებელი

_______________________________ შეჰპირდა ____________________________ მხარეს, რომ _____________________ მთლიანად __________________________________.

**3. წაიკითხე და შემოხაზე სწორი განმარტება.**

პოლისი არის:

ა. ხელშეკრულება, რომელსაც დამზღვევი უდებს დასაზღვევ პირს ან ორგანიზაციას;

ბ. მოწმობა, რომელსაც დამზღვევი აძლევს დაზღვეულ პირს ან ორგანიზაციას;

გ. მოწმობა, რომელსაც იღებს პირი ან ორგანიზაცია დაზარალების შემდეგ.

**4. მოისმინე და შეამოწმე შენი ვერსია.**

**5. რას პასუხობენ ავარიაში მონაწილე ერთ-ერთ პირს სატელეფონო დიალოგში? აღადგინე თანამოსაუბრის რეპლიკები კონტექსის მიხედვით და წაიკითხე. შეადარეთ ერთმანეთის ვარიანტები და დააზუსტეთ რეპლიკების ენობრივი გამართულობა მასწავლებლის დახმარებით.**

– გამარჯობა, სერგო ჯინჭარაძე გაწუხებთ.

– ____________________

– მე თქვენი სადაზღვევო პოლისით ვსარგებლობ.

– ____________________

– დაახლოებით, 10 წუთის წინ ავარია მომივიდა აღმაშენებლის გამზირზე.

– ____________________

– უკანა მხარე, ფაქტიურად, შესაცვლელია.

– ____________________

– არა, არა... კარგად ვარ.

– ____________________

– აღმაშენებლისა და მარჯანიშვილის კუთხეში, მოედანთან ახლოს.

– ____________________

– გმადლობ!

**6. მოისმინე და ზუსტად აღადგინე მათი საუბარი.**

– გამარჯობა, სერგო ჯინჭარაძე გაწუხებთ.

– ____________________

– მე თქვენი სადაზღვევო პოლისით ვსარგებლობ.

– ____________________

– დაახლოებით, 10 წუთის წინ ავარია მომივიდა აღმაშენებლის გამზირზე.

– ____________________

– უკანა მხარე, ფაქტიურად, შესაცვლელია.

– ____________________

– არა, არა... კარგად ვარ.

– ____________________

– აღმაშენებლისა და მარჯანიშვილის კუთხეში, მოედანთან ახლოს.

– ____________________

– გმადლობ!

**7. დაუბრუნდი ორივე დიალოგს და შეადარე ისინი ერთმანეთს.**

- რომელი რეპლიკები დაემთხვა ერთმანეთს და რით? (*დაემთხვა მხოლოდ ძირითადი აზრი; ზუსტად დაემთხვა*);
- რომელი რეპლიკები არ დაემთხვა და რა არის მათ შორის განსხვავება?
- დაუბრუნდი შენს ვარიანტს. არის თუ არა რეპლიკებს შორის ლოგიკური ბმები დარღვეული? არსებობის შემთხვევაში, მიუთითე, რა შეუსაბამობაა.

**1. შეავსე ტექსტში გამოტოვებული ადგილები და შეასრულე მოცემული მითითებები.**

ა. არსებობს დაზღვევის სხვადასხვა სახე:
ბ. დაზღვევა არის
გ. სადაზღვევო შემთხვევა შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი:
დ. დაზღვევის ძირითადი პრინციპი ასეთია:

(1) ______________________________ გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია რისკის შედეგად წარმოქმნილი ფინანსური ზარალის თავიდან აცილება.

(2) ______________________________ ყოველწლიურად ადამიანებს შეაქვთ გარკვეული თანხა საერთო ფონდში, საიდანაც შემდეგ დაზარალებულ პირებს კომპენსაცია ეძლევათ.

(3) ______________________________ სტიქიური უბედურებები, მოულოდნელი დაზიანებები და ნებისმიერი სხვა უსიამოვნება.

(4) ______________________________ ქონებრივი დაზღვევა (მაგ., ნაგებობების, ცხოველების, საოჯახო ქონების, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა), სოციალური დაზღვევა (მაგ., პენსიები, შემწეობები, შეღავათები), სამედიცინო დაზღვევა, პირადი დაზღვევა (მაგ., სიცოცხლის დაზღვევა უბედური შემთხვევებისაგან) და სხვა.

**ა.** დაადასტურე ან უარყავი მოცემული ინფორმაცია ტექსტის მიხედვით. მიუთითე კონკრეტული სიტყვა ან სიტყვები, რომლებიც შენს პასუხს დაასაბუთებს.

- დაზღვევა ფულად კომპენსაციას გულისხმობს. ______________
  **საიდან ჩანს?** ______________________________
- ყველა ადამიანი უხდის სადაზღვევო კომპანიას ფულს. ______________
  **საიდან ჩანს?** ______________________________
- მიწისძვრით მიყენებულ ზარალს დაზღვევა არ ეხება. ______________
  **საიდან ჩანს?** ______________________________
- ადამიანებს შეუძლიათ ნებისმიერი ნივთის დაზღვევა. ______________
  **საიდან ჩანს?** ______________________________

**ბ.** დაუბრუნდი 20-ე გვერდზე მოცემულ ავარიას, გაითვალისწინე დაზღვევის შესახებ მოცემული ინფორმაცია (მათ შორის, წიგნში მოცემული სქემაც, გვ. 20) და ისაუბრე ამ სიტუაციის შესახებ მოცემული შეკითხვების გათვალისწინებით.

- რა სახის სადაზღვევო შემთხვევასთან გვაქვს საქმე?
- რა და რა სახის დაზღვევაზე შეგვიძლია ვისაუბროთ მოცემულ შემთხვევაში და რატომ? დააკონკრეტე, რას გულისხმობ.
- რა შემთხვევაში შეიძლება დადგეს პასუხისმგებლობის დაზღვევა მოცემულ სიტუაციაში?

## ცრურწმენები და ფობიები

**2. გადახაზე არასწორი შესიტყვება.**

| | |
|---|---|
| ა. თვალის | ქმოკვრა |
| ბ. თვალის | შევლება |
| გ. თვალის | ჩაკვრა |
| დ. თვალის | მიღება |
| ე. თვალის | დადგმა |

| | |
|---|---|
| ა. ენის | არევა |
| ბ. გონების | არევა |
| გ. ცოდნის | არევა |
| დ. ოთახის | არევა |
| ე. ფეხის | არევა |

**3. წაიკითხე და დააკავშირე. ჩაწერე სათანადო ფორმა და შეადარე სხვების ვარიანტებს. მოისმინე და შეამოწმე.**

*მოეწონა მიანიშნა დაინახა შეათვალიერა*

ა. თვალი მოჰკრა ________________

ბ. თვალი შეავლო ________________

გ. თვალი დაადგა ________________

დ. თვალი ჩაუკრა ________________

**4. მოძებნე ტექსტში დაშვებული ენობრივი შეცდომები და გაასწორე.**

| შეცდომაა! | უნდა იყოს! |
|---|---|
| ამერიკის National Institute of Mental Health-ისაგან 2009 წლის დეკემბერში ჩატარებული კვლევის თანახმად, დაახლოებით, 15 მილიონი ზრდასრულებული ამერიკელს ეშინია საჯარო გამოსვლის, ხოლო ქვეყნის მოსახლეობის თითქმის 9% ფობიის, სულ მცირე, ერთი სახეობით მაინც ტანჯულობს.<br>მიუხედავად იმისა, რომ მგზავრების დაღუპვა ავიაკატასტროფებში უფრო ხშირია, ვიდრე ავტოკატასტროფისას, მსოფლიოში 80 მილიონ ადამიანს სწორედ ფრენის ეშინია. ავიაფობიით დაავადებულთა შორის არიან ისინიც, რომლებსაც დახურული სივრცის გამო ეშინიათ. აღსანიშნავია, რომ 80 მილიონ ავიაფობში 25 მილიონი ამერიკელია.<br>ფობიის ერთ-ერთი ყველაზე გასავრცელებელი სახეობა – აკროფობია (სიმაღლის შიში) – დედამიწის მოსახლეობის, დაახლოებით, 5%-ს აწუხებს. ამ 5%-ში საქართველოს ზრდასრული მოსახლეობის ზოგადი ნაწილიც შედის. | |

1. **მოძებნე ტექსტში მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა და ამოწერე.**
    - **ა.** საზოგადოებისათვის განკუთვნილი, საზოგადო, საყოველთაო, ________________
    - **ბ.** განადგურება, მოსპობა, ________________________
    - **გ.** ადგილი, სადაც შესაძლებელია რაიმეს მოთავსება, ______________________

2. **დაუბრუნდი მე-4 დავალებაში მოცემულ ტექსტს (გვ. 33) და უპასუხე შეკითხვებს.**
    - **ა.** რის ეშინია ამერიკის მოსახლეობის 9%-ს?
    - **ბ.** რომელი ქვეყნის 9%-ზეა საუბარი?
    - **გ.** რომელი ფობიით დაავადებულები შედიან 80 მილიონში?
    - **დ.** რა არის „აკროფობია“ და რამდენ ადამიანი იტანჯება აკროფობიით?
    - **ე.** რომელი ქვეყნის მოსახლეობაა ეს 5%?

3. **დაუბრუნდი ACT-ის მიერ ჩატარებულ კვლევას. დააკვირდი კვლევის შედეგებს და ის-აუბრე მოცემული მითითებების გათვალისწინებით.**
    - როგორია ვითარება ქალებში? კაცებში?
    - შეადარე ისინი ერთმანეთს და დაასახელე მათ შორის განსხვავება – ვის რისი უფრო ეშინია და რისი – არა.




4. **ჩაატარე მეწყვილესთან ერთად მსგავსი გამოკვლევა კლასში მოცემული მითითებების გათვალისწინებით.**
    - *შენი და შენი მეწყვილის ჩათვლით გამოიკითხე 10 თანაკლასელი (აქედან: 5 ბიჭი და 5 გოგო).*
    - *შეადგინე ცხრილი და მონიშნე ცხრილში, ვის რისი ეშინია (✓) და რისი- არა (×).*

    *ცხრილის ნიმუში:*

| თანაკლასელის სახელი და გვარი | დახურული სივრცის | სიმაღლის | სიბნელის | წყლის / ღრმა წყლის |
|---|---|---|---|---|
| გოგოლაძე გურამი | ✓ | × | × | ✓ |
| ებანოიძე ნანა | × | ✓ | ✓ | × |

- *ცხრილის მონაცემები გადაიყვანე პროცენტებში და შეადგინე ორი შკალა:*
  - I. ზოგადი (იხ. მოსწ. წიგნში მოცემული შკალა, გვ. 24 ), რომელიც უჩვენებს მთლიან სურათს;
  - II. კონკრეტული (ცალკე გოგონებისთვის და ცალკე ბიჭებისთვის), რომლებიც ცალ-ცალკე უჩვენებს, რა ვითარებაა გოგონებთან და რა – ბიჭებთან.
- *გააანალიზე სამივე შედეგი და გააცანი სხვებს. შეადარეთ ერთმანეთის მონაცემები.*
  - I. ზოგადი სურათის მიხედვით: მაგალითად, რა პროცენტს ეშინია დახურული სივრცის და რა პროცენტს – არა და ა.შ.
  - II. კონკრეტული სურათების მიხედვით: მაგალითად,
    - ა. ბიჭების რა პროცენტს ეშინია დახურული სივრცის და რა პროცენტს – არა და ა.შ.
    - ბ. გოგონების რა პროცენტს ეშინია დახურული სივრცის და რა პროცენტს – არა და ა.შ.
    - გ. შეადარე ისინი ერთმანეთს და აჩვენე განსხვავება მათ შორის.

**5. დაუბრუნდი ACT-ის მიერ ჩატარებულ კვლევებს და შეადარე მათი მონაცემები თქვენს მონაცემებთან. ისაუბრე მსგავსება-განსხვავებების შესახებ.**

**6. წაიკითხე და სწორად აღადგინე რეპლიკები კონტექსტის მიხედვით. 🎧 თავიდან მოისმინე დიალოგი და შეამოწმე.**

– რომ მოვდიოდი, შავმა კატამ ________________

– კარგი, რა, გული ________________! ვიფიქრე, რაღაც ________________ ________________!

– ამაზე მეტი რა ________________! ხომ გითხარი, შავმა კატამ ________________ ________________!

– შენ ცრურწმენა ________________ და... რამდენჯერაც შავი კატა ________________ ________________, იმდენჯერ რაღაც ________________ უნდა ________________ აუცილებლად!

– კარგი რა, რა სისულელეა! უბრალოდ ________________ და მეტი ________________ ________________!

– ბავშვობიდან მეც სულ მეუბნებოდნენ, მარილი ________________, დანა ხელში არავის ________________... მაგიდაზე ________________ და ისე ________________! სისულელეა! მარილიც ________________, დანაც ________________ ხელში და ხელიდანაც ________________.

**1. დაუბრუნდი წინა დავალებას და იქ მოცემული ზმნები სწორად გაანაწილე ცხრილში.**

| **უწყვეტელი**<br>(რას შვრებოდა?) | **მყოფადი**<br>(რას იზამს?) | **წყვეტილი**<br>(რა ქნა?) | **II კავშირებითი**<br>(რა ქნას?) | **I თურმეობითი**<br>(რა უქნია?) |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

**2. გამოიყენე ცხრილი და შეასრულე ქვემოთ მოცემული მითითებები.**

ა. მოცემული ზმნები გაანაწილე პირთა რაოდენობის მიხედვით. შეუწყვე ზმნებს პირები, დააწერე, რომელია სუბიექტი და რომელი – ობიექტი და მიუთითე შესაბამისი ნიშნები.

| | |
|---|---|
| **ერთპირიანი** | |
| **ორპირიანი** | |
| **სამპირიანი** | |

ბ. დაუბრუნდი მწკრივებს და დაასახელე კონკრეტული მწკრივის ფუნქცია ცალკეულ შემთხვევაში. რას გამოხატავს კონკრეტული ფორმა?

*მაგალითად, არაერთგზის შესრულებულ მოქმედებას; მოქმედებას, რომელიც აუცილებლად უნდა შესრულდეს; შესრულებული მოქმედების შედეგს და ა.შ.*

გ. დაუბრუნდი პირებს და დაასახელე, კონკრეტული ნაცვალსახელის ბრუნვა ცალკეულ შემთხვევაში.

# გამოძიება

## 1 სიმართლე და სამართალი

**1. შემოხაზე სწორი ვარიანტი.**

კანონმორჩილი არის ის, ვინც:

- ემორჩილება, იცავს კანონს;
- წერს, ადგენს კანონებს;
- ებრძვის კანონდამრღვევებს.

**2. ჩასვი ფრჩხილებში მოცემული სიტყვები სათანადო ფორმით და შეასრულე მითითებები.**

ბერძნულ და რომაულ მითოლოგიებში თემიდასაც და იუსტიციასაც კანონიერებისა და სამართლიანობის ქალღმერთებად ______________________ (მიჩნევა).

ბერძნულ მითოლოგიაში, მიუკერძოებლობისა და ნეიტრალურობის ნიშნად, თემიდას თვალები აქვს ______________________ (ახვევა). თემიდასგან განსხვავებით კი, რომაული მითოლოგიის ქალღმერთს, იმისათვის, რომ სიმართლე უკეთ ______________________ (დანახვა), თვალები ფართოდ აქვს გახელილი.

*ა. წაიკითხე განმარტება და მიუთითე, რა არის მიუკერძოებლობა.*

**მიკერძოება** არის ვინმესთვის (ან რამესთვის) უსამართლოდ უპირატესობის მინიჭება; მიმხრობა; გარკვეული მოტივით ვინმეს მხარდაჭერა.

*ბ. დაახარისხე მოცემული სიტყვები დადებითი და უარყოფითი ნიშნის მიხედვით.*

მიკერძოებული / მიუკერძოებელი / მიუკერძოებლობა; სამართლიანი / უსამართლო / სამართლიანობა; კანონიერი / უკანონო / კანონიერება

**დადებითი:** ______________________

______________________

______________________

**უარყოფითი:** ______________________

______________________

______________________

*გ. გამოიყენე ეს სიტყვები და დააკავშირე მოცემულ განმარტებებთან. წაიკითხე და ჩაწერე, რა არის.*

- ის, ვინც უსამართლოდ ანიჭებს უპირატესობას. ______________________
- ის, რაც არ არის კანონით დაშვებული. ______________________
- ის, რის აღსადგენადაც იბრძვიან ხშირად ადამიანები. ______________________

**1. გამოიყენე წინა დავალებები და შეავსე ცხრილი.**

| | მსგავსება | განსხვავება |
|---|---|---|
| **თემიდა** | | |
| **იუსტიცია** | | |

**2. გაეცანი მოცემულ ფრაზებს. წაიკითხე ფრაზის ქვემოთ მოცემული დებულებები და შემოხაზე სწორი ვარიანტი. რა გამომდინარეობს ამ ფრაზიდან?**

- *ჰამურაბის კანონები საფუძვლად დაედო მის შემდეგ შექმნილ კანონებს.*

ა. ჰამურაბის კანონები იყო მის შემდეგ შექმნილი ყველა კანონის შექმნის მიზეზი;

ბ. ჰამურაბის კანონებით დაიწყო, დაარსდა ყველასათვის სავალდებულო წესები;

გ. ჰამურაბის კანონები გახდა ამოსავალი პრინციპი მის შემდეგ შექმნილი ყველა კანონისათვის.

- *„ერთ საქმეზე ორჯერ გადაწყვეტილება არ გამოიტანება!“*

ა. ერთი დანაშაულისათვის ორჯერ არ გაასამართლებენ;

ბ. ერთ საქმეზე სხვადასხვა გადაწყვეტილებას არ იღებენ;

გ. ერთ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება უცვლელია.

**3. შეავსე გამოტოვებული ადგილები.**

გაასამართლა  კანონიერება  მისცეს  საქმეებს  ბრალდებული
სასამართლოში  დაასაბუთა  დასდეს  განიხილა

ა. ის სამართალში _______________________.

ბ. მას ბრალი _______________________.

გ. მისი საქმე იმ მოსამართლემ ___________________________.

დ. ქალაქის ______________________________ განიხილეს მისი საქმე.

ე. ამ მოსამართლემ _______________________________.

ვ. ის იყო ერთადერთი _________________________, რომელიც წარსდგა სასამართლოს წინაშე.

ზ. ამ მოსამართლემ არ დაიცვა ________________________________.

თ. ბრალმდებელმა სამართალში მიცემული პირის ბრალდება ვერ ___________________.

ი. ეს მოსამართლე არ განიხილავს სისხლის სამართლის _________________________.

**4. გადახაზე ზედმეტი.**

ა. **ბრალდების**: წაყენება, უარყოფა, დამტკიცება, დადება, მოხსნა

ბ. **ბრალის:** წაყენება, დადება, დამტკიცება, გარკვევა, მოხსნა

გ. **სიმართლის:** წაყენება, დამტკიცება, უარყოფა, გარკვევა

**5. გამოიყენე წიგნში მოცემული ტექსტი (გვ. 29, №8) და შეასრულე მითითებები.**

*ა. განმარტე, რას ნიშნავს, შენი აზრით, ხაზგასმული სიტყვა მოცემულ ფრაზაში?*

- კეთილად გამოიძიეთ ყოველივე!
- დაიწყეთ მართლმსაჯულების აღსრულება ჩემგან!
- ნუ მიაქცევთ ყურადღებას დიდკაცობას!
- უშიშრად დავეხმაროთ ერთმანეთს!
- თვალყური ვადევნოთ სამართლის აღსრულებას!

*ბ. შემოხაზე, შენი აზრით, მოცემული განმარტებებიდან რომელი მნიშვნელობით არის გამოყენებული ხაზგასმული სიტყვა კონტექსტის მიხედვით.*

*გვირგვინი არ არის ნიშანი ღვთის გმობისა!*

- უარყოფისა
- ძაგებისა და გაკიცხვისა

*დაუსჯელნი არ უნდა დარჩნენ ბოროტმოქმედნი!*

- სისხლის სამართლის დანაშაულის ჩამდენი
- ავი საქმის ჩამდენი, სიავის მოქმედი

*გ. მოძებნე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა და ამოწერე.*

- გააძევეთ, გააგდეთ: ______________________________
- კარგი, ბედნიერი ცხოვრება, კარგი ყოფა: ___________________________________

*დ. დაადასტურე ან უარყავი მოცემული ინფორმაცია და დაასაბუთე შესაბამისი ფრაზით.*

- თამარ მეფე უპირატესობას არავის ანიჭებს. მისთვის ყველა თანაბარია.
- თამარ მეფე მკაცრი და შეუპოვარია უსამართლობასთან ბრძოლაში.
- თამარ მეფე სასულიერო პირებს უფრო მეტს სთხოვს, ვიდრე - საერო პირებს.

*ე. უპასუხე შეკითხვებს.*

- ვის მიმართავს თამარ მეფე? ვინ არიან „წმინდა მამანი"?
- რის სიმბოლოა გვირგვინი?
- რა ჰქვია უმაღლესი წოდების წარმომადგენელს?
- როგორ უნდა იბრძოლოს, თამარის აზრით, მეფემ და როგორ – „წმინდა მამამ"?

**6. გაიხსენე ტექსტი ანაბეჭდების შესახებ და შეასრულე მოცემული დავალებები.**

ა. გაამყარე მოცემული დებულებები სათანადო არგუმენტებით. რატომ არის ასე?

| დებულება | არგუმენტები |
|---|---|
| თითის ანაბეჭდები უნიკალურია. | |
| გამოცდილი დამნაშავეები, როგორც წესი, დანაშაულის ადგილზე თითის ანაბეჭდებს არ ტოვებენ. | |

**ბ.** აირჩიე სწორი ვარიანტი და დაასრულე წინადადებები.

- *ადრე ადამიანები დოკუმენტებზე საკუთარი ცერა თითის ანაბეჭდს ტოვებდნენ* ________
  1. იმიტომ, რომ ასეთი წესი იყო;
  2. საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად;
  3. ვინაიდან წერა-კითხვა არ იცოდნენ.
- *წერილი, რომელიც 1880 წელს სამეცნიერო ჟურნალში დაიბეჭდა, ეხებოდა* ________
  1. თითის ანაბეჭდების უნიკალურობას;
  2. თითის ანაბეჭდების გამოყენებას იდენტიფიცირებისათვის;
  3. თითის ანაბეჭდების, როგორც უტყუარი სამხილის, გამოყენებას სასამართლოზე.

**1. გაიხსენე ტექსტი. წაიკითხე და მონიშნე, რა არის კონკრეტულ ინფორმაციაში არასწორი. შეავსე ცხრილის პირველი სვეტი, გააცანი კლასელებს და შეადარე მათ ვერსიებს.**

კვლევების თანახმად:

**ა.** ადამიანთა გარკვეული ნაწილი დღეში ერთხელ ცრუობს.

**ბ.** ტყუილია, როცა ამბობენ, რომ ნებისმიერი ადამიანი ცრუობს.

**გ.** ადამიანები იტყუებიან ნებისმიერ სიტუაციაში და მაშინაც კი, როცა არანაირ ზეწოლას ისინი არ განიცდიან.

**დ.** სიცრუისადმი მიდრეკილება ნებისმიერ ასაკში და ნებისმიერი სოციალური ურთიერთობისას ერთნაირია.

**ე.** არასოდეს იტყუება ის, ვისაც პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა აქვს.

**ვ.** ასევე ნაკლებად იტყუებიან ჭარბი ემოციის მქონე ადამიანებიც.

ჩაწერე ცხრილში მხოლოდ ის, რაც მცდარია.

| **როგორ მახსოვს?** | **როგორ არის სინამდვილეში?** |
|---|---|
| 1. ________ | 1. ________ |
| 2. ________ | 2. ________ |
| 3. ________ | 3. ________ |
| 4. ________ | 4. ________ |
| 5. ________ | 5. ________ |
| 6. ________ | 6. ________ |

**2. 🎧 მოისმინე თავიდან და შეამოწმე. შეავსე ცხრილის მეორე სვეტი. შეადარე პირველ და მეორე სვეტში მოცემული ინფორმაცია ერთმანეთს. რა დაემთხვა და რა – არა.**

**3. გაიხსენე სტატისტიკის შედეგები და შეასრულე მითითებები.**

- *ვინ რატომ ტყუის? გაეცანი მოცემულ ვერსიებს და აირჩიე, სტატისტიკის მიხედვით, სწორი ვარიანტები და დააკავშირე. ჩაწერე შესაბამისი ასო.*

მამაკაცები: ________

ა. ეშინიათ სიმართლის თქმისა;

ბ. არ უნდათ, სხვებს აწყენინონ;

გ. სხვა გამოსავალი არ აქვთ;

დ. უნდათ, სხვის თვალში უკეთესები გამოჩნდნენ;

ე. შეჩვეულები არიან ტყუილების თქმას;

ვ. ეს მათი დამახასიათებელი თვისებაა.

ქალები: ________

- *შენ როგორ ფიქრობ? ჩაწერე შენი გადაწყვეტილების მიხედვით.*

  ქალები: ________ მამაკაცები: ________

- *ვის აქვს ტყუილის ამოცნობის უკეთესი უნარი – ქალებს თუ მამაკაცებს? შემოხაზე, სტატისტიკის მიხედვით, სწორი ვარიანტი. დაასაბუთე შენი გადაწყვეტილება.*

ა. ქალებსაც და მამაკაცებსაც ერთნაირი უნარი აქვთ.

ბ. მამაკაცებს უკეთესი უნარი აქვთ, ვიდრე ქალებს.

გ. მამაკაცებთან შედარებით, ქალებს უკეთესი უნარი აქვთ.

- *შენ როგორ ფიქრობ? ჩაწერე შენი გადაწყვეტილების მიხედვით.* ________
- *გააცანით ერთმანეთს თქვენი პასუხები და დაასაბუთეთ საკუთარი გადაწყვეტილებები – რატომ ფიქრობთ ასე?*
- 🎧 *კიდევ ერთხელ მოისმინე და შეამოწმე. ეთანხმები თუ არა ამ მონაცემებს? უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, ახსენი მიზეზი, რატომ არ ეთანხმები. გაამყარე შენი პოზიცია კონკრეტული მაგალითებით.*

**4. გაეცანი მოსაზრებას და გამოხატე შენი პოზიცია – ეთანხმები თუ არა მოცემულ აზრს და რატომ? დაასაბუთე შენი პასუხი კონკრეტული არგუმენტებით.**

*ნებისმიერ შემთხვევაში, ტყუილის თქმა სამარცხვინო საქციელია. არაფერი იმალება, ამიტომ მოტყუებასაც აზრი არ აქვს. გარდა ამისა, გაუთავებელი ტყუილებით აუცილებლად დაკარგავ ახლობლებისა და მეგობრების ნდობას.*

- განმარტე, რატომ ეთანხმები ან რატომ არ ეთანხმები?
- მოიტანე მაგალითები, რომლებიც შენს პოზიციას დაასაბუთებს.

**1. განმარტე, რას ნიშნავს ანდაზა: „ტყუილს მოკლე ფეხები აქვს“. მოიძიე მსგავსი შინაარსის ანდაზა შენს მშობლიურ ენაში და შეადარე ერთმანეთს.**

**2. გაეცანი სიტუაციებს და უპასუხე დასმულ შეკითხვებს.**

I. ***წარმოიდგინე, რომ მიუხედავად არაერთი გაფრთხილებისა, დილით ისევ დაიგვიანე.***

**ა.** როგორ მოიქცევი დასჯის თავიდან ასაცილებლად: გულწრფელად აღიარებ, რომ ისევ ჩაგეძინა, თუ იცრუებ – მოძებნი სერიოზულ მიზეზს?

**ბ.** როგორ აღიქმება, შენი აზრით, მსგავს სიტუაციებში ნათქვამი ტყუილი – როგორც *სიტუაციიდან საუკეთესო გამოსავალი, ჩვეულებრივი მომენტი, დანაშაული ...?*

II. ***ტყუილის თქმას სხვადასხვა კულტურულ გარემოში სხვადასხვაგვარად უდგებიან. მაგალითად, აზიის ქვეყნებში უმრავლესობას მიაჩნია, რომ სჯობს, მძიმე სენით დაავადებულს დიაგნოზი დავუმალოთ, ევროპასა და ამერიკაში კი 90% სიმართლის თქმის მომხრეა.***

**ა.** შენი აზრით, რა არის მიზეზი (მოტივი), ერთ შემთხვევაში, ტყუილის თქმისა და, მეორე შემთხვევაში, ტყუილის მაინც ართქმისა?

**ბ.** შენი აზრით, როგორ აღიქმება მსგავს სიტუაციებში სიმართლის თქმა და რატომ?

**გ.** შენ როგორ მოიქცეოდი? რომელია, შენი აზრით, სწორი პოზიცია და რატომ?

III. ***წარმოიდგინე, რომ იმყოფები შენი მეგობრის ოჯახში. მეგობარის დედამ სადილად მიგიპატიჟა. სადილი არ მოგეწონა, დიასახლისს კი შენი აზრი აინტერესებს.***

**ა.** როგორ მოიქცევი ასეთ სიტუაციაში: გულწრფელად ეტყვი, რომ არ მოგეწონა, თუ იმისათვის, რომ დიასახლისს არ აწყენინო, სიმართლეს დამალავ?

**ბ.** შენი აზრით, აღიქმება თუ არა ასეთ დროს სიმართლის თქმა უზრდელობად?

IV. ***დაუბრუნდი წინა დავალებაში გამოთქმულ შენს აზრს ტყუილის თქმასთან დაკავშირებით. თავიდან წაიკითხე შენი ნაწერი – სიმართლეა თუ არა ის, რასაც წერ?***

**3. გაეცანი სიცრუის გამოვლენის რამდენიმე მეთოდს, რომლებსაც იყენებდნენ სხვადასხვა კულტურაში სხვადასხვა დროს და შეასრულე მითითებები.**

სპარტაში შეკითხვაზე პასუხის გაცემისას სახის ფერის მცირედი ცვლილებაც კი ადასტურებდა იმას, რომ ეჭვმიტანილი ცრუობდა.

„სახეზე ფერთა ცვლის“ მეთოდს იყენებდნენ ძველ რომშიც. საკუთარი დაცვისათვის შერჩეულ კანდიდატებს მაღალჩინოსანი მოხელეები მწვავე დაკითხვას უწყობდნენ. იყვანდნენ იმას, ვინც პასუხის დროს გაწითლდებოდა.

ახლო აღმოსავლეთში ჯერ კიდევ ავიცენას (აბუ ალი იბნ სინა – 980-1037წწ.) დროს დაიწყეს ადამიანის პულსზე დაკვირვებით ტყუილ-მართლის გარკვევა. პულსს უშუალოდ ადამიანის ანატომიაში განსწავლული ადამიანები ამოწმებდნენ. დაკითხვის პარალელურად, ისინი ეჭვმიტანილს პულსს უსინჯავდნენ. აჩქარებული პულსით ასკვნიდნენ, რომ ეჭვმიტანილი ცრუობდა.

- **უპასუხე შეკითხვებს.**

**ა.** რა მეთოდებს იყენებდნენ სიცრუის გამოსავლენად?

**ბ.** რა მსგავსება და განსხვავებაა ამ მეთოდებს შორის დასავლურ და აღმოსავლურ კულტურებში?

**გ.** რის ნიშანი იყო სახის ფერის შეცვლა, ერთ შემთხვევაში, სპარტაში და, მეორე შემთხვევაში, ძველ რომში?

**დ.** როგორ ფიქრობ, სწორია თუ არა „სხეულის ენის“ გამოყენება სიცრუის გამოსავლენად? დაასაბუთე შენი პოზიცია, რატომ ფიქრობ ასე.

**ე.** შენი აზრით, სახეზე გაწითლება ყოველთვის უკავშირდება თუ არა ტყუილის თქმას?

ვ. კიდევ რა შემთხვევაში შეიძლება გაწითლდეს ადამიანი სახეზე? გამოიყენე მოცემული მასალა და დაასახელე შენთვის მისაღები ვარიანტები. დაასაბუთე შენი პასუხი კონკრეტული მაგალითებით.

სირცხვილის დროს; მოულოდნელობის დროს; შიშის დროს; ქების დროს; სიცხის დროს; ჩხუბის დროს; სიბრაზის დროს; სიხარულის დროს; სიცილის დროს; სირბილის დროს; მღელვარების დროს; ემოციის დროს...

ზ. შენ თუ წითლდები ხოლმე და რა შემთხვევაში? რის გამო?

თ. ანალოგიურად გამოხატე შენი პოზიცია პულსის აჩქარებასთან დაკავშირებით. პულსის აჩქარება ყოველთვის უკავშირდება თუ არა ტყუილის თქმას? გამოიყენე იგივე მასალა და დაასახელე, შენი აზრით, კიდევ რა შემთხვევებში შეიძლება აუჩქარდეს ადამიანს პულსი?

ი. რამდენად სამართლიანად მიგაჩნია ამ მეთოდებით „გამოვლენილი მატყუარების“ დასჯა?

- **დაუბრუნდი ძველი რომის ეპიზოდს. რატომ აჰყავდათ მაღალჩინოსან რომაელებს საკუთარ დამცველად ასეთი ადამიანები? მოიფიქრე პასუხი მეწყვილესთან ერთად და გააცანი კლასელებს. დაასაბუთე, რატომ ფიქრობ ასე.**
- **გამოიყენე ფრჩხილებში მოცემული ვარიანტები, შეავსე სათანადო ფორმით მოცემულ ინფორმაციაში გამოტოვებული ადგილები და შეამოწმე შენი ვერსია.**

მიზეზი მარტივია – ის საკუთარ თავს ________________ (*იოლად გაყიდდა / იოლად გასცემდა / იოლად მისცემდა*). მათ მიაჩნდათ, რომ ადამიანი, რომელიც ________________ (*ასეთ შეკითხვებზე / ასეთი შეკითხვებით / ასეთი შეკითხვების გამო*) სიწითლეს ვერ მალავდა, შეუძლებელი იყო, ________________ (*მისი / თავისი / საკუთარი*) დასაცავი პირის წინააღმდეგ ________________ (*მიმართული / მოწყობილი / გადადგმული*) შეთქმულების მონაწილე გამხდარიყო.

**4. წაიკითხე წიგნში მოცემული ტექსტი სიცრუის დეტექტორთან დაკავშირებით (გვ.30) და დააკავშირე წინა დავალებასთან. რა მსგავსება-განსხვავებაა სიცრუის დეტექტორსა და იმ მეთოდებს შორის, რომლებიც წინა დავალების ტექსტში იყო მოცემული? შეავსე მოცემული ცხრილი და გააცანი კლასელებს.**

| | **მსგავსება** | **განსხვავება** |
|---|---|---|
| **სიცრუის დეტექტორი** | | |
| **სიცრუის გამოვლენის ძველი მეთოდები** | | |

**1. წაიკითხე მოცემული ინფორმაციები და დაასაბუთე ტექსტზე დაყრდნობით (იხ. მოსწ. წიგნი, გვ. 30). ამოწერე ფრაზა, რომელიც ამას დაადასტურებს.**

საიდან ჩანს, რომ:

ა. „სიცრუის დეტექტორის“ ანუ პოლიგრაფის გამოყენების ერთ-ერთი მთავარი პრინციპი სწორედ პულსზე დაკვირვებაა.

___

___

ბ. „სიცრუის დეტექტორით მიღებული შედეგები შემთხვევითისგან არაფრით განსხვავდება“.

___

___

**2. უპასუხე შეკითხვებს და დაასაბუთე პასუხები სათანადო არგუმენტებით.**

ა. რატომ არ მიიჩნევს სასამართლო სიცრუის დეტექტორის შედეგებს სამხილად?

ბ. რამდენად დამაჯერებელი და სარწმუნოა ამერიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დასკვნა და რას ემყარება ის?

გ. როგორც სამხილს, რა ნაკლი აქვს სიცრუის დეტექტორს და რატომ?

**3. გამოიყენე წიგნში მოცემული ინფორმაცია არგუმენტისა და არგუმენტირებული საუბრის შესახებ (გვ.31) და უპასუხე შეკითხვებს.**

ა. რა არის არგუმენტი და რისთვის არის ის საჭირო?

ბ. შესაძლებელია თუ არა, რომ არგუმენტების გარეშეც დავადგინოთ ჭეშმარიტება?

გ. შეიძლება თუ არა, არსებობდეს პოზიცია არგუმენტის გარეშე? რატომ?

დ. რა არის „ლოგიკა“ და რა აყალიბებს ძლიერ ლოგიკას?

ე. დაასახელე არგუმენტის შემადგენელი ელემენტები.

ვ. შესაძლებელია თუ არა არგუმენტის არსებობა თუნდაც ერთ-ერთი ელემენტის არარსებობის შემთხვევაში? რატომ?

ზ. რას ემყარება არგუმენტირებული პოზიცია ანუ დასკვნა?

თ. შესაძლებელია თუ არა, რომ დასკვნა არგუმენტის მხოლოდ ერთი შემადგენელი ელემენტისაგან მომდინარეობდეს? რატომ?

ი. არსებობს თუ არა არგუმენტი, რომლის უარყოფაც არ შეიძლება?

კ. რა უარყოფს არგუმენტს?

ლ. რას ემყარება ძლიერი არგუმენტი?

**4. დაუბრუნდი წიგნში მოცემულ ინფორმაციას. თავიდან გაეცანი შეთავაზებულ მეთოდებს და დაასახელე მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავებები მოცემული კითხვების გათვალისწინებით.**

- რას იყენებს ესა თუ ის მეთოდი?
- ვინ სად და როდის იყენებს ამა თუ იმ მეთოდს?
- რა არის კონკრეტული მეთოდის მიზანი?

**5. გაეცანი მოცემულ ინფორმაციას და შეასრულე ქვემოთ მოცემული დავალება.**

არგუმენტად, როგორც წესი, მიიღება:

- ფაქტები
- სტატისტიკა, კვლევების შედეგები
- ანალოგიები (მაგ.: ლოგიკური სტრუქტურის მიხედვით, თუ A და B ერთმანეთის მსგავსია (A = B) და A-ს შესახებ ნათქვამი სიმართლეა, მაშინ ის სიმართლეა B-ს შემთხვევაშიც).

  **ნიმუში:** *ზაზამ და ნიკამ ერთნაირად დაწერეს საკონტროლო. თუ ზაზას ნაწერი კარგი აღმოჩნდა და მან მაღალი შეფასება მიიღო, მაშინ კარგია ნიკას ნაწერიც და მანაც მაღალი შეფასება უნდა მიიღოს.*

- მიზეზშედეგობრივი კავშირით (რა იყო მანამდე, რა არის და რა იქნება შემდეგ).

  **ნიმუში:** გიას მასწავლებელი შეეცვალა. გაკვეთილი უინტერესო გახდა. გიამ მეცადინეობას მოუკლო და, შესაბამისად, ცუდი ნიშნებიც მიიღო.

- ავტორიტეტული პირის გამონათქვამით (მაგ., როგორც ... ამბობს; მისი ინფორმაციით...)

**ა.** წაიკითხე მოცემული დებულება, გაეცანი კონკრეტულ არგუმენტებს და უპასუხე შეკითხვებს.

*ადამიანის ჯანმრთელობა ყველაზე მეტად დამოკიდებულია მისი ცხოვრების წესზე.*

1. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ბოლო მონაცემებით, ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა 70%-ით ჩვენი ცხოვრების წესსა და კვებაზეა დამოკიდებული.
2. ლელას მეზობელმა თავი დაანება სპორტს და მოწევა დაიწყო. ამას დაემატა უძილობა, დატვირთული რეჟიმი, გადაღლა და, სულ რაღაც, სამ თვეში საავადმყოფოში მოხვდა.
3. იმავე მონაცემებით, ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას 15%-ით სამედიცინო მომსახურება განსაზღვრავს, 15%-ით კი – გენეტიკა.
4. ის ადამიანები, რომლებიც ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრობენ, ჯანმრთელებიც არიან და დიდხანსაც ცხოვრობენ.
5. არტურ შოპენჰაუერის აზრით, „ჩვენი ცხოვრების ცხრა მეათედი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ჯანსაღია ჩვენი ცხოვრების წესი“.

- რომელი არგუმენტი არ ასაბუთებს მოცემული დებულების ჭეშმარიტებას და რატომ?
- რას ემყარება ცალკეული არგუმენტი?
- რომელი არგუმენტია შენთვის ყველაზე ძლიერი და დამარწმუნებელი და რატომ?
- რომელია სუსტი არგუმენტი და რატომ?

**6. გაეცანი მოცემულ დებულებებს და გაამყარე ისინი სათანადო არგუმენტებით. გააცანით ერთმანეთს თქვენი არგუმენტები და იმსჯელეთ მათ შესახებ.**

I. *უმრავლესობამ იცის თამბაქოს მავნებლობის შესახებ, მაგრამ ისინი ფიქრობენ, რომ ეს საშიშროება მათ არ ემუქრებათ.*

II. *თამბაქოს მოწევის დაწყების ერთ-ერთ მიზეზად მკვლევრები ცნობისმოყვარეობას ასახელებენ.*

**1. შეასრულე წიგნში მოცემული დავალებები (გვ.32-33).**

ა. <u>შეავსე წინადადებებში გამოტოვებული ადგილები და წაიკითხე</u> (დავალება №2).

1. ____________________
2. ____________________
3. ____________________
4. ____________________
5. ____________________
6. ____________________

ბ. <u>გაასწორე არასწორად ნახმარი კავშირები და წაიკითხე</u> (დავალება №4)

1. ____________________
2. ____________________
3. ____________________
4. ____________________
5. ____________________
6. ____________________

გ. აირჩიე სათანადო ნაწილაკები კონტექსტის მიხედვით და ჩაწერე ( დავალება № 7).

- ოთხიდან მხოლოდ სამი____ დარჩა. (*ოდე, ღა, ც*)
- ეს ________________ თვითონ იმ კაცმა თქვა? (*თუ, ხომ, კიდეც*)
- ____________________ არც მოვიდეს, ხომ შეიძლება? (*ეგებ, თითქმის, თურმე*)

**2. გაიხსენე წიგნში მოცემული ტექსტები ცნობილ დეტექტივებთან დაკავშირებით. წაიკითხე მოცემული ინფორმაციები და ჩაწერე, ვისზეა საუბარი.**



**შერლოკ ჰოლმსი**



**ერკიულ პუარო**




**ეის ვენტურა**

ა. ცხოვრობს ლონდონში, წარმოშობით ბელგიელია, თუმცა ყველას ფრანგი ჰგონია. ____________________

ბ. უემოციო და პრინციპულია, რომელიც ყოველთვის აღწევს მიზანს. ____________

გ. ის სახლიდან გაუსვლელად ხსნის საქმეებს. ____________________

დ. ის ყველაზე უცნაური და არაორდინალურია. ____________________

ე. ის არავის უჯერებს და არც წინათგრძნობებს ენდობა. ____________

ვ. ის ერთადერთია მსოფლიოში და ამიტომაც ის ყველგან არის, სადაც მისი დახმარება სჭირდებათ. ____________________

ზ. ის არც ხასიათითა და არც გარეგნობით არ ჰგავს დეტექტივს. ____________

თ. ის თითქმის არ სვამს, მაგრამ მუდმივად ეწევა. ____________________

ი. უყვარს საკუთარ თავზე ზრუნვა და კომფორტი. ____________________

**3. გამოიყენე წიგნი, შეავსე მოცემული ცხრილი და გააცანი კლასელებს.**

| | შერლოკ ჰოლმსი | ერკიულ პუარო |
|---|---|---|
| მსგავსება | | |
| განსხვავება | | |

**4. გამოიყენე წინა დავალება და ისაუბრე შერლოკ ჰოლმსისა და ერკიულ პუაროს შესახებ. შენი აზრით, ისინი უფრო მეტად ჰგვანან ერთმანეთს თუ განსხვავდებიან? გამოყავი თითო-თითო შტრიხი, რომელიც, შენი აზრით, ყველაზე მეტად გამოკვეთს მათ.**

**5. დაადასტურე ან უარყავი მოცემული ინფორმაცია და დაასაბუთე შენი პასუხი წიგნის მიხედვით.**

**ა.** არტურ კონან დოილი განსხვავებული ჟანრის მწერალი იყო. ______________

**ბ.** ის ედგარ ალან პოს დეტექტიური ჟანრის ფუძემდებლად მიიჩნევდა. ____________

**გ.** არტურ კონან დოილი ბავშვობიდან ოცნებობდა მწერლობაზე. ______________

**დ.** შერლოკ ჰოლმსის ავტორი გარდაცვალების შემდეგ გახდა პოპულარული. ________

**6. დააკავშირე ერთმანეთთან და გადაწერე.**

| | | |
|---|---|---|
| გავლენის | დათმობა | ______________________ |
| თავის | მინიჭება | ______________________ |
| დროის | გახსნა | ______________________ |
| წოდების | მოხდენა | ______________________ |
| კვანძის | დანებება | ______________________ |

**7. დაუბრუნდი წინა დავალებას და აღადგინე კონტექსტი. ჩაწერე წინადადებები ცხრილის I სვეტში და გააცანი კლასელებს. შეადარეთ, ვის უკეთ გახსოვთ.**

| როგორ მახსოვს? | როგორ არის სინამდვილეში? |
|---|---|
| 1. | 1. |
| 2. | 2. |
| 3. | 3. |
| 4. | 4. |
| 5. | 5. |

1. **შეამოწმე შენი წინადადებები წიგნში და ჩაწერე ცხრილის II სვეტში. შეადარე სვეტები ერთმანეთს. რა დაემთხვა და რა – არა? განმარტე, რას ნიშნავს მოცემული ფრაზები.**

   ა. თავი დაანება ექიმობას. ______

   ბ. მთელი დრო მწერლობას დაუთმო. ______

2. **გამოიყენე წიგნი და შეავსე სათანადო ინფორმაციით.**

სად და როდის დაიბადა? ______

ოჯახი: ______

______

წარმატებები: ______

გარდაცვალება: ______

განათლება და საქმიანობა: ______



შემოქმედებითი მოღვაწეობა: ______

ედგარ ალან პოს როლი და გავლენა: ______

მისი გატაცებები და უნარები: ______

3. **მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დაუსვით ერთმანეთს შეკითხვები და უპასუხეთ.**

4. **გამოიყენე სქემა და ისაუბრე არტურ კონან დოილის შესახებ.**

## 2. შერლოკ ჰოლმსი და მისი ისტორია

**5. დააკვირდი სურათებს, რა საერთო აქვთ ამ ადამიანებს ერთმანეთთან? ვინ რით უკავშირდება ერთმანეთს?**

**6. გაიხსენე კონან დოილის ედინბურგის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდი და შეავსე ქვემოთ მოცემულ წინადადებებში გამოტოვებული ადგილები.**



**კონან დოილი**



**ჯოზეფ ბელი**



**შერლოკ ჰოლმსი**



**ექიმი უოტსონი**

ა. ______________________ ______________________ მუდმივი თანამგზავრი და მეგობარია.

ბ. ______________________ ______________________სტუდენტი იყო.

გ. ______________________________ შერლოკ ჰოლმსის პროტოტიპია.

დ. ______________________ ბევრი რამ აქვს საერთო თავად ________________.

**7. გამოიყენე წიგნი და შეამოწმე ნაწერი.**

**8. დაუბრუნდი წინა დავალებას და დააკონკრეტე, რა აქვთ მათ საერთო ერთმანეთთან.**

| | |
|---|---|
| **ჯოზეფ ბელსა და შერლოკ ჰოლმსს?** | |
| **კონან დოილსა და ექიმ უოტსონს?** | |

**9. გამოიყენე ტექსტი და დაასაბუთე მოცემული ინფორმაციები.**

<u>საიდან ჩან, რომ:</u>

ა. ექიმ უოტსონს ლიტერატურული ნიჭი აქვს?

ბ. ექიმ ჯოზეფ ბელს დეტექტივის უნარები გააჩნია?

გ. შერლოკ ჰოლმსი არცერთ დეტალს არ ტოვებს ყურადღების მიღმა?

დ. კონან დოილს, თავისი პერსონაჟის მსგავსად, გამომძიებლის უტყუარი ალღო აქვს?

**1. მოძებნე შერლოკ ჰოლმსის შესახებ მოცემულ ინფორმაციაში ენობრივი შეცდომები და გაასწორე. წაიკითხე და დააზუსტე შესრულებული დავალების სიზუსტე.**

| | |
|---|---|
| არის მაღალი და ხმელი აღნაგობისა, ფიზიკურად საკმაოდ უძლიერესია. კარგად ფლობს აღმოსავლურ სამთაბრძოლებს. როგორც მოყვარული მოკრივე, რინგშიც არაერთხელ გადასულა. შესანიშნავად ესვრის მიზანს, ფლობს ფარიკაობის ილეთებსაც.<br>აქვს კარგი იუმორის გრძნობა. აქვს საკმაოდ განათლება, ფლობს ლათინურს, ახლოს იცნობს რომაელ პოეტებსა და გოეთეს, ძველ დამწერლობებს. არის სხვადასხვა თემებზე შექმნილი რამდენიმე სამეცნიერო წიგნების ავტორი. ჩინებულად იცის გეოგრაფია და ისტორია. კარგად იცნობს ადამიანის ფსიქოლოგიასაც. აქვს მუსიკის განათლებაც. უყვარს ვაგნერი და კარგად უკრავს ვიოლინოს. შესანიშნავი ქიმიკოსი და ბოტანიკოსია. მისი უკანასკნელი გატაცება მეფუტკრეობაა. | |

**2. უპასუხე შეკითხვებს.**

ა. განმარტე, რას ნიშნავს „ხმელი აღნაგობა“? __________

ბ. სპორტის რომელ სახეობებს ფლობს შერლოკ ჰოლმსი? __________

გ. ჩამოთვალე დარგები, რომლებშიც ის კარგად ერკვევა. __________

დ. საიდან ჩანს, რომ ის არ იყო, უბრალოდ, მოყვარული მუსიკოსი? __________

ე. ჰყავდა თუ არა მას საყვარელი პოეტები? საიდან ჩანს? __________

ვ. რაში ვლინდება სიძველეებთან მისი განსაკუთრებული დამოკიდებულება? __________

ზ. რომელი მიმართულებით მუშაობდა შერლოკ ჰოლმსი, როგორც მეცნიერი? __________

**3. გამოიყენე ინფორმაცია ენდრიუ ლეინის შესახებ და შეასრულე წიგნში მოცემული დავალება (გვ.39 , დავალება №6).**

ა. ________________________________________________

________________________________________________

ბ. ________________________________________________

________________________________________________

გ. ________________________________________________

________________________________________________

„ბასკომბის ველის საიდუმლოება"

**4. წაიკითხე განმარტება და დააკავშირე შესაბამის სიტყვასთან.**

მემამულე მოიჯარე მეველე

ა. მსხვილი მიწათმფლობელი, თავად-აზნაურთა წრიდან გამოსული მიწის მესაკუთრე. ______________

ბ. ნათესი მინდვრისა და ბაღ-ვენახის მცველი. ______________

გ. უძრავი ქონების დროებით დამქირავებელი, რაიმე სამუშაოს იჯარით ამღები. ______________

**5. წაიკითხე და შემოხაზე სწორი ვარიანტი.**

დოღი არის:

ა. ცხენების ბაზრობა;

ბ. ცხენების ჭენებაში შეჯიბრება;

გ. ცხენბურთის ინგლისური ვარიანტი.

**6. მოძებნე მსგავსი წყვილი და შემოხაზე.**

ვენახი – მეველე

ა. თევზი – მეთევზე

ბ. რძე – მერძევე

გ. ტყე – მეტყევე

დ. ბაღი – მებაღე

**7. გამოიყენე წიგნში მოცემული I ეპიზოდი (გვ. 41, დავალება №3) და შეასრულე მითითებები.**

- **უპასუხე შეკითხვებს.**

ა. სად გამდიდრდა მისტერ ჯონ ტერნერი?

ბ. რის შემდეგ დაბრუნდა ჯონ ტერნერი ინგლისში?

გ. ვინ იყვნენ ჯონ ტერნერი და ჩარლზ მაკართი ერთმანეთისთვის?

დ. სად გაიცნეს მათ ერთმანეთი?

ე. რა აქვთ ჯონ ტერნერსა და ჩარლზ მაკართის ერთმანეთთან საერთო?

- **შეავსე ცხრილი ჯონ ტერნერისა და ჩარლზ მაკარის შესახებ ინფორმაციით.**

| | ჯონ ტერნერი | ჩარლზ მაკარი |
|---|---|---|
| ვინაობა | | |
| წარმომავლობა | | |
| ოჯახური მდგომარეობა | | |
| საქმიანობა | | |
| საცხოვრებელი ადგილი | | |
| ჰობი და ინტერესები | | |

- **გამოიყენე მოცემული ინფორმაციები, დაუსვით ერთმანეთს შეკითხვები და უპასუხეთ.**

1. **წაიკითხე და მონიშნე სათანადო უჯრა II ეპიზოდის მიხედვით. დაასაბუთე დავალების სისწორე ტექსტიდან სათანადო არგუმენტების მოხმობით.**

| | სწორია | არ არის სწორი | არ ჩანს |
|---|---|---|---|
| ა. სამ საათზე მაკართი უკვე ბასკომბის ტბორის ნაპირთან იდგა. | | | |
| ბ. არსებობენ მოწმეები, რომლებიც ადასტურებენ, რომ მაკართი აღელვებული მიდიოდა. | | | |
| გ. არსებობენ ის მოწმეებიც, რომლებიც ჯეიმს მაკართის ადებენ ხელს. | | | |
| დ. მამას უკან მიჰყვებოდა შვილი. | | | |
| ე. ჯეიმსმა არ იცოდა, რომ მამას შეხვედრა ჰქონდა დათქმული ტბორის ნაპირთან. | | | |
| ვ. მეტყევე ფიქრობს, რომ მამა შვილმა მოკლა. | | | |
| ზ. ბასკომბის ველისაკენ მიმავალ ჯეიმსს თოფთან ერთად მხარზე პატარა ჩანთაც ჰქონდა გადაკიდებული. | | | |
| თ. მამა-შვილს პატარა შეკამათება მოუვიდა. | | | |
| ი. მეველის შვილმა დაინახა, როგორ გაიწია მამამ შვილზე. | | | |
| კ. პოლიციამ მოწმეთა ჩვენებები სამხილად მიიჩნია და ჯეიმსი დამნაშავედ ცნო. | | | |
| ლ. ჯეიმსი ცდილობდა, თავისი უდანაშაულობა დაემტკიცებინა. | | | |

2. **წაიკითხე განმარტებები, მოძებნე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები მითითებულ ეპიზოდში და ამოწერე.**

   ა. იგივეა, რაც გუბე. ____________________

   ბ. ტანმაღალი მცენარე, რომელიც მდინარეებისა და ტბების ნაპირებზეა გავრცელებული. ____________________

**3. წაიკითხე განმარტებები და შემოხაზე, რომელი მნიშვნელობით არის ნახმარი მითითებული სიტყვა მოცემულ წინადადებაში.**

*აღელვებული ჯეიმსი უქუდოდ და უთოფოდ შეჭრილა მეველის სახლში.*

შეჭრილი არის:

1. გარედან შიგნით სიღრმივ გაჭრილი;
2. მოჭრილი, მოკვეცილი;
3. ღრმად შესული, შეღწეული;
4. სწრაფად შესული, შევარდნილი;
5. გავრცელებული, დანერგილი (რაიმე კულტურა)

**4. წაიკითხე წინადადებები და დააკავშირე წინა დავალებასთან. მიუთითე, რომელი მნიშვნელობით არის ნახმარი სიტყვა „შეჭრილი“ ცალკეულ შემთხვევაში.**

**ა.** გარედან შეჭრილმა ხმაურმა იქ დამსწრეთა ყურადღება მიიპყრო. ________

**ბ.** სილაში შეჭრილი ნავი არც კი ირყეოდა. ________

**გ.** ყურე წყალში შეჭრილი ხმელეთია. ________

**დ.** მამამ შეჭრილი ტოტები ბაღის კუთხეში დაყარა. ________

**5. გადახაზე ზედმეტი სიტყვა.**

**ა.** ულრანი დაბურული ბნელი გაუვალი
**ბ.** ტბა ტბორი გუბე ჩანჩქერი
**გ.** შეჭრილი შეკრეჭილი სწრაფად შესული შევარდნილი
**დ.** მკაცრი უხამსი უწმაწური უშვერი

**6. დაალაგე მოცემული ინფორმაციები თანამიმდევრულად და გააცანი კლასელებს. რა მოხდა პირველად და რა – შემდეგ?**

**ა.** მაკართი გზად მეტყევეს შეხვდა. ________
**ბ.** აღელვებული ჯეიმსი მეველის სახლში შეიჭრა. ________
**გ.** გამოძიებამ ჯეიმსს განზრახ მკვლელობაში ბრალი წაუყენა. ________
**დ.** მაკართი მსახურს ესაუბრა. ____1____
**ე.** ის როსში ჩავიდა და ჩამოვიდა. ________
**ვ.** მამა-შვილმა ტბორის ნაპირთან იჩხუბა. ________
**ზ.** მეველე და ჯეიმსი შემთხვევის ადგილზე დაბრუნდნენ. ________
**თ.** ჯეიმსი ბასკომბის ველის მიმართულებით წავიდა. ________
**ი.** მეველის შეშინებული ქალიშვილი სახლში გაიქცა. ________
**კ.** მეტყევე ჯეიმსს გადაეყარა. ________

**7. გამოიყენე წიგნი და შეამოწმე დავალების სისწორე.**

**8. იმსჯელეთ პოლიციის გადაწყვეტილების შესახებ (ყურადღება მიაქციე 54-ე გვერდზე მოცემულ მითითებას).**

- სწორია თუ არა პოლიციის გადაწყვეტილება და რატომ?
- რა სამხილებს ეყრდნობა პოლიცია და არის თუ არა, შენი აზრით, ისინი უტყუარი?
- შესაძლებელია თუ არა, რომ პოლიცია ცდებოდეს და რატომ?
- იწვევს თუ არა პოლიციის გადაწყვეტილება შენში ეჭვს და რატომ?
- არსებული ფაქტების გათვალისწინებით, არსებობს თუ არა ისეთი რამ, რამაც, შესაძლოა, საქმე შემოატრიალოს?
- შეიძლება თუ არა, დაეყრდნო რამეს ჯეიმსის სასარგებლოდ?

***მსჯელობამდე*** *მეწყვილესთან ერთად შეავსე მოცემული ბლოკები საჭირო ინფორმაციით, ჩამოაყალიბეთ პოზიცია, მოამზადეთ მყარი არგუმენტები და მოემზადეთ მსჯელობისათვის.*

I. ფაქტები: რა მოხდა 3 ივნისს?

II. მოწმეთა ჩვენებები:

III. პოლიციის სამხილები:

IV. საეჭვო გარემოება (თუკი არსებობს ასეთი), რომელიც ბოლომდე გარკვეული არ არის:

V. კითხვები (თუკი არსებობს ასეთი), რომლებზეც პასუხები არ ჩანს:

VI. შესაძლო მტკიცებულებები ჯეიმსის სასრგებლოდ:

**1. დაკითხვის ოქმის მოსმენამდე, კიდევ ერთხელ გადახედე შერლოკ ჰოლმსისა და უოტსონის პოზიციებს ამ საქმესთან დაკავშირებით და ჩაინიშნე ძირითადი აქცენტები.**

I. შერლოკ ჰოლმსის პოზიცია: ______________________________
არგუმენტები: ______________________________
______________________________

II. ექიმ უოტსონის პოზიცია: ______________________________
არგუმენტები: ______________________________
______________________________

**2. წაიკითხე მოცემული ინფორმაცია და შეასრულე მითითებები.**

*<u>წინ გავქანდი</u> და დავინახე, რომ ტბორის წინ იდგა. შევატყვე, ჩემმა გამოჩენამ გააკვირვა და მკვახედ მკითხა, აქ რას აკეთებო.*

**ა.** გაიხსენე კონტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.
- ვინ არის მთხრობელი?
- ვის შესახებ საუბრობს ის?

**ბ.** შეუწყვე მოცემულ ზმნებს პირები და მიუთითე, რომელია სუბიექტი და რომელი – ობიექტი.

გავქანდი ______________________________
დავინახე ______________________________
იდგა ______________________________
შევატყვე______________________________
გააკვირვა______________________________
მკითხა ______________________________
აკეთებ ______________________________

**გ.** ამოწერე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა.
სასტიკად, ულმობლად, მკაცრად, ______________________________

**დ.** შემოხაზე, მოცემული განმარტებებიდან, რომელი მნიშვნელობით არის ნახმარი ხაზგასმული სიტყვა?

**გაქანება არის:**

1. რაღაცის გარხევა, განძრევა, გარწევა
2. რაღაცის სწრაფად წაღება, წაყვანა
3. სწრაფად წასვლა, გაშურება
4. გადატ. შესაძლებლობა, გაბედულება, სითამამე; სიფართოვე, მასშტაბი
5. გადატ. მონდომებით, შემართებით; მთელი ძალით

**3. 🎧 მოისმინე დაკითხვის სრული ვერსია და გააკეთე ჩანაწერები. მოსმენამდე კარგად გაეცანი მოცემულ კითხვებს (გვ.55-56).**

<u>ჯეიმსის მონათხრობი:</u>

**ა.** სად იყო და როდის დაბრუნდა სახლში ჯეიმსი? ______________________________

**ბ.** სად იყო ამ დროს მამამისი? ______________________________

**გ.** როდის და სად ნახა მან მამა პირველად? ______________________________

**დ.** რისთვის აიღო ჯეიმსმა თოფი? ______________________________

ე. რა გააკეთა ბიჭმა, როცა „გუიი!“ გაიგონა? ____________________________

ვ. რა რეაქცია ჰქონდა მამას შვილის დანახვაზე? ____________________________

ზ. რატომ გაეცალა ჯეიმსი მამას? ____________________________

თ. რატომ დაბრუნდა უკან? ____________________________

ი. როგორ ახასიათებს მამას? ____________________________

დაკითხვის ეპიზოდი:

ა. რა უთხრა სიკვდილის წინ მამამ შვილს? ____________________________

ბ. რატომ ჩათვალა ჯეიმსმა, რომ მამა ბოდავდა?

გ. რატომ არ სურს ჯეიმს, ისაუბროს მამასთან ჩხუბის მიზეზზე?

დ. თუკი ჩხუბის მიზეზს კავშირი არ აქვს მკვლელობასთან, რატომ ირჩევს დუმილს? გაითვალისწინე! მან იცის, რომ დუმილი მის საწინააღმდეგოდ იმოქმედებს.

ე. რას მოჰკრა უკან მიბრუნებულმა ჯეიმსმა თვალი და სად არის ეს სამხილი?

**1. გამოიყენე წინა დავალება და მეწყვილესთან ერთად მოემზადე მსჯელობისათვის.**

*იმოქმედებს თუ არა ჯეიმსის პასუხები მასზე დამამძიმებლად?*

**მსჯელობამდე** ჩამოაყალიბეთ თქვენი პოზიციები მოცემულ შეკითხვებზე და და მოძებნეთ მტკიცე არგუმენტები მათ გასამყარებლად.

- არის თუ არა ჯეიმსის მონათხრობში რამე საეჭვო?
- თუკი მამამისს არ დაუნახავს შვილი, ან უარესი – იცოდა, რომ ის ბრისტოლში იყო, მაშ, რატომ ეძახდა?
- გაიხსენე, რას ამბობს ჯეიმსი სამხილის (რუხი მოსასხამის თუ რაღაც ამგვარის) შესახებ.
- შესაძლებელია თუ არა, რომ მკვლელი, მართლაც, იქვე იყო?
- ამბობს თუ არა ჯეიმსი სიმართლეს?

**2. გამოიყენე წიგნი (გვ. 43) და შეასრულე მოცემული მითითებები.**

- *დაადასტურე ან უარყავი მოცემული ინფორმაციები და დაასაბუთე შესაბამისი არგუმენტებით.*

ა. ლესტრეიდი ზედმეტად დაჯერებულია საკუთარ თავში. __________
**საიდან ჩანს?** ____________________________
____________________________

ბ. მის ტერნერთან საუბარმა შერლოკ ჰოლმსს გამამართლებელი განაჩენის იმედი მისცა. ________
**საიდან ჩანს?** ____________________________
____________________________

გ. ლესტრეიდი დარწმუნებულია, რომ შერლოკ ჰოლმსი ჯეიმსს გაამართლებს. ______
**საიდან ჩანს?** ____________________________
____________________________

დ. მის ტერნერისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა ის, რომ შერლოკ ჰოლმსმა ჯეიმსის უდანაშაულობა არ გამორიცხა. __________
**საიდან ჩანს?** ____________________________
____________________________

ე. როგორც ჩანს, მის ტერნერი არ იყო ჯეიმსის მიმართ გულგრილი. __________
**საიდან ჩანს?** ____________________________
____________________________

- *დაუბრუნდი მოცემულ ეპიზოდს და ჩაინიშნე გამომძიებელ ლესტრეიდისა და მის ტერნერის პოზიციები ამ საქმესთან დაკავშირებით.*

I. ლესტრეიდის პოზიცია: ______
არგუმენტები: ______
______

II. მის ტერნერის პოზიცია: ______
არგუმენტები: ______
______

**3. რა ახალი დეტალები გამოიკვეთა საქმეში? გამოიყენე წიგნში მოცემული ტექსტები (გვ.44 ) და დაასრულე წინადადებები. წაიკითხე და შეადარე სხვების ვარიანტებს.**

შერლოკ ჰოლმსის აზრით:

ა. ჯეიმსმა მართლაც არ ______

ბ. ჯეიმსი ღირსეული ______

გ. მას სიცოცხლეზე მეტად ______

**4. რა მტკიცებულებები დადო ექიმმა უოტსონმა საკუთარი დასკვნების გასამყარებლად? გამოიყენე წიგნში მოცემული მასალა (გვ. 44, მეორე ტექსტი) და ამოწერე შესაბამისი მტკიცებულებები.**

ა. *ჯეიმსს არ შეეძლო მამისთვის ასეთი დაზიანების მიყენება.*

**მტკიცებულებები:** ______
______

ბ. *მომაკვდავ მამას შვილისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდება სურდა.*

**მტკიცებულებები:** ______
______

გ. *რუხი მოსასხამი მკვლელს ეკუთვნის.*

**მტკიცებულებები:** ______
______

**5. გაეცანი ყველა მტკიცებულებას და ისე გააკეთე დასკვნები მოცემული კითხვების გათვალისწინებით. იმუშავე მეწყვილესთან ერთად. გააცანით თქვენი პოზიციები კლასელებს და დაასაბუთეთ სათანადო არგუმენტებით.**

| მტკიცებულებები | კითხვები |
|---|---|
| • ჯეიმსს მამასთან წალაპარაკება მოუვიდა.<br>• მას არ სურს, გამოძიებას ამის შესახებ უამბოს.<br>• ჯეიმსს სიგიჟემდე უყვარს მის ტერნერი.<br>• ის წინააღმდეგია მის ტერნერთან ქორწინებისა. | • რის შესახებ წაკამათდა მამა-შვილი?<br>• რატომ არის ჯეიმსი წინააღმდეგი, დაქორწინდეს საყვარელ ადამიანზე?<br>• რატომ მალავს მამასთან წაკამათების მიზეზს გამოძიებასთან? |

**დასკვნები:**

ა. ______

ბ. ______

გ. ______

**არგუმენტები, რომლებიც შენს პოზიციებს გაამყარებს:**

ა. ______

ბ. ______

გ. ______

1. **შეასრულე წიგნში მოცემული დავალება (გვ.46, დავალება №2). დაწერე, რატომ შეიძლებოდა ასე ყოფილიყო.**

ა. *მოკლულს ტბორის ნაპირზე შეხვედრა ჰქონდა დანიშნული ვიღაც კაცთან და ეს ვიღაც არ შეიძლებოდა, მისი შვილი ყოფილიყო.*

*რატომ?* ______

ბ. *„გუიი", რასაც მოკლული ყვიროდა, ასევე არ შეიძლებოდა მისი შვილი ყოფილიყო.*

*რატომ?* ______

2. **გააცანით ერთმანეთს თქვენი ვერსიები და დაასაბუთეთ.**

3. **დაუბრუნდი შერლოკ ჰოლმსის მიერ ჩატარებული ძიების ეპიზოდს (მოსწ. წიგნი, გვ. 46-47) და შეასრულე მითითებები.**

ა. *უპასუხე შეკითხვებს მოკლედ.*

- რა გააკეთა, პირველ რიგში, შერლოკ ჰოლმსმა? ______
- რის ძებნა დაიწყო? ______
- როგორ მოქმედებს ჰოლმსი? ______
- როგორია ლესტრეიდის რეაქცია მის მიმართ? ______
- გაიხსენე წინა ეპიზოდები და ახსენი ლესტრეიდის რეაქციის მიზანი.
- როგორია ექიმ უოტსონის დამოკიდებულება და რატომ? ______

*ბ. რა სამხილები შეაგროვა შერლოკ ჰოლმსმა და საიდან?*

_______________________________________________

_______________________________________________

_______________________________________________

**4. შეასრულე წიგნში მოცემული დავალება (გვ.47, დავალება №5). მეწყვილესთან ერთად ჩამოაყალიბე საკუთარი პოზიცია და გააცანი კლასელებს. დაასაბუთეთ, რატომ ფიქრობთ ასე.**

ა. დაასახელე მკვლელობის იარაღი: ______________________

ბ. შეადგინე მკვლელის პორტრეტი:

**გამოიყენე:** დაკითხვებით მოპოვებული ინფორმაციები;
მნიშვნელოვანი გარემოებები, რომლებსაც ჰოლმსი ასახელებს;
დანაშაულის ადგილის შესწავლის შედეგად მოპოვებული ინფორმაციები.

ფიზიკური აღწერილობა: ______________________

_______________________________________________

_______________________________________________

ჩაცმულობა: ______________________

სხვა დამახასიათებელი დეტალები: ______________________

_______________________________________________

_______________________________________________

**5. ჩაწერე, რას ფიქრობს შერლოკ ჰოლმსი ლესტრეიდთან მისი დიალოგის მიხედვით. საჭიროებისამებრ, მოისმინე დიალოგი განმეორებით.**

**ა.** მკვლელობის იარაღი: ______________________

**ბ.** მტკიცებულება: ______________________

______________________

**გ.** სავარაუდო მკვლელის მონაცემები:

ფიზიკური აღწერილობა: ______________________

_______________________________________________

_______________________________________________

ჩაცმულობა: ______________________

სხვა დამახასიათებელი დეტალები: ______________________

_______________________________________________

_______________________________________________

**დ.** გახსნილია თუ არა საქმე?

**ე.** როგორია ლესტრეიდის პოზიცია?

**1. წაიკითხე და შემოხაზე სწორი ვარიანტი. წაიკითხე და დააზუსტე მასწავლებლის დახმარებით.**

ცაცია არის ადამიანი:

1. რომელიც მარცხენა ხელს ხმარობს მარჯვენის ნაცვლად;
2. რომელიც მარჯვენა ფეხით კოჭლობს;
3. რომელსაც ცალი თვალი არ აქვს.

კოჭლი არის ის:

1. ვისაც მარჯვენა ფეხი აწუხებს, სტკივა;
2. ცალი ან ორივე ფეხი ისე აქვს დაშავებული (ან დამოკლებული), რომ სწორად ვერ დადის;
3. ვინც მარჯვენა ფეხს უფრო კარგად იყენებს, ვიდრე მარცხენას.

ბლაგვი არის:

1. მონადირის განსაკუთრებული დანა;
2. ის, რასაც პირი არ უვარგა, რაც ცუდად ჭრის;
3. ბლაგვი კუთხის მქონე დანა.

**2. დაუბრუნდი წინა დავალებას და შეადარე შენი და შენი მეწყვილის ვერსიები. რა დაემთხვა და რა – არა?**

**3. რას ჰყვება ჯონ ტერნერი? გამოიყენე წიგნში მოცემული ტექსტი (გვ.50-51, დავალება №3) და შეასრულე მითითებები I და II აბზაცების მიხედვით.**

ა. *უპასუხე შეკითხვებს.*

- არიან თუ არა ტერნერი და მაკართი მეგობრები? დაასაბუთე პასუხი.
- სად შეხვდა ტერნერი მაკართის პირველად?
- რას აკეთებდნენ ისინი იქ?
- რატომ ერქვა ტერნერს ზედმეტსახელად „ბალერეტელი შავი ჯეკი“? რას საქმიანობდა ის?
- როგორ დაიწყო ჯონ ტერნერმა ცუდი გზით სიარული? რა იყო ამის მიზეზი?
- რას საქმიანობდა მაკართი?
- რას ნანობს ჯონ ტერნერი იმ ფაქტის შემდეგ და რატომ?

ბ. *გამოიყენე კონტექსტი და დააკავშირე ერთმანეთთან.*

| | |
|---|---|
| კლანჭებში მოხვედრა | მოჭარბებული ენერგიის ქონა, ძალ-ღონე ერჩის. |
| სიცოცხლის მოწამლვა | დაპატრონება, ხელში ჩაგდება. |
| სისხლის დუღილი | გამწარება, აუტანლად გახდომა |

გ. *მოძებნე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა და ამოწერე.*

გზატკეცილი, ______________________

ძალადობით სხვისთვის რაიმეს წართმევა, ______________________

დადარაჯება, ______________________

დაზოგვა, შებრალება, ______________________

**4. რა მოხდა შემდეგ? უპასუხე შეკითხვებს დანარჩენი ტექსტის მიხედვით (იხ. იგივე ტექსტი).**

ა. სად გაწყვიტა კავშირი ძველ ამფსონებთან ჯონ ტერნერმა? შემოხაზე სწორი ვარიანტი და დაასაბუთე ტექსტის მიხედვით.
- იქვე, ბალერეტში
- სამშობლოსკენ მომავალ გზაზე
- სამშობლოში ჩამოსვლის შემდეგ

ბ. რა შეცვალა სამშობლოში დაბრუნებულმა ჯონ ტერნერმა?

გ. რამ ან ვინ დააყენა ის პატიოსან გზაზე?

დ. რის შემდეგ შეიცვალა ყველაფერი მის ცხოვრებაში?

ე. რა მოსთხოვა მას მაკართიმ?

ვ. რაზე მიანიშნა ძონძებში ჩაცმულმა მაკართიმ ტერნერს?

ზ. რა მიიღო მაკართიმ შანტაჟით?

თ. რატომ ასრულებდა ყველა მის სურვილსა და მოთხოვნას ჯონ ტერნერი?

ი. რატომ თქვა უარი მან მაკართის ბოლო მოთხოვნის შესრულებაზე?

**5. გაიხსენე ყველაფერი მაკართის შესახებ** *(შვილთან ურთიერთობა ტბორის ნაპირას, ჯეიმსის დახასიათება, ლესტრეიდის ინფორმაცია მის ცხოვრებაზე, ჯონ ტერნერის შეფასებები და ისტორია)* **და იმსჯელეთ მოცემულ შეკითხვებზე.**

- შენი აზრით, რით დაემუქრა მაკართი ტერნერს?
- როგორ ფიქრობ, აასრულებდა თუ არა ის თავის მუქარას? რატომ ფიქრობ ასე? დაასაბუთე პასუხი სათანადო არგუმენტებით.

**6. რა მოხდა ტბორთან, ჯონ ტერნერის სიტყვით? უპასუხე შეკითხვებს.**

ა. ვინ ნახა ტბორთან მიახლოებულმა ტერნერმა?

ბ. როგორ მოიქცა ის?

გ. რა ხდებოდა იქ? რისთვის ეჩხუბებოდა მაკართი შვილს?

დ. როგორი იყო ჯეიმსის პოზიცია?

ე. რამ მიიყვანა ჯონ ტერნერი საბოლოო გადაწყვეტილებამდე?

ვ. რა გადაწყვეტილება მიიღო მან?

ზ. ნანობს თუ არა ტერნერი იმას, რაც გააკეთა? საიდან ჩანს?

თ. რას ნიშნავს „*სინდისის ქენჯნა*“? შემოხაზე სწორი ვარიანტი.
1. დასჯის შიში;
2. საკუთარი ცუდი საქციელის გამო შეწუხება, სინანული;
3. სიბრალულის, შეცოდების გამოხატვა.

ი. რატომ არ ქენჯნის მას სინდისი?

# პროექტი

*„ჯონ ტერნერის გასამართლება“*

I. **პირველ რიგში, საერთო გადაწყვეტილებით შეარჩიეთ:**

- მოსამართლე და ნაფიცი მსაჯულები (რომლებსაც ყველა ენდობა)
- ბრალდებული (ჯონ ტერნერი)
- მოწმეები (ჯეიმსი, მეტყევე, მისი ქალიშვილი, ადგილობრივი გამომძიებელი, შერლოკ ჰოლმსი, ექიმი უოტსონი)

II. **დაიყავით ორ ჯგუფად და მოემზადეთ პროცესისათვის.**

| ბრალდების მხარე | დაცვის მხარე |
|---|---|
| 1. თავიდან შეისწავლე საქმე ბრალდების კუთხით.<br>2. შეაგროვე ყველა არგუმენტი და სამხილი იმისათვის, რომ:<br>• დაამტკიცო, ჯონ ტერნერი როგორი შეუბრალებელი მკვლელი და საშიში დამნაშავეა.<br>• გააბათილო დაცვის მხარის მტკიცებულებები;<br>• დაარწმუნო „მოსამართლე“ და „ნაფიცი მსაჯულები“ შენი მოთხოვნის სისწორეში.<br>3. მოემზადე მოწმეთა დასაკითხად პროცესზე:<br>• წინასწარ მოამზადე შეკითხვები;<br>4. მოემზადე საბოლოო სიტყვისათვის და მოიფიქრე, რას ითხოვ სასამართლოსაგან აღმკვეთ ღონისძიებად. | 1. თავიდან შეისწავლე საქმე დაცვის კუთხით.<br>2. მოიძიე ყველა არგუმენტი იმისათვის, რომ:<br>• დაამტკიცო ბრალდებულის უდანაშაულობა;<br>• გააბათილო ბრალდების მტკიცებულებები;<br>• დაამტკიცო, რატომ არ ჰქონდა ჯონ ტერნერს სხვა გამოსავალი;<br>• დაამტკიცო, რომ ჯონ ტერნერი, პირიქით, თავად არის მაკართის მსხვერპლი.<br>3. მოემზადე მოწმეთა დასაკითხად პროცესზე:<br>• წინასწარ მოამზადე შეკითხვები;<br>4. მოემზადე საბოლოო სიტყვისათვის და მოიფიქრე, რას სთავაზობ სასამართლოს ტერნერის გასამართლებლად.. |

# ჩვენ ვსწავლობთ პოლიტიკას!

## 1. საზოგადოება და სახელმწიფო

**1. გაეცანი დებულებას და იმსჯელე მოცემულ შეკითხვებზე. დაასაბუთე შენი პოზიცია შესაბამისი არგუმენტებით.**

*სახელმწიფო საზოგადოების შედეგია. ადამიანი ქმნის საზოგადოებას, საზოგადოება – ერს, ერი – სახელმწიფოს.*

**ა.** შეიძლება თუ არა, საზოგადოება არსებობდეს სახელმწიფოს გარეშე?
**ბ.** სახელმწიფოს არსებობა თუ არის შესაძლებელი საზოგადოების გარეშე?
**გ.** ვინ არიან ის ადამიანები, რომლებიც საზოგადოებას ქმნიან?
**დ.** რა აერთიანებთ ან რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან?

**2. გამოიყენე მოცემული ცხრილი და შეასრულე მითითებები.**

**ა.** ჩაიკითხე პირველი სვეტი და შეადარე მოცემული ინფორმაციები ერთმანეთს. რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის?
**ბ.** რა ნიშნით გაერთიანებაზეა კონკრეტულ შემთხვევაში საუბარი?
**გ.** რა განსხვავება შეიძლება არსებობდეს გარკვეული გაერთიანების შიგნით ან საზოგადოების წევრებს შორის?
**დ.** დააკავშირე პირველი და მეორე სვეტი ერთმანეთთან და ჩაწერე შესაბამისი ასო.

1. ________ 2. ________ 3. ________ 4. ________ 5. ________

| | |
|---|---|
| 1. „ქალთა გაერთიანება“ | ა. მათ გარკვეული გეოგრაფიული საზღვრები, საერთო საკანონმდებლო სისტემა და რაიმე ნაციონალური ერთობა აქვთ. |
| 2. „წიგნისმოყვარულთა საზოგადოება“ | ბ. პროფესიული ნიშნით გაერთიანებული ადამიანები. |
| 3. „ევროპული საზოგადოება“ | გ. გარკვეული სოციალური ფენის ადამიანების სტიქიური გაერთიანება. |
| 4. „ებრაული საზოგადოება“ | დ. საერთო ინტერესების მქონე სტიქიურად შექმნილი ჯგუფი ადამიანებისა. |
| 5. „მხატვართა გაერთიანება“ | ე. საერთო რელიგიის მქონე ადამიანთა ერთობა. |

**3. შენი აზრით, რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს საზოგადოებასთან ერთად ან მის გარეშე ცხოვრებას? შეავსე 64-ე გვერდზე მოცემული ცხრილი მეწყვილესთან ერთად და გააცანი კლასელებს. იმსჯელეთ თქვენი პოზიციების შესახებ. დაასაბუთეთ მათი მართებულობა.**

<u>მაგალითად:</u>

უფრო მარტივი ხდება ყოველდღიური პრობლემების გადაჭრა სხვების დახმარებით, ან პირიქით, უფრო მეტი პრობლემები ჩნდება განსხვავებულ ადამიანებთან ურთიერთობისას...

მრავალფეროვანი და საინტერესო ხდება ცხოვრება.

კარგავ საკუთარს და სხვებს ემსგავსები.

ნაკლები ურთიერთობა ნაკლებ პრობლემას ქმნის და პირიქით, ...

როცა არავის საქმეში არ ერევი, გაუგებრობებიც არ ხდება.

როცა იზოლირებულად ცხოვრობ, დაუცველი რჩები...

ეცნობი სხვების აზრებს, კულტურას, სწავლობ უფრო მეტს, იღებ გამოცდილებას.

მონაწილეობ რაღაც გადაწყვეტილებების მიღებაში, გარემო პირობების გაუმჯობესებაში და სხვა.



Qartuli_Done-12_RVEULI _ 63

| | დადებითი | უარყოფითი |
|---|---|---|
| ცხოვრება საზოგადოე-ბაში | | |
| ცხოვრება საზოგადოების მიღმა (გარეშე, იზოლირებუ-ლად) | | |

1. გამოიყენე მოცემული ინფორმაციები და უპასუხე შეკითხვებს.

**ნიკოლო დი ბერნარდო მაკიაველი** – იტალიელი პოლიტიკოსი, დიპლომატი, ჰუმანისტი, ფილოსოფოსი, მწერალი, ისტორიკოსი,სამხედრო თეორეტიკოსი.
დაბადება – 1469, 3 მაისი, ფლორენცია
გარდაცვალება – 1527, 21 ივნისი (დასაფლავებულია სანტა კროჩეს ეკლესიაში, მიქელანჯელოსა და გალილეის გვერდით.) ერთ-ერთი ვერსიით, იგი ნელამოქმედი საწამლავის მსხვერპლი გახდა.





**სოკრატე** – ბერძენი (ათენელი) ფილოსოფოსი (ძვ. წ. 470, 4 ივნისი – 399, 7 მაისი); მონაწილეობდა სამხედრო მოქმედებებში.
მამა – ღარიბი მოქანდაკე-ხელოსანი
ოჯახური მდგომარეობა – მეუღლე და სამი ვაჟი
ძლიერი ბუნებისა და მტკიცე ხასიათის ადამიანი; ღმერთების განკითხვის ბრალდებით დააპატიმრეს, სასამართლო პროცესზე დამნაშავედ სცნეს და სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანეს.

**პლატონი** – (ძვ. წ. 427 – 347) ბერძენი ფილოსოფოსი, ათენის აკადემიის დამფუძნებელი; სოკრატეს მოსწავლე და არისტოტელეს მასწავლებელი.
დაიბადა საშუალო შეძლების არისტოკრატთა ოჯახში.
ერთი ვერსიით, მისი დაბადების სახელი არისტოკლე უნდა ყოფილიყო, ხოლო პლატონი მისმა ჭიდაობის მასწავლებელმა დაარქვა ტანადობისა და ფიზიკური ძლიერების გამო. მეორე ვერსიით, პლატონი მას მისი ფართო შუბლის ან ფართო განათლების შეხედულებების გამო ეწოდა („პლატოს“ ბერძნულად ფართეს, ვრცელს ნიშნავს).



ა. რომელ საუკუნეში მოღვაწეობდა ნიკოლო მაკიაველი? ჩაწერე როგორც რომაული, ისე არაბული ციფრებით. ______________________________

ბ. რაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ მაკიაველი სანტა კროჩეს ეკლესიაში, მიქელანჯელოსა და გალილეის გვერდით არის დაკრძალული?

გ. ცნობილია თუ არა მისი გარდაცვალების რეალური მიზეზი? საიდან ჩანს?

დ. რას საქმიანობდა სოკრატე?

ე. რის გამო მიუსაჯეს მას სიკვდილი?

ვ. წაიკითხე და შემოხაზე, მოცემული განმარტებებიდან რომელი მნიშვნელობით არის სიტყვა „განკითხვა“ ნახმარი?

1. შებრალება, შეწყალება; მოწყალების მიცემა
2. გარჩევა, განხილვა; განსჯა, გასამართლება, პასუხის მოთხოვნა
3. რელიგ. ღვთის სამსჯავრო ქვეყნის აღსასრულის ჟამს, მძიმე განსაცდელი

ზ. რა აკავშირებდა პლატონს სოკრატესთან?

თ. საიდან მომდინარეობს მისი სახელი „პლატონი“?

ი. რა ვერსიები არსებობს ამ სახელის დარქმევასთან დაკავშირებით?

კ. სპორტის რომელ სახეობას ეუფლებოდა პლატონი მოცემული ინფორმაციის მიხედვით? საიდან ჩანს?

**2. ყურადღებით გაეცანი სოკრატეს შესახებ ქვემოთ მოცემულ ინფორმაციებს და შეასრულე მითითებები. იმუშავე მეწყვილესთან ერთად.**

- *გამოიყენე სიტყვები და დაახასიათე სოკრატე ცალკეული ინფორმაციის მიხედვით.*
- *შეაფასე მისი საქციელი.*
- *გამოიტანე სათანადო დასკვნები მის შესახებ.*

თავგანწირვა ქედმაღლობა ერთგულება სიმამაცე თავმდაბლობა კეთილშობილება კანონმორჩილება ამტანობა პრინციპულობა სიძლიერე

**ნიმუში:** არსებობს ცნობა, რომ მას ერთ-ერთ ბრძოლაში დაჭრილი მეგობარი სიკვდილს გადაურჩენია.

**რა გააკეთა?** *მოიქცა მამაცურად; გამოიჩინა სიმამაცე, ერთგულება...*

**რა ჩანს აქედან?** *ის არის თავგანწირული, ერთგული, მამაცი.*

ა. მან საბრძოლო მამაცობისათვის მინიჭებულ ჯილდოებსა და წოდებებზე უარი განაცხადა.

**რა გააკეთა?** ______________________________

**რა ჩანს აქედან?** ______________________________

ბ. საომარი მოქმედებების დროს მას ზამთარში ლაბადის გარეშე ფეხშიშველს უვლია.

**რა გააკეთა?** ______________________________

**რა ჩანს აქედან?** ______________________________

გ. პლატონის ჩანაწერებით, ის სწავლებისათვის ფულს არ იღებდა.

**რა გააკეთა?** ______________________________

**რა ჩანს აქედან?** ______________________________

დ. ციხიდან გაქცევაზე სოკრატემ უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ არ სურდა ამ ფაქტით კანონის დარღვევის პრეცენდენტი შეექმნა.

**რა გააკეთა?** ______________________________

**რა ჩანს აქედან?** ______________________________

**1. წაიკითხე და მონიშნე ცხრილში, ვის ეხება მოცემული ინფორმაცია.**

| | მაკიაველი | სოკრატე | პლატონი | კონფუცი |
|---|---|---|---|---|
| ა. მისი პოლიტიკური კონცეფცია ოჯახში, საზოგადოებასა და სახელმწიფოში ადამიანთა შორის იდეალურ ურთიერთობებს გულისხმობს. | | | | |
| ბ. მას ეკუთვნის სიტყვები: „მე გამასამართლებენ ისე, როგორც ბავშვები ასამართლებენ ექიმებს“. | | | | |
| გ. ის დაესწრო საკუთარი მასწავლებლის სასამართლოს, თუმცა არა – განაჩენის აღსრულებას. | | | | |
| დ. მას ეკუთვნის სიტყვები: „მიზანი ამართლებს საშუალებას“. | | | | |

**2. წაიკითხე და შეადარე სხვების ნაწერებს. დააზუსტე დავალების სისწორე წიგნის გამოყენებით. მოიტანე ადგილი ტექსტიდან, რომელიც შენს პასუხს დაასაბუთებს.**

**3. დაუბრუნდი სოკრატესა და მაკიაველის სიტყვებს და შეასრულე მითითებები.**

- *„მე გამასამართლებენ ისე, როგორც ბავშვები ასამართლებენ ექიმებს“.* – სოკრატე
- *„მიზანი ამართლებს საშუალებას“.* – მაკიაველი

**ა.** განმარტე, რას ნიშნავს თითოეული მათგანი.
**ბ.** დაასახელე, რა არის მათი ძირითადი სათქმელი? რის თქმა სურთ ამით ავტორებს?
**გ.** როგორია შენი პოზიცია? ეთანხმები თუ არა მათ? ახსენი, რატომ ეთანხმები ან არ ეთანხმები და დაასაბუთე სათანადო არგუმენტებით.

**4. გაიხსენე წიგნში მოცემული ინფორმაციები და მონიშნე ცხრილში სათანადო უჯრა. წაიკითხე და შეადარე სხვების ვერსიებს.**

| | სწორია | არ არის სწორი | არ ჩანს ტექსტიდან |
|---|---|---|---|
| ა. კონფუცის ფილოსოფიამ დიდი გავლენა მოახდინა აღმოსავლეთსა და დასავლეთზე. | | | |
| ბ. სოკრატე არ ერიდებოდა საკუთარი პოზიციის საჯაროდ დაფიქსირებას. | | | |
| გ. მასწავლებლის მსგავსად, პლატონსაც მიაჩნდა, რომ სახელმწიფო დემოკრატებმა უნდა მართონ. | | | |
| დ. მაკიაველი სიკვდილით დასჯის მომხრე იყო. | | | |
| ე. მისი აზრით, სახელმწიფოს მმართველს ყველაფრის უფლება ჰქონდა. | | | |
| ვ. კონფუცის აზრით, უკეთესია, თუკი სახელმწიფოს ახალგაზრდა მართავს. | | | |
| ზ. პლატონი კატეგორიულად გამორიცხავდა ქალების მონაწილეობას სახელმწიფოს მართვაში. | | | |
| თ. სოკრატესთვის ყველაზე მაღლა კანონი იდგა. | | | |
| ი. კონფუცის მამა ადგილობრივი მმართველი იყო. | | | |

**5. დაუბრუნდი წინა დავალებას და შეასრულე მითითებები.**

*ა. გასწორე მცდარი ინფორმაცია.*

1. ______________________________
______________________________
2. ______________________________
______________________________
3. ______________________________
______________________________

*ბ. დაასაბუთე სწორი ინფორმაცია ტექსტის მიხედვით.*

1. ______________________________
______________________________
**საიდან ჩანს?** ______________________________
______________________________
2. ______________________________
______________________________
**საიდან ჩანს?** ______________________________
______________________________
3. ______________________________
______________________________
**საიდან ჩანს?** ______________________________
______________________________

**6. ამოწერე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები ტექსტებიდან (გვ.53 , დავალება №4, ბ. გ. დ.) და წაიკითხე.**

ა.

- ცხადად, აშკარად, ნათლად, ______________
- სიმაღლე, სიდიადე; უმაღლესობა, ______________

ბ.

- აზროვნების უნარი, ჭკუა, ინტელექტი, ______________
- მმართველი, მბრძანებელი, ______________
- მებრძოლი, ჯარისკაცი, ______________

გ.

- სწორი, შესაფერისი, მიზანშეწონილი, ______________
- იმავე მნიშვნელობის, ღირებულების მქონე, ______________

**7. გაანაწილე სწორად.**

*მმართველობა მართვა მმართველი*

- სათავეში მყოფი, ხელმძღვანელი, გამგებელი, ______________
- ხელმძღვანელობა, გამგებლობა, ______________
- მართვის სისტემა, ______________

**1. წაიკითხე და დააკავშირე შესაბამის განმარტებებთან. ჩაწერე, რას ნიშნავს სიტყვა „მართვა“ კონკრეტულ შემთხვევაში.**

მართვა ნიშნავს:

1. გაწყობას, წესრიგში მოყვანას (გამართვას)
2. მოწყობას, ჩატარებას (გამართვას)
3. ხელმძღვანელობას, გამგებლობას
4. წაყვანას, ტარებას

- ამ მანქანას წასვლამდე ჯერ კარგი გამართვა სჭირდება. ______________________
- ამ მანქანის მართვა ძალიან ძნელია. ______________________
- არც ხალხის მართვაა იოლი. ______________________
- წარმოდგენების გამართვა არ მეხერხება. ______________________

**2. დააკავშირე ერთმანეთთან და გადაწერე.**

| | | |
|---|---|---|
| მორალური | უზენაესობა | ______________________ |
| კანონის | ფორმა | ______________________ |
| იდეალური | უფლება | ______________________ |

**3. გაასწორე წიგნში მოცემული მცდარი ინფორმაცია ( გვ.54 , დავალება №1) ცხრილის პირველ სვეტში. წაიკითხე და შეადარე სხვების ვერსიებს.**

| როგორ ფიქრობ შენ? | როგორ არის სინამდვილეში? |
|---|---|
| | |

**4. 🎧 მოისმინე ტექსტი ალექსანდრე მაკედონელის შესახებ და ჩაწერე ცხრილის მეორე სვეტში – რა არის სინამდვილეში შეცდომა.**

**5. დაუბრუნდი ცხრილს და შეადარე ერთმანეთს. უპასუხე შეკითხვებს სწორ ინფორმაციაზე დაყრდნობით. გამოიყენე წიგნში მოცემული ტექსტიც.**

**ა.** რით არის გამორჩეული ალექსანდრე მაკედონელის ბიოგრაფიაში:
- ქალაქი პელა?
- ქალაქი ბაბილონი?

**ბ.** რამდენი წლის იყო ალექსანდრე, როცა გამეფდა?

**გ.** რას აკეთებდა, როგორც წესი, ის დაპყრობილ ტერიტორიებზე?

**დ.** რით დაიმკვიდრა ალექსანდრე მაკედონელმა სახელი?

**ე.** რა განსაზღვრავს მის წარმატებას?

**ვ.** რით შევიდა ისტორიაში ქალაქ სუზაში განხორციელებული აქტი?

**ზ.** განმარტე, როგორ გესმის ზოგიერთი მემატიანეს შეფასება:

**თ.** ალექსანდრე მაკედონელს ამ გზით აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციების გაერთიანება სურდა.

**ი.** შენ როგორ აფასებ სუზანის ფაქტს? იზიარებ თუ არა მემატიანეთა ამგვარ შეფასებას და რატომ? ჰქონდა თუ არა ალექსანდრეს მიერ გადადგმულ ნაბიჯს პოლიტიკური საფუძველი?

**6. აირჩიე და ჩასვი შესაბამისი კავშირი კონტექსტის მიხედვით.**

**ა.** ალექსანდრე მაკედონელი, ____________________ 20 წლის ასაკში გამეფდა, სამეფოს 13 წლის განმავლობაში მართავდა. (*რომელი / რომელიც / როგორიც*)

**ბ.** ის ისტორიაში შევიდა, ____________________ ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მხედართმთავარი. (*როგორც / როგორიც / ვინც*)

**გ.** მან თავისი სარდლები __________ მეომრები სპარსელ ქალებზე დააქორწინა. (*ან / თუ / ხოლო*)

**დ.** ამბობენ, ________________ კონფუცი საკუთარ აზრებს არასოდეს იწერდა. (*რათა / რაკი / რომ*)

**ე.** ის 23 წლის იყო, ____________________ დედა გარდაეცვალა. (*რადგან / როცა / ვინაიდან*)

**ვ.** სიცოცხლის ბოლოს კონფუცი მშობლიურ ადგილებს დაუბრუნდა, ________________ 3 წლის შემდეგ გარდაიცვალა. (*სადაც / იმისათვის რომ / ასე რომ*)

**7. წაიკითხე და დააკავშირე შესაბამის განმარტებასთან.**

*მიზანდასახული ეშმაკი საზრიანი სულსწრაფი დაკვირვებული*

**ა.** ასე იტყვიან მოუთმენელ ადამიანზე. ______________________________

**ბ.** მძიმე მდგომარეობას რომ თავს აღწევს; გაქნილი, ცბიერი, ____________________

**გ.** ის, ვინც ყურადღებით, გულისყურით უყურებს ყველაფერს. __________________

**დ.** ის, ვინც წინასწარ გამიზნულად იქცევა. ______________________________

**ე.** ვინც მდგომარეობაში სწრაფად ერკვევა; სწრაფად მოფიქრების, მოსაზრების უნარის მქონე. ______________________________

1. **წაიკითხე პატარა მონაკვეთი, გამოიყენე წინა დავალებაში მოცემული სიტყვები და ჩაწერე, ალექსანდრეს რა თვისებები მჟღავნდება ამ ეპიზოდით. დაასაბუთე სათანადო არგუმენტებით.**

*თესალიელი ვაჭრის მიერ ნაჩუქარი ცხენის მოთვინიერება ბევრმა სცადა, თუმცა ვერავინ შეძლო. ასე რომ, ფილიპე უკან აპირებდა მის დაბრუნებას. ამ დროს ალექსანდრემაც სცადა ბედი. მან შეამჩნია, რომ ცხენს თავისი ჩრდილის ეშინოდა. ამიტომ ის მზისკენ შეაბრუნა და დაუბრკოლებლად დაიმორჩილა.*

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

2. **დაუბრუნდი წინა დავალებას და შეასრულე მითითებები.**

   ა. *მოძებნე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები და ამოწერე.*
   - იძულებით დამორჩილება, ______________________
   - შეეცადა მის გაკეთებას, ______________________
   - მზეს მოფარებული ადგილი; იგივეა, რაც ლანდი; ანარეკლი, ______________
   - შეპყრობა, ძლევა, ______________________
   - შეუფერხებლად, სიძნელის შეუქმნელად, ______________________

   ბ. *დაასახელე მოცემული კავშირების ფუნქციები და მიუთითე, რას გამოხატავს ისინი კონკრეტულად.*

3. **გაიხსენე ალექსანდრე მაკედონელის დიოგენესთან შეხვედრის ეპიზოდი და შეასრულე მითითებები.**

   ა. *უპასუხე შეკითხვებს.*
   - ვინ იყო დიოგენე?
   - რა სურდა ალექსანდრეს დიოგენესაგან?
   - რა მოითხოვა თავად დიოგენემ?
   - რა რეაქცია ჰქონდათ სარდლებს?
   - რა უპასუხა მათ ალექსანდრე მაკედონელმა?

   ბ. *რას ნიშნავს მაკედონელის პასუხი? განმარტე, რაზე მიანიშნებს ეს.*

   გ. *განმარტე, რას ნიშნავს ხაზგასმული ფრაზები კონტექსტის მიხედვით.*

   *დიოგენე მზეს ეფიცხებოდა, როდესაც ალექსანდრე თავისი სარდლების თანხლებით თავზე წამოადგა.*

4. **გაიხსენე, რამდენი წლისა გარდაიცვალა ალექსანდრე მაკედონელი და შეასრულე მითითებები.**

   ა. მოიფიქრე მეწყვილესთან ერთად მისი გარდაცვალების მიზეზი (ან მიზეზები) შესაბამისი არგუმენტებით.

   ბ. გააცანი ისინი კლასელებს და დაასაბუთე, რატომ ფიქრობ ასე.

   გ. იმსჯელე სხვების შემოთავაზებულ ვერსიებზე:
   - მისაღებია თუ არა ისინი შენთვის?
   - რა არის მისაღები ან რა არ არის მისაღები და რატომ?
   - მყარია თუ არა მათი არგუმენტები და რატომ?

**5. მოისმინე ინფორმაცია ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების შესახებ და შეამოწმე შენი ვერსია. რა დაემთხვა და რა – არა? შეასრულე მოცემული მითითებები.**

**ა.** გაიხსენე და შემოხაზე სწორი ინფორმაცია. გაასწორე მცდარი ინფორმაცია ცხრილის მეორე სვეტში და შეადარე სხვების ვარიანტებს. მოისმინე თავიდან და შეამოწმე.

| რომელია მცდარი ინფორმაცია? | გაასწორე მცდარი ინფორმაცია! |
|---|---|
| 1. მისი სიკვდილის საიდუმლო გერმანელმა მეცნიერებმა ამოხსნეს. | |
| 2. მაკედონელი შხამიანი წყლით მოწამლეს. | |
| 3. მას დაალევინეს მდინარე სტიქსის საგანგებოდ მოწამლული წყალი. | |
| 4. ეს მდინარე დღესაც არსებობს და მას „შხამიან მდინარეს“ უწოდებენ. | |
| 5. სიკვდილის მიზეზი გახდა წყალში არსებული შხამიანი ბაქტერია. | |
| 6. უცნობია, ვინ ჩაიტანა წყალი ქალაქ სუზაში, სადაც მაკედონელი იმყოფებოდა. | |

**ბ.** როგორ მივიდნენ ექსპერტები ასეთ დასკვნამდე? რა აჩვენა გამოკვლევებმა? რას დაემთხვა კვლევის შედეგები?

**გ.** შეავსე ტექსტში გამოტოვებული ადგილები მოცემული ზმნებით და წაიკითხე. კიდევ ერთხელ მოისმინე და დააზუსტე ნაწერი.

კარგავდნენ დაავადდა მუნჯდებოდნენ იგრძნო აიძულებდა სტანჯავდა ხდებოდა დაელია დაემართა მოხდა შეესაბამება ადებინებდნენ ჩავარდა დაკარგა

ალექსანდრე მაკედონელი ბაბილონში, ნაბუქოდონოსორის სასახლეში, ღამეული ლხინის შემდეგ ________________. მან ღვიძლის მოულოდნელი და მწვავე ტკივილი ________________ და ლოგინად ________________. 12 დღის განმავლობაში მაღალი სიცხე და სახსრების ტკივილი ________________. შემდეგ კომაში ჩავარდა და გარდაიცვალა.

ნიშანდობლივია, რომ ზოგიერთი სიმპტომი და ალექსნადრე მაკედონელის დაავადების მიმდინარეობა ზუსტად ________________ სტიქსის შესახებ ძველბერძნულ მითებს. ძველი ბერძნული მითოლოგიით, ღმერთები ადამიანებს ფიცს მდინარე სტიქსის ნაპირას ________________. მას, ვინც მოიტყუებოდა, ზევსი ________________, მდინარის წყალი ________________. ლეგენდის თანახმად, ასეთი ადამიანები ________________ და სიარულის უნარსაც ერთი წლით ________________.

იგივე ________________ ალექსანდრე მაკედონელსაც. მან ხმაც ________________ და კომაშიც ჩავარდა, ანუ ________________ ზუსტად ის, რაც ამ მდინარის წყლის დალევის შემდეგ ________________.

**დ.** შეამოწმე შენი პასუხები ტექსტის მიხედვით. უპასუხე შეკითხვებს.

- სად გარდაიცვალა მაკედონელი?
- საიდან ჩანს, რომ მდინარე სტიქსში ბუნებრივად არსებობდა ტოქსიკური ბაქტერია?
- დასჯის რა მეთოდს იყენებდა ზევსი და ვისთვის?
- რა სიმპტომები აღენიშნებათ მდინარის წყლით მოწამლულებს?

**ე.** მოძებნე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები და ამოწერე.

მკვეთრი, ძლიერი, შემაწუხებელი, ______

შეეფერება, შეესატყვისება, ______

ძალას ატანდა, იძულებულს ხდიდა, ______

მეტყველების უნარს კარგავდნენ, დუმდებოდნენ, ______

**ვ.** დააკავშირე ერთმანეთთან და გადაწერე.

| | | |
|---|---|---|
| ტკივილის | ჩავარდნა | ______ |
| ლოგინად | დადება | ______ |
| ფიცის | შეგრძნება | ______ |

**1. გამოიყენე წიგნში მოცემული ყველა ინფორმაცია და შეავსე.**

**სად და როდის დაიბადა?** ______

**ოჯახი:** ______

______

**გარდაცვალება:** ______

**განათლება:** ______



**მოღვაწეობა:** ______

**მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთობები:** ______

**დამსახურება (ღვაწლი):** ______

**2. გამოიყენე სქემა და ისაუბრე ალექსანდრე მაკედონელის შესახებ.**

**3. დაახასიათე მაკედონელი მოცემული ფაქტების მიხედვით.**

1. ალექსანდრე მაკედონელს ჰკითხეს, ოლიმპიურ თამაშებზე სირბილში ხომ არ მიიღებ მონაწილეობასო? „სიამოვნებით“, – მიუგო ალექსანდრემ, – თუკი ჩემი მოწინააღმდეგენი მეფეები იქნებიანო.
2. უდაბნოში გადასვლისას მაკედონელის მეომრები წყურვილით იტანჯებოდნენ. ალექსანდრესათვის ცოტაოდენი წყალი იშოვეს. მან წყალი არ დალია და თქვა: „თუ მარტო მე დავლევ, ჩემი მხლებლები მხნეობას დაკარგავენ“.
3. ალექსანდრეს საფლავს ამკობდა ეპიტაფია: „ეს საფლავი საკმარისი აღმოჩნდა მისთვის, ვისაც არ ჰყოფნიდა მთელი სამყარო.“

## ტერმიტების იმპერია

**4. გაეცანი „ინფორმაციულ ბლოკებს“ და შეავსე ისინი პირველი ტექსტის მიხედვით. გააცანით ერთმანეთს და შეადარეთ.**

ტერმიტები

| რას უწოდებენ ტერმიტებს? | რა ჰქვია მათ საცხოვრებელს? | როგორები არიან? | რა უნარებს ფლობენ? |
|---|---|---|---|
| | | | |

### ტერმიტების საცხოვრებელი

| | |
|---|---|
| **ფორმა** | |
| **სამშენებლო მასალა** | |
| **ზომები** | |
| **შიდა არქიტექტურა**<br>**ა.** კომუნიკაციები<br>**ბ.** ინტერიერი | |

**1. დაასაბუთე მოცემული ინფორმაციები წინა დავალებაზე დაყრდნობით.**

ა. ტერმიტების ინჟინრული ნიჭი დღემდე გამოცანად რჩება.

**საიდან ჩანს?**

ბ. მათი საცხოვრისები ფუნქციურად გამართული და კომფორტულია.

**საიდან ჩანს?**

გ. ტერმიტები კარგი მეურნეები არიან.

**საიდან ჩანს?**

დ. მათი საცხოვრებელი სათანადოდ არის დაცული.

**საიდან ჩანს?**

**2. გაიხსენე წიგნში მოცემული ინფორმაციები და მონიშნე ცხრილში სათანადო უჯრა. წაიკითხე და შეადარე სხვების ვერსიებს.**

| | სწორია | არ არის სწორი | არ ჩანს ტე-ქსტიდან |
|---|---|---|---|
| ა. ტერმიტების კოლონია მკაცრ სოციალურ სტრუქტურას ექვემდებარება. | | | |
| ბ. თანრიგით ყველაზე მაღლა მამა ტერმიტი დგას. | | | |
| გ. დედოფლის ერთადერთ ფუნქციას გამრავლება წარმოადგენს. | | | |
| დ. დედოფლის ოთახი ყველაზე კომფორტულია. | | | |
| ე. ტერმიტები მართვის დემოკრატიულ ფორმას იყენებენ. | | | |
| ვ. ტერმიტები დაუნდობელი მეომრები არიან. | | | |
| ზ. ძიძა ტერმიტები მატლებთან ერთად ბინადრობენ. | | | |
| თ. დამონებული ჭიანჭველები ბედს ურიგდებიან. | | | |

**3. დაუბრუნდი წინა დავალებას და შეასრულე მითითებები.**

ა. *გასწორე მცდარი ინფორმაცია.*

1.

2.

3.

ბ. *გადმოწერე სწორი ინფორმაცია დაასაბუთე ტექსტის მიხედვით.*

1.

**საიდან ჩანს?** ________________________________________

________________________________________

2. ________________________________________

**საიდან ჩანს?** ________________________________________

________________________________________

3. ________________________________________

**საიდან ჩანს?** ________________________________________

________________________________________

## 2. ურთიერთობების ხელოვნება

**4. იმსჯელე მოცემულ შეკითხვებზე სათანადო არგუმენტების გამოყენებით.**

**ა.** რა არის კამათი და რა მიზანს ისახავს ის?

**ბ.** სწორია თუ არა დებულება – *„ჭეშმარიტება კამათში იბადება"* და რატომ? შეგიძლია თუ არა, გაიხსენო ასეთი შემთხვევა? *როდის იყო, ვის შორის მიმდინარეობდა, რას ეხებოდა და რით დამთავრდა?*

**გ.** რა არის საჭირო და აუცილებელი იმისათვის, რომ კამათში ჭეშმარიტება დაიბადოს?

**დ.** რომელ აზრს ეთანხმები და რატომ?

- *კამათში მთავარია, ორივე მოპაექრე მხარემ სიმართლე დაადგინოს.*
- *მთავარია, გასამარჯვებლად მოწინააღმდეგე ყოველი ხერხითა და საშუალებით დაამარცხო.*

**5. გაეცანი მოცემულ განმარტებას და შეასრულე მითითებები.**

<u>კამათი</u> იგივეა, რაც დავა; რაიმე საკითხის შესახებ განსხვავებული აზრების გამოთქმა-შეპირისპირება, აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

**ა.** შეავსე ცხრილი შენი და შენი მეწყვილის პასუხებით და შეადარე ერთმანეთს.

| კამათის შესახებ | შენ | შენი მეწყვილე |
|---|---|---|
| 1. კამათი ადამიანთა ურთიერთობის აუცილებელი ატრიბუტია თუ არა? რატომ? | | |
| 2. უნდა მოვერიდოთ თუ არა კამათს? რატომ? | | |
| 3. რისი მოტანა შეუძლია კამათს?<br>• მხოლოდ სარგებლობის<br>• მხოლოდ ზიანის<br>• ორივეს მოტანა შეუძლია<br>• არცერთის | | |

**ბ.** გააცანით თქვენი პასუხები სხვებს და დაასაბუთეთ თქვენი პოზიციები.

**1. გაიხსენე და დაასრულე წინადადებები. აირჩიე და ჩასვი სწორი ვარიანტები.**

ა. სოკრატე კარგად ფლობდა ადამიანთა ______________________ ხელოვნებას. (*დამტკიცების / დარწმუნების / კამათში გამარჯვების*)

ბ. ის ______________________ მათ აზრს და მხოლოდ ამის შემდეგ მიმართავდა შეკითხვების დასმის ტექნიკას. (*ეთანხმებოდა / არ ეთანხმებოდა / მოუსმენდა*)

გ. სოკრატეს შეკითხვები გათვლილია იმაზე, რომ მოსაუბრისაგან ______________________ პასუხი მიიღოს. (*თავისი სასურველი / უარყოფითი / დადებითი*)

**2. შემოხაზე სწორი ვარიანტი და დაასრულე ფრაზა.**

*სოკრატეს მეთოდის მიზანია, აიძულოს ადამიანი,*

- შეაფასოს მოწინააღმდეგის შეხედულებები და მისი ძალა;
- შეაფასოს საკუთარი შეხედულებები და მათი საფუძვლიანობა;
- დაიხიოს უკან და აღიაროს დამარცხება.

**3. გაეცანი მოცემულ შეკითხვებს, მოამზადე მყარი არგუმენტები და დაასაბუთე შენი პოზიცია.**

ა. იზიარებ თუ არა სოკრატეს მიერ შემუშავებული ტექნიკის მართებულობას და რატომ?

ბ. ამართლებს თუ არა ამგვარი მიდგომა და რატომ? დააკონკრეტე, რა შემთხვევაში ამართლებს და რა შემთხვევაში – არა.

გ. შენ თუ გამოგიყენებია კამათის დროს ამგვარი სტრატეგია? დადებითი პასუხის შემთხვევაში, გაიხსენე: *ვისთან გამოიყენე; რა იყო კამათის თემა; გაამართლა თუ არა სტრატეგიამ.*

დ. ფიქრობ თუ არა, რომ კამათის დროს საჭიროა გარკვეული წესების დაცვა? დადებითი პასუხის შემთხვევაში, დააკონკრეტე ეს წესები.

**4. შენ როგორი მოკამათე ხარ? შეხედე საკუთარ თავს გვერდიდან და ისე უპასუხე შეკითხვებს.**

ა. აქცევ თუ არა კამათის დროს ყურადღებას იმას:
- თუ როგორ მეტყველებ?
- რა სიტყვებს ხმარობ?
- ყვირი თუ არა?
- იქნევ ხელებს თუ არა? და ა.შ.

ბ. გადასულხარ თუ არა მოწინააღმდეგის:
- პირად შეურაცხყოფაზე?
- დაცინვაზე?
- უსაფუძვლო ბრალდებებზე? და ა.შ.

გ. იყენებ თუ არა კამათის დროს მყარ არგუმენტებს?

დ. ბოლომდე უსმენ თუ არა მოპაექრეს?

ე. გიშლის თუ არა რამე ხელს იმისათვის, რომ მშვიდად იკამათო? დააკონკრეტე, რა არის ეს.

ვ. ხარ თუ არა ზედმეტად ემოციური და გიშლის თუ არა შენი ემოციურობა ხელს?

ზ. როგორ ფიქრობ, საჭიროა თუ არა, დაეუფლო კამათის ხელოვნებას?

**5. გაეცანი განმარტებას და უპასუხე შეკითხვას: რა მსგავსება და განსხვავებაა დებატებსა და ჩვეულებრივ კამათს შორის?**

დებატები ფრანგული სიტყვაა და საჯაროდ აზრთა გაცვლა-გამოცვლას გულისხმობს.

**6. გამოიყენე წიგნში მოცემული ტექსტი დებატებთან დაკავშირებით (გვ.62) და შეავსე სათანადო ინფორმაციით.**

როდიდან იღებს სათავეს: ______________________________

______________________________

**დებატები ძველ საბერძნეთში:**

რას წარმოადგენდა დებატები? ______________________________

მისი გამართვის საფუძველი: ______________________________

სოფისტების პრინციპი: ______________________________

______________________________

არისტოტელეს მიდგომა: ______________________________

______________________________

**დებატები შუა საუკუნეებში:**

სად იმართებოდა? ______________________________

ვინ იყვნენ მოდებატეები? ______________________________

დებატების გამართვის მიზანი და შინაარსი: ______________________________

______________________________

დებატების წინ: ______________________________

______________________________

**დებატები და ამერიკის შეერთებული შტატები:**

ვის შორის იმართებოდა და როდის? ______________________________

______________________________

მოსამართლეების ფუნქციები: ______________________________

პირველი ტელედებატები და მისი როლი: ______________________________

______________________________

**1. გამოიყენე წინა დავალება, დაუსვით ერთმანეთს შეკითხვები და უპასუხეთ.**

**2. მოცემული ინფორმაციების მიხედვით ისაუბრე დებატების შესახებ.**

**3. კიდევ ერთხელ წაიკითხე ყურადღებით წიგნში მოცემული ინფორმაცია დებატებთან დაკავშირებით (გვ.63 , დავალება №5) და შემდეგ უპასუხე შეკითხვებს მეწყვილესთან ერთად.**

ა. ჩამოთვალე დებატების ეტაპები. ______________________________

______________________________

ბ. რომელ ეტაპზე:

- განიხილავენ და ამტკიცებენ წესებს? ______________
- გამოაქვთ დასკვნა? ______________
- ცხადდება გამარჯვებული? ______________
- აანალიზებენ საკუთარ შეცდომებს? ______________
- შეიმუშავებენ პოზიციებს? ______________
- ეძებენ არგუმენტებს? ______________
- ირჩევენ მედიატორს? ______________
- მოჰყავთ დამარწმუნებელი არგუმენტები? ______________
- განიხილავენ გადაცდომებს? ______________
- აყალიბებენ საკუთარ პოზიციას? ______________
- აჯამებენ საკუთარ პოზიციას? ______________

გ. რა ფუნქციები აქვს:

- მედიატორს? ______________
- ჟიურის? ______________
- მოდებატეს? ______________

დ. რა არის აუცილებელი დებატების მოსაგებად?

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

ე. დააკავშირე ერთმანეთთან.

| | |
|---|---|
| 1. რა გინდა, რომ თქვა? | ა. ვიწრო წრეში; უცნობ აუდიტორიასთან. |
| 2. რატომ გინდა ამის თქმა? | ბ. შეარჩიე დრო. არ დაასწრო მოვლენებს! |
| 3. ვის უნდა უთხრა შენი სიტყვა? | გ. რა არის ყველაზე მთავარი შენს სიტყვაში? |
| 4. როდის გინდა ამის თქმა? | დ. რა ფორმით, რის გამოყენებით? |
| 5. სად გინდა ამის თქმა? | ე. ვინ არის შენი მსმენელი? |
| 6. როგორ გინდა ამის თქმა? | ვ. რის დამტკიცებას ცდილობ? |

1. ________ 2. ________ 3. ________ 4. ________ 5. ________ 6. ________

**4. დაახარისხე მოცემული მასალა მეწყვილესთან ერთად ცხრილში დადებითი და უარყოფითი ნიშნის მიხედვით. გააცანი კლასელებს და შეადარე სხვების ვარიანტებს. განსხვავებების შემთხვევაში, დაასაბუთე თქვენი გადაწყვეტილების სისწორე.**

საკუთარი თავის რწმენა; თავდაჯერებულობა; საკუთარი თავის კონტროლი; ნერვიულობა; სიტყვის შინაარსის შეუსაბამობა საუბრის ტონსა და მიმიკასთან; აუდიტორიასთან კონტაქტი; წინასწარ თავის მართლება იმის გამო, რომ პირველად გიწევს გამოსვლა და გამოუცდელი ხარ; ემოციების მართვა; ყველა რეპლიკაზე რეაგირება; ენის ბორძიკი; ზედმეტი და უადგილო ფრაზების გამოყენება; გაუგებრად გადმოცემული ინფორმაცია; აზრის მოკლედ და გასაგებად ჩამოყალიბება; პოზიტიური განწყობის შექმნა; კეთილგანწყობის გამოხატვა; გაღიზიანებული ტონით პასუხი რეპლიკებზე; ხმის აწევა; წინასწარ მოუმზადებლობა; ზედმეტი თავდაჯერებულობა; დამცინავი და ირონიული ტონი; დამაჯერებელი საუბარი; სამართლიან შენიშვნაზე ადექვატური რეაქცია; საკუთარ თავზე გადაჭარბებული წარმოდგენის ქონა; მოუსვენრობა; დაწყებული აზრის გაწყვეტა და სხვაზე გადასვლა; აუდიტორიის მხრიდან წამოსული პოზიციისადმი ინტერესის გამოხატვა; მოსაწყენი, მონოტონური ხმით წაკითხვა ან საუბარი; სწორი პაუზების გაკეთება გამოსვლის დროს;

| წარმატების საფუძველი | წარუმატებლობის მიზეზები |
|---|---|
| | |

**5. დაიყავით ჯგუფებად. გაეცანით მოცემულ თემებს და მოემზადეთ მინიდებატებისათვის. ერთმა ჯგუფმა უნდა დაასაბუთოს მოცემული დებულების მართებულობა, მეორე ჯგუფმა კი – პირიქით, უნდა დაასაბუთოს მათი არამართებულობა (წინასწარ შეთანხმდით პოზიციაზე).**

1. ცხოველებზე ექსპერიმენტების ჩატარება უნდა აიკრძალოს!
2. სკოლაში სასკოლო ფორმების ტარება სავალდებულოა!
3. ა. არჩევნებში მონაწილეობა სავალდებულო უნდა იყოს!
   ბ. უნდა შემცირდეს ამომრჩევლის ასაკი!
4. მართვის მოწმობის მიღების ასაკი უნდა შემცირდეს 18 წლიდან 14 წლამდე!

**6. აღადგინე წინადადებებში გამოტოვებული კავშირები კონტექსტის მიხედვით და წაიკითხე.**

**ა.** ცხოველებმა აღმოაჩინეს, ____________________ რძე სადღაც ქრებოდა.

**ბ.** საუზმეს მოსდევდა ცერემონიალი, ________________ ჩატარებაც წესად ჰქონდათ.

**გ.** ის ღიად ეწინააღმდეგებოდა არა მარტო დემოკრატიას, _________________ მმართველობის ნებისმიერ ფორმას, ________________ არ შეესაბამებოდა მისეულ იდეალს.

**დ.** ის ყველგან არის, _____________________ ამის საჭიროება არსებობს.

**ე.** მას ხშირად არ ესმის, _____________________ როგორ ხსნის ჰოლმსი დანაშაულს.

**ვ.** _____________________ თქვენს ჩემოდანს საბარგულში ვდებდი, ზედ ცარცით მიწერილი თქვენი გვარი ამოვიკითხე.

## 3. ჩვენ ვირჩევთ, ისინი მართავენ!

**1. გაიხსენე ტექსტი და შეავსე გამოტოვებული ადგილები. მოისმინე თავიდან და შეამოწმე დავალების სისწორე.**

BBC დოკუმენტურ ფილმში „____________________“ აღნიშნავს: „__________ მუსოლინის ისე __________ მოედანზე, როგორც კარუზოს, __________ მისი „ტენორით“. უფრო __________ რომ მოესმინათ, რასაც ის __________, შემდეგ ასეთი გაოცებულნი არ დარჩებოდნენ იმ __________, რომელიც თავს დაატყდა __________“.

**2. დაუბრუნდი წინა დავალებას და უპასუხე შეკითხვებს.**

**ა.** *ვინ იყვნენ მუსოლინი და კარუზო? რა აერთიანებთ მათ?*

**ბ.** *რას აკეთებდა მუსოლინი მოედანზე?*

**გ.** *რას ნიშნავს „ტენორი“?*

- *უხვ დაპირებებს*
- *ცრუ დაპირებებს*
- *მამაკაცის მაღალ ხმას*

**დ.** *რა რეაქცია ჰქონდა ხალხს მუსოლინის გამოსვლაზე?*

**ე.** *რით აღაფრთოვანა ხალხი მუსოლინიმ? რამ მოახდინა ხალხზე ზემოქმედება?*

**ვ.** *რა მოჰყვა მუსოლინის საუბრით ხალხის ამგვარ „ტკბობას“?*

**3. წაიკითხე, რას ამბობს ადოლფ ჰიტლერი ლიდერის შესახებ და შეადარე მისი სიტყვები მუსოლინის ეპიზოდს. უპასუხე შეკითხვებს.**

*„საჭიროა, ყოველთვის გვახსოვდეს, რომ მასები დიპლომატებისა და პროფესორებისაგან არ შედგებიან. მან, ვინც გადაწყვიტა უხელმძღვანელოს მასებს, ხელთ უნდა იქონიოს მათი გულის გასაღები... იმარჯვებს ის ორატორი, რომელიც ითვალისწინებს არა ყველაზე ჭკვიან მსმენელს, არამედ ყველაზე საშუალოს“, – ადოლფ ჰიტლერი.*

**ა.** *რომელი კატეგორიის მსმენელზე ორიენტირებს ჰიტლერი და რატომ?*

**ბ.** *შესაბამისად, რას უნდა ფლობდეს, მისი აზრით, კარგი ორატორი?*

**გ.** *განმარტე, როგორ გესმის ფრაზა: მან „ხელთ უნდა იქონიოს მათი გულის გასაღები“?*

**4. დაუბრუნდი ჰიტლერის სიტყვას და შეასრულე მითითებები.**

**ა.** *მოძებნე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები და ამოწერე.*

- *ფართო მოსახლეობა; მრავალრიცხოვანი, მთლიანი ჯგუფი ხალხისა,* __________
- *გაუძღვეს,* __________
- *ყურის დამგდები,* __________

**ბ.** *ამოწერე, ვინ არის ის:*

- *ვისაც საჯაროდ სიტყვის თქმა ემარჯვება.* __________
- *ვინც ფლობს ადამიანებთან ურთიერთობების ხელოვნებას.* __________
- *ვისაც აკადემიური ხარისხი აქვს და ასწავლის უმაღლეს სკოლაში.* __________

*გ. გაითვალისწინე ორივე ტექსტი (ჰიტლერის სიტყვა და ბიბისის დოკუმენტური ფილმი) და გამოხატე შენი პოზიცია ლიდერობასთან დაკავშირებით. ჩამოაყალიბე აზრი მყარი არგუმენტებით, გააცანი კლასელებს და იმსჯელე მის შესახებ.*

*შენი აზრით,*

- *ლიდერებად იბადებიან თუ შემდეგ ხდებიან?*
- *რა უნდა გააკეთო იმისათვის, რომ ლიდერი გახდე?*
- *ლიდერებს ყველაფერი შეუძლიათ თუ არა?*

**5. გაიხსენე ინფორმაცია მგლის შესახებ და მონიშნე ცხრილში სათანადო უჯრა. წაიკითხე და შეადარე სხვების ვერსიებს.**

| | სწორია | არ არის სწორი | არ ჩანს ტექსტიდან |
|---|---|---|---|
| *ა. მგლები მარტოხელა ცხოვრებას ამჯობინებენ.* | | | |
| *ბ. ხროვას ძუ (ანუ, მდედრი) მგელი ლიდერობს.* | | | |
| *გ. მგლები მკაცრად იცავენ კანონებს.* | | | |
| *დ. ლიდერს ხროვის ყველა წევრი ერთად ირჩევს.* | | | |
| *ე. ლიდერი მგელი უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ მოთხოვნებს.* | | | |
| *ვ. ის აუცილებლად ხროვის ყველა წევრზე ტანად დიდი და ასაკით უფროსი უნდა იყოს.* | | | |
| *ზ. მგლები დიდ ცხოველს ლიდერთან ერთად ესხმიან თავს.* | | | |
| *თ. ლიდერობის სურვილი თითქმის ყველა ხვად მგელს აქვს.* | | | |
| *ი. დამარცხებული ლიდერი ხროვის უუფლებო წევრი ხდება.* | | | |

**6. დაუბრუნდი წინა დავალებას და შეასრულე მითითებები.**

*ა. გასწორე მცდარი ინფორმაცია.*

1. ______________________________
2. ______________________________
3. ______________________________

*ბ. გადმოწერე სწორი ინფორმაცია და დაასაბუთე ტექსტის მიხედვით.*

1. ______________________________

**საიდან ჩანს?** ____________________

2. ______________________________

**საიდან ჩანს?** ____________________

3. ______________________________

**საიდან ჩანს?** ____________________

**1. მოძებნე ენობრივი შეცდომები და გაასწორე. წაიკითხე და შეამოწმე დავალების სიზუსტე.**

*მგლების ხროვას მგლური კანონი მოქმედებს და მისი დარღვევაზე უფლება არავის აქვს.*

*ხროვას, რომელიც, საშუალოდ, 6-8 წევრით შედგება, ხვადი (ანუ, მამრი) მგელი უძღვება.*

*ლიდერობაზე ბრძოლა ყოველთვის აქტუალურია მგლებს შორის, რადგან ზოგჯერ იგი მხოლოდ სიმბოლურ ხასიათს ატარებს, რადგან ხროვაში თითოეულმა მგელმა იციან მისი ადგილი. მგლების ხროვაში ხშირია ე.წ. „სოციალური რიტუალები“, რომელთა დროსაც მთავარ მგელმა უნდა დაამტკიცოს მისი უპირატესობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას შეცვლის ხროვის სხვა წევრები. ხშირ შემთხვევაში, „გადაყენებული“ მეთაურები თავს ანებებენ სამშობლო ხროვას და სხვა ცხოვრებას იწყებენ.*

*ლიდერი ხროვაში ყველაზე უძლიერესი უნდა იყოს. მას ყოველთვის ზევით აქვს კუდი ალმართული. ხვად ლიდერს ძალაუფლების შენარჩუნების გამო ძუ ეხმარება.*

**2. უპასუხე შეკითხვებს.**

- **ა.** რა განსაზღვრავს მგლებს შორის ურთიერთობას?
- **ბ.** რის უფლება არ აქვს ხროვის წევრებს?
- **გ.** როგორია ლიდერი მგელი და რა ფუნქცია აქვს მას?
- **დ.** რა ფუნქცია აქვს ხვად მგელს?
- **ე.** როგორ გესმის: „სიმბოლურ ხასიათს ატარებს“?
- **ვ.** რატომ ატარებს ლიდერობისათვის ბრძოლა ზოგჯერ სიმბოლურ ხასიათს?
- **ზ.** რის დამტკიცება უწევს ლიდერ მგელს ხროვის წევრებისთვის?
- **თ.** რა ხდება, როცა ლიდერი კარგავს ძალაუფლებას?

**3. დაუბრუნდი ტექსტს, მოძებნე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები და ამოწერე.**

- **ა.** ხელმძღვანელობს, თაოსნობს, ____________________
- **ბ.** იგივეა, რაც ცერემონიალი, ____________________
- **გ.** უკეთესი, წარმატებული მდგომარეობა, ____________________
- **დ.** წინამძღოლი, ხელმძღვანელი, უფროსი, ____________________

**4. განმარტე ხაზგასმული სიტყვები კონტექსტის მიხედვით და წაიკითხე.**

ა. მას ყოველთვის ამართული აქვს კუდი. ______________________________

ბ. ხვად ლიდერს ძალაუფლების შენარჩუნებაში ძუ ეხმარება. ______________________________

**5. დააკავშირე ერთმანეთთან და გადაწერე.**

| | | |
|---|---|---|
| *კანონის* | *შენარჩუნება* | ______________________________ |
| *თავის* | *ბრძოლა* | ______________________________ |
| *ძალაუფლების* | *დარღვევა* | ______________________________ |
| *ლიდერობისათვის* | *დანებება* | ______________________________ |

**6. გადახაზე ზედმეტი სიტყვა და უპასუხე შეკითხვებს.**

*ხროვა ფარა რემა ჯოგი ბრბო*

ა. დაასახელე, რა აქვს საერთო ყველა სიტყვას ერთმანეთთან?

ბ. რით განსხვავდება ზედმეტი სიტყვა დანარჩენისაგან?

**7. წაიკითხე ლექსი და უპასუხე შეკითხვებს.**

ა. *ვინ არის ლექსის ავტორი და რა ჰქვია ლექსს?*

ბ. *რის შესახებ არის ლექსში საუბარი? შემოხაზე სწორი პასუხი და დაასაბუთე ლექსის მიხედვით.*

- *მგლების ხროვაში მოქმედ კანონებზე;*
- *ადამიანთა საზოგადოებაში მოქმედ მგლის შესაფერის კანონებზე;*
- *ადამიანთა ისტორიაზე ბაბილონიდან დღემდე;*
- *ზოგადად, კანონებზე.*

გ. *რა არის ცალკეული სტროფის სათქმელი?*

I. ______________________________

II. ______________________________

III. ______________________________

**8. წაიკითხე და ჩაწერე, მმართველობის რომელ ფორმაზეა საუბარი.**

*დემოკრატია მონარქია დიქტატურა*

ა. გაბატონებული კლასის შეუზღუდავი სახელმწიფო ძალაუფლება. ______________

ბ. ხალხის ძალაუფლება. ______________________________

გ. ერთხელმწიფება; როცა სახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველი განაგებს. ______________________________

**1. გაეცანი მოცემულ ინფორმაციას და უპასუხე შეკითხვებს.**



*დაიბადა არისტოკრატულ ოჯახში. მამამისი ცნობილი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე იყო. პერიკლემ ბრწყინვალე განათლება მიიღო. ის ახალგაზრდობიდანვე ჩაერთო ათენის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მის სახელთანაა დაკავშირებული მრავალი რეფორმა: მან გააუქმა ქონებრივი ცენზი, დააწესა ჯამაგირი საჯარო სამსახურისათვის, გაზარდა სახალხო კრების საკანონმდებლო უფლებები, შემოიღო ფარული კენჭისყრის წესი, უმიწაწყლო გლეხები საგანგებოდ გამოყოფილ მიწებზე დაასახლა, მდიდარ მოქალაქეებს სანახაობების ხარჯები დააკისრა.*

*პერიკლეს დროს ათენში დიდი სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობდა, რამაც მრავალი მოქალაქე დაასაქმა. განახლდა აკროპოლისი, აშენდა ახალი ნავსადგურები. ათენმა ინტელექტუალური განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწია. სწორედ ამ დროს მოღვაწეობდნენ ფილოსოფოსი სოკრატე, დრამატურგი სოფოკლე და სხვები.*

*პერიკლეს საგარეო პოლიტიკა ათენის სამხედრო-საზღვაო ძლიერების განმტკიცებისა და ბერძნულ სამყაროში მისი ჰეგემონიის გამყარებისაკენ იყო მიმართული.*

*როგორც ეს ხშირად ხდება, პერიკლეს ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. მას არაერთ სასამართლო პროცესზე მოუხდა საკუთარი სიმართლისათვის ბრძოლა. დასწამეს: ათენის ქანდაკებისთვის გამოყოფილი ოქროს მითვისება (თუმცა ეს ბრალდება არ დადასტურდა), ხაზინის სახსრების უყაირათო ხარჯვა და სხვა.*

*პერიკლეს მოღვაწეობისდროინდელ პერიოდს „პერიკლეს საუკუნედ“ მოიხსენიებენ.*

**ა.** *ვინ იყო პერიკლე და სადაური იყო ის?*

**ბ.** *ითამაშა თუ არა მისმა ოჯახმა გარკვეული როლი მისი, როგორც პოლიტიკური თუ სამხედრო მოღვაწის ჩამოყალიბებაში? რატომ ფიქრობ ასე? დაასაბუთე პასუხი.*

**გ.** *თავად პერიკლეს ჰქონდა თუ არა პოლიტიკური მოღვაწისათვის საკმარისი ნიჭი და უნარი? დაასაბუთე შენი პასუხი ტექსტის მიხედვით.*

**დ.** *ათენის რომელი სახელმწიფო წყობილების დამყარებისაკენ იყო მიმართული პერიკლეს პოლიტიკა? შემოხაზე სწორი პასუხი და გაამყარე ის კონკრეტული მაგალითებით.*

- *დიქტატურისაკენ*
- *დემოკრატიისაკენ*
- *მონარქიისაკენ*

**ე.** *რა მიიღო პერიკლემ გატარებული რეფორმების საპასუხოდ?*

**ვ.** *როგორ შევიდა პერიკლესდროინდელი პერიოდი ისტორიაში?*

**2. დაუბრუნდი ტექსტს და შეავსე სათანადო ინფორმაციით.**

**მოღვაწეობის მიზანი**

______________________________

______________________________

______________________________

**გატარებული რეფორმები** →

______________________________________

______________________________________

______________________________________

**შედეგები** →

______________________________________

______________________________________

______________________________________

______________________________________

______________________________________

______________________________________

**3. მონიშნე ცხრილში სათანადო უჯრა.**

| | სწორია | არ არის სწორი | არ ჩანს ტექსტიდან |
|---|---|---|---|
| *ა. პერიკლემ გააუქმა ადამიანთა ქონების შეფასება, აღწერა.* | | | |
| *ბ. საჯარო მოსამსახურეებს დაუნიშნა ხელფასი.* | | | |
| *გ. ეხმარებოდა სოციალურად დაუცველ პირებს.* | | | |
| *დ. შეამცირა სახალხო კრების უფლებები.* | | | |
| *ე. ამომრჩევლებს მისცა უფლება, ღიად მიეცათ ხმა.* | | | |
| *ვ. ხმის უფლებით არ სარგებლობდა ყველა მდიდარი მოქალაქე.* | | | |
| *ვ. გლეხებს დაურიგდა მიწები.* | | | |
| *ზ. მდიდრები გათავისუფლდნენ ყველანაირი გადასახადისაგან.* | | | |
| *თ. უმუშევრობა უფრო გაიზარდა.* | | | |
| *ი. მოიმატა განათლების დონემ.* | | | |
| *კ. აშენდა ახალი სკოლები.* | | | |

**4. დაუბრუნდი წინა დავალებას და შეასრულე მითითებები.**

*ა. დაასაბუთე სწორი ინფორმაცია.*

1. ______________________________________

______________________________________

2. ______________________________________

______________________________________

3. ______________________________________

______________________________________

4. ______________________________________

______________________________________

**ბ.** *გაასწორე მცდარი ინფორმაცია.*

1. ______________________________

______________________________

______________________________

5. ______________________________

______________________________

6. ______________________________

______________________________

1. ______________________________

______________________________

**1. მოძებნე ინფორმაცია თამარ მეფის შესახებ და წარუდგინე კლასელებს. შეადარეთ ერთმანეთის მოძიებული მასალა.**



*ბიოგრაფიული მონაცემები:*

______________________________

*გატარებული რეფორმები და შედეგები:*

______________________________

### ჯორჯ ორუელი „ცხოველების ფერმა"

**2. გამოიყენე წიგნში მოცემული პირველი ეპიზოდი და შეასრულე მითითებები.**

ა. *უპასუხე შეკითხვებს.*

- *რა მოხდა ფერმაში?*
- *რა ერქვა ფერმას და ვინ იყო მისი პატრონი?*
- *ვისთან ერთად ცხოვრობდა ბატონი ჯოუნსი?*
- *რა საქმიანობას ეწეოდა?*
- *რის გამო სცემდნენ ცხოველები პატივს ცხენ ბოქსერს?*
- *რით იყო გამორჩეული სხვებისგან ვირი ბენჯამენი?*

ბ. *მოძებნე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები და ამოწერე.*

- *დაკეტვა,* ____________________
- *წონასწორობის დაკარგვა, ტორტმანი,* ____________________
- *შეშფოთებით გამოწვეული ყრუ ხმაური,* ____________________
- *წარმოსადეგი, დიდი, მოსული,* ____________________
- *ქარაფშუტა, უსაქმური,* ____________________

გ. *დაასაბუთე ტექსტის მიხედვით.*

*საიდან ჩანს, რომ:*

- *ბატონი ჯოუნსი მთვრალი იყო?*
- *ბებერ ტახ მეიჯერს ყველა პატივს სცემდა?*

დ. *დააკავშირე ერთმანეთთან და გადაამოწმე დავალების სისწორე ტექსტის მიხედვით.*

*ტახი / ფაშატი:*

- *დედალი ცხენი, ვირი* ____________________
- *მამალი ღორი, ასე უწოდებენ გარეულ ღორსაც.* ____________________

**3. წარმოიდგინე ბატონი ჯოუნსი, გაითვალისწინე მოცემული სიტუაცია და შექმენი მისი პორტრეტი მეწყვილესთან ერთად. გააცანი თქვენი ნამუშევარი სხვებს და შეადარეთ ერთმანეთის ვარიანტები. იმსჯელეთ თქვენი გადაწყვეტილებების შესახებ.**

ა. *აღწერე მისი გარეგნობა, ყურადღება მიაქციე მის ჩაცმულობას;*

ბ. *გამოკვეთე მისთვის დამახასიათებელი კონკრეტული დეტალები;*

გ. *დაახასიათე, როგორია და მოიტანე კონკრეტული მაგალითები.*

**4. გაიხსენე ტახ მეიჯერის სიტყვა, წაიკითხე და შემოხაზე, ქვემოთ მოცემული ინფორმაციიდან რომელია სწორი. 🎧 მოისმინე თავიდან და შეამოწმე შენი პასუხები.**

ა. *მეიჯერმა გადაწყვიტა, ცხოველებს:*

- *ჭკუა ასწავლოს;*
- *აზრი ჰკითხოს;*
- *სიბრძნე გაუზიაროს.*

ბ. *მეიჯერის აზრით, ცხოველების ცხოვრება:*

- *დუხჭირი, დამქანცველი და ხანმოკლეა;*
- *მოსაწყენი და ერთფეროვანია;*
- *მრავალფეროვანი და საინტერესოა.*

*გ.* *მეიჯერს აწუხებს ის, რომ:*

- *ბატონი ჯოუნსი სულ სვამს;*
- *ცალი ფეხი სამარეში უდგას;*
- *ცხოველები ტანჯვასა და მონობაში იმყოფებიან.*

*დ.* *ტახი გამოსავალს ხედავს:*

- *დასვენებაში;*
- *ადამიანებისაგან განთავისუფლებაში;*
- *ფერმიდან გაქცევაში.*

*ე.* *ცხოველებს უნდა ახსოვდეთ, რომ:*

- *ადამიანთან ბრძოლისას არ უნდა დაემსგავსონ მას!*
- *არცერთი ცხოველი თავისუფალი არ არის!*
- *დედამიწა არ არის ისეთი მდიდარი, რომ ყველამ ნორმალურად იცხოვროს!*

**1. რა არ უნდა გააკეთონ ცხოველებმა? შეავსე გამოტოვებული ადგილები და წაიკითხე. შეადარე სხვების ვარიანტებს. საჭიროებისამებრ, მოისმინე ტექსტის ბოლო მონაკვეთი და შეამოწმე ნაწერი.**

*მაშინაც კი, როდესაც დაამხობთ ადამიანს, არ ______________________ მისი მანკიერი თვისებები. არასდროს არც ერთმა ცხოველმა არ უნდა ______________ ბინაში, არ უნდა ______________ საწოლში, არ უნდა ______________ ტანისამოსი, არ უნდა ______________ პირი ალკოჰოლს, არ უნდა ______________ თამბაქო, არ უნდა ______________ ფულს და არ უნდა ______________ ვაჭრობაში! და, რაც მთავარია, არცერთმა ცხოველმა არ უნდა ______________ თავისი თანამოძმე. არასდროს არცერთმა ცხოველმა არ უნდა ______________ მეორე ცხოველი! ყველა ცხოველი თანასწორია!*

**2. დაუბრუნდი წინა დავალებას და შეასრულე მითითებები.**

*ა.* *წაიკითხე განმარტებები და შემოხაზე, რომელი მნიშვნელობით არის მოცემული სიტყვა ტექსტში ნახმარი.*

*დამხობა:*

1. *პირქვე დადება; დაპირქვავება*
2. *პირქვე (ძირს) დაცემა, დავარდნა, დაწოლა*
3. *გადატ. ძალაუფლების წართმევა, ჩამორთმევა; ჩამოგდება*
4. *გადატ. დანგრევა, განადგურება, მოსპობა*

*გადმოღება:*

1. *აღება და გადმოდება, გადმოდგმა; გადმოტანა*
2. *გადატ. ვინმესგან რაიმეს შეთვისება, გადმოტანა, გამოყენება*
3. *გადმოხატვა; გადმოცემა (წერილობით)*

*ჩაბმა:*

1. *რამეში ან რამეზე მობმა (თოკისა და სხვა რამისა)*
2. *სხვა საქონელთან შებმა*
3. *მონაწილეობის მიღება, ჩარევა (რაიმე საქმიანობაში)*

**ბ.** *მოძებნე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები და ამოწერე.*

*ნაკლოვანი; ცუდი; მანკიანი,* ______________________________

*ახლობელი, თვისტომი, თანამემამულე,* ______________________________

*ერთნაირი, თანაბარი, თანატოლი,* ______________________________

*შეახოს,* ______________________

*შეავიწროვოს, დაჯაბნოს, დააბეჩავოს,* ______________________________

**გ.** *დააკავშირე ერთმანეთთან და გადაწერე.*

| | | |
|---|---|---|
| *ადამიანის* | *დამხობა* | ______________________ |
| *თვისებების* | *გადმოღება* | ______________________ |
| *პირის* | *დაკარება* | ______________________ |
| *ვაჭრობაში* | *ჩაბმა* | ______________________ |
| *ხელით* | *შეხება* | ______________________ |

**დ.** *დაუბრუნდი ტექსტს, II კავშირებითის ნაცვლად გამოიყენე მყოფადის მწკრივი და ისე გადაწერე ტექსტი. წაიკითხე და დააზუსტე დავალების სისწორე.*

________________________________________________________________

________________________________________________________________

________________________________________________________________

________________________________________________________________

________________________________________________________________

________________________________________________________________

________________________________________________________________

________________________________________________________________

________________________________________________________________

________________________________________________________________

________________________________________________________________

________________________________________________________________

________________________________________

**3. დაალაგე მოცემული ინფორმაცია თანამიმდევრულად. გამოიყენე წიგნში მოცემული მორიგი ეპიზოდი (გვ.72 , დავალება №2) და შეამოწმე.**

**ა.** *ცხოველებმა გამარჯვების ჰიმნი შემოსძახეს.* __________

**ბ.** *ჯოუნსმა სმა დაიწყო.* __________

**გ.** *შეშინებული ადამიანები გაიქცნენ.* __________

**დ.** *ტახი მეიჯერი დამარხეს.* __________

**ე.** *ბებერმა მეიჯერმა სული განუტევა.* _____1_____

**ვ.** *ცხოველებმა დაიძინეს.* __________

**ზ.** *ბატონმა ჯოუნსმა დიდძალი ფული დაკარგა.* __________

**თ.** *მშიერი ცხოველები აჯანყდნენ.* __________

**ი.** *ახალი მოძღვრება ჩამოაყალიბეს.* __________

**1. დაუბრუნდი მოცემულ ეპიზოდს და შეასრულე მითითებები.**

*ა. უპასუხე შეკითხვებს.*

- *რატომ დაევალათ ღორებს საორგანიზაციო საქმეების მოგვარება?*
- *ვინ ჩამოაყალიბა ახალი მოძღვრება?*
- *რამ შეცვალა ბატონი ჯოუნსი და რაში გამოიხატებოდა ეს?*
- *რა ერქვა ჯოუნსის ფერმას?*
- *რა გახდა ცხოველთა ამბოხის მიზეზი?*

*ბ. მოძებნე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა და ამოწერე.*

*ველური მცენარე, ცუდბალახი,* ______________________________

*შეაშინა, შეაძრწუნა,* ____________________________________________

*კერძი, საკვების წილი,* ___________________________________

 გ. ამოწერე ინფორმაცია მათ შესახებ და შეადარე ისინი ერთმანეთს.

| | სნოუბოლი | ნაპოლეონი | სქუილერი |
|---|---|---|---|
| *გარეგნობა* | | | |
| *თვისებები* | | | |

*დ. დაუბრუნდი ცხრილს და დაახასიათე ისინი ცალ-ცალკე.*

**2. რა მოხდა მეორე დღეს? უპასუხე შეკითხვებს მორიგი ეპიზოდის მიხედვით (გვ. 72, დავალება №3).**

ა. რა გააკეთეს პირველად ცხოველებმა?
ბ. რას შეჰყურებდნენ ისინი ხმაამოუღებლად და რატომ?
გ. რისთვის შევიდნენ ჯოუნსის სახლში?
დ. რა გადაწყვიტეს იქიდან გამოსულებმა?

**3. გამოიყენე წინა დავალებები და გადმოეცი, რა მოხდა ბებერი ტახის სიკვდილის შემდეგ.**

**4. წაიკითხე სქუილერის გამოსვლის ეპიზოდი და უპასუხე შეკითხვებს.**

*– ამხანაგებო, დარწმუნებული ვარ, რომ ყოველი ცხოველი ჯეროვნად აფასებს იმ მსხვერპლს, ნაპოლეონმა რომ გაიღო, როცა საკუთარ თავზე ეს ზედმეტი ტვირთი აიღო. ნუ იფიქრებთ, რომ ლიდერობა სიამოვნებაა! პირიქით, ეს სერიოზული და მძიმე პასუხისმგებლობაა. ნაპოლეონზე უკეთესად ვინ იცის ის, რომ ყველა ცხოველი თანასწორია. იგი მხოლოდ ბედნიერი იქნებოდა, რომ თქვენი საქმეების მოგვარება თქვენთვისვე მიენდო, მაგრამ თქვენ, შესაძლოა, ზოგჯერ ვერც კი მიიღოთ სწორი გადაწყვეტილება და მაშინ? რა გვეშველებოდა მაშინ? ვთქვათ და მხარი დაგეჭირათ სნოუბოლისათვის, მერე? სნოუბოლი ვინც ბრძანდება, ყველამ ხომ კარგად გაიგეთ. იგი ბოროტმოქმედია და სხვა არაფერი!*

*– სნოუბოლი მამაცურად იბრძოდა „ბოსლის ბრძოლაში“, – წაილუღლუღა ვიღაცამ.*

*– სიმამაცე არ კმარა, მთავარია ერთგულება და მორჩილება. დისციპლინა, ამხანაგებო, რკინის*

*დისციპლინა! აი, რა უნდა იქცეს დღევანდელობის დევიზად. ერთი მცდარი ნაბიჯი და დამარცხებული-ბი ვართ. ბოლოს და ბოლოს, გვინდა ჯოუნსის დაბრუნება?“*

ა. რას ცდილობს სქუილერი ცხოველებთან ამ გამოსვლით და რატომ?
ბ. რა ტვირთზე საუბრობს ის?
გ. რატომ არის ლიდერობა სერიოზული და მძიმე პასუხისმგებლობა, სქუილერის აზრით?
დ. რით ამართლებს ის ნაპოლეონის უსამართლობას?
ე. როგორია ცხოველების დამოკიდებულება სნოუბოლთან?
ვ. რატომ გახდა მიუღებელი სნოუბოლი ნაპოლეონისათვის?
ზ. რა იქცა მნიშვნელოვან დევიზად?
თ. რით აშინებს სქუილერი ცხოველებს და რატომ?

**5. გაიხსენე სქუილერის მორიგი განმარტებები. წაიკითხე წინადადებები და დაასრულე.**

ა. *აუცილებელია, რომ ღორებს სამუშაოდ წყნარი ადგილი ჰქონდეთ, ვინაიდან* ____

ბ. *ბელადის ღირსებას ბინაში ცხოვრება უფრო შეშვენის, ვიდრე* ____

გ. *თქვენ რა, გგონიათ, რომ საწოლებს* ____

დ. *კანონი საწოლს კი არა,* ____

ე. *გინდათ, რომ გადავილალოთ და* ____

ვ. *დაიმახსოვრეთ, ამიერიდან ღორები ერთი საათით* ____

ზ. *დარწმუნებული ვარ, ჯოუნსის დაბრუნება* ____

თ. *ნუ დაივიწყებთ, მაშინ მონები იყავით,* ____

**6. გააცანით ერთმანეთს თქვენი ვერსიები. 🎧 მოისმინეთ თავიდან და შეამოწმეთ.**

**7. გაიხსენე, როგორ განვითარდა მოვლენები დასაწყისიდან აქამდე და იმსჯელეთ მოცე-მულ შეკითხვებზე.**

- *რამ შეცვალა ნაპოლეონი?*
- *რატომ, რის მიხედვით იცვლება წესები?*
- *როგორია მასის (ამ შემთხვევაში, დანარჩენი ცხოველების) პოზიცია ლიდერთან და წესების ცვლილებებთან დაკავშირებით?*
- *რატომ ვერ ხედავენ ცხოველები სიმართლეს?*
- *როგორ ფიქრობ, არიან თუ არა ისინი, მართლაც, თავისუფლები?*
- *რა შეიცვალა რეალურად და რა – არა?*

## წაკითხულის გააზრება

**1. შენი აზრით, რა იგულისხმება ევროპის ტრაგედიაში? (უპასუხე I აბზაცის მიხედვით)**

**2. როგორ ფიქრობ, რატომ უწოდებს ჩერჩილი ევროპას "კეთილშობილ კონტინენტს"?**

**3. I აბზაცში ვკითხულობთ, რომ ევროპა კულტურის, ხელოვნების, ფილოსოფიისა და მეცნიერების აკვანია. შემოხაზე ვარიანტი, რომელშიც მოცემულია განსხვავებული აზრი.**

ა) კულტურა, ხელოვნება და მეცნიერება ევროპაში წარმოიშვა;
ბ) კულტურის, ხელოვნებისა და მეცნიერების ისტორია ევროპაში იღებს სათავეს;
გ) კულტურა, ხელოვნება და მეცნიერება ევროპაში განვითარდა;
დ) კულტურას, ხელოვნებასა და მეცნიერებას ევროპაში ჩაეყარა საფუძველი.

**4. რა არის ევროპის საერთო მემკვიდრეობა? (უპასუხე I აბზაცზე დაყრდნობით)**

**5. შენი აზრით, რას გულისხმობს ევროპის საერთო მემკვიდრეობის კოლექტიური მოხმარება?**

**6. რატომ უწოდებს ჩერჩილი ნაცისტურ მოძრაობას "საზარელს"?**

**7. მეორე აბზაცის მიხედვით, რისი ეშინიათ დამარცხებულებს?**

**8. რა არის მეორე აბზაცის დანიშნულება?**

**9. ჩერჩილის აზრით, რა არის აუცილებელი ევროპული ოჯახის აღსადგენად?**

**10. ჩერჩილის სიტყვებით, რა ადგილი ექნებათ მცირე ერებს გაერიანებული ევროპის სტრუქტურაში? (უპასუხე IV აბზაცის მიხედვით)**

---

**11. ჩერჩილის აზრით, რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას ევროპის გაერთიანების მიზნით? შემოხაზე სწორი ვარიანტი.**

ა) ევროპის საბჭოს ჩამოყალიბება, ევროპული ოჯახის რეგიონული სტრუქტურის შექმნა, ევროპის შეერთებული შტატების შექმნა;
ბ) ევროპის საბჭოს ჩამოყალიბება, ევროპული ოჯახის რეგიონული სტრუქტურის, ანუ ევროპის შეერთებული შტატების შექმნა;
გ) ევროპული ოჯახის რეგიონული სტრუქტურის შექმნა, ევროპის საბჭოს, ანუ ევროპის შეერთებული შტატების შექმნა;
დ) ევროპული ოჯახის რეგიონული სტრუქტურის შექმნა, ევროპის საბჭოს ჩამოყალიბება, ევროპის შეერთებული შტატების შექმნა.

**12. რა უნდა გააჩნდეს ევროპულ ქვეყანას იმისათვის, რომ გახდეს ევროპის შეერთებული შტატების წევრი? (უპასუხე V აბზაცის მიხედვით)**

---

**13. ჩერჩილის სიტყვებით, რა პრინციპებს დაეყრდნობა გაერთიანებული ევროპის მოქალაქეების ცხოვრება?**

ა) სამართლიანობას, გულმოწყალებასა და თავისუფლებას;
ბ) სიამოვნებასა და იმედის;
გ) ნდობასა და მზადყოფნას;
დ) მშვიდობას, უსაფრთხოებას, თავისუფლებას.

**14. ჩერჩილის აზრით, რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეთ არაევროპულ ქვეყნებს გაერთიანებული ევროპის მიმართ? (უპასუხე V აბზაცის მიხედვით)**

---

---

---

**15. შენი აზრით, განხორციელდა თუ არა ჩერჩილის პროექტი ევროპის ქვეყნების პოლიტიკური გაერთიანების შესახებ? (პასუხი დაასაბუთე)**

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

# ვისწავლოთ ცხოვრება ერთად!

## 1. კულტურათა დიალოგი

**1. დაიყავით მცირე ჯგუფებად და შეასრულეთ მოცემული მითითებები.**

ა. *მოიფიქრეთ და ჩამოწერეთ, რა მსგავსება და განსხვავება არსებობს:*

- ადამიანსა და ყველა სხვა ცოცხალ არსებას შორის?
- სხვადასხვა ერის წარმომადგენლებს შორის?
- ერთი ერის წარმომადგენლებს შორის?
- სხვადასხვა ოჯახს შორის?
- ერთი ოჯახის სხვადასხვა წევრს შორის?

ბ. *გააცანით თქვენი მასალა სხვა ჯგუფებს. შეადარეთ და იმსჯელეთ მსგავსება განსხვავებების შესახებ.*

გ. *დაასაბუთე თქვენი პოზიციები შესაბამისი არგუმენტებით.*

**2. განმარტე, როგორ გესმის ცხრილში მოცემული სიტყვები. წაიკითხე და შედარე სხვების ვარიანტებს. დაასაბუთე შენი პოზიციები კონკრეტული მაგალითებით.**

| | |
|---|---|
| კულტურული ადამიანი | |
| უკულტურო ადამიანი | |
| მაღალი კულტურა | |
| დაბალი კულტურა | |
| განვითარებული კულტურა | |
| ჩამორჩენილი კულტურა | |
| კარგი კულტურა | |
| ცუდი კულტურა | |
| უახლესი კულტურა | |
| უძველესი კულტურა | |

**3. იმსჯელე მოცემულ შეკითხვებზე და დაასაბუთე შენი არჩევანი, რატომ ფიქრობ ასე.**

**ა.** რატომ უჭირთ ხშირად ერთმანეთის გაგება სხვადასხვა კულტურის ადამიანებს?

**ბ.** რატომ არსებობს განსხვავებული ტრადიციები?

**გ.** რატომ იქცევა ერთსა და იმავე სიტუაციაში სხვადასხვა ადამიანი სხვადასხვაგვარად?

**დ.** რატომ იცვლება ღირებულებები, შეხედულებები, წეს-ჩვეულებები და ტრადიციები დროში?

**ე.** რა მოხდებოდა, მსოფლიოში მცხოვრებ ადამიანებს ერთნაირი კულტურა რომ ჰქონდეთ და ეს კულტურა დროში არ იცვლებოდეს?

**ვ.** ისურვებდი თუ არა ასეთ ერთგვაროვან სამყაროში ცხოვრებას და რატომ?

**4. ჩაწერე, რა დადებითი ან უარყოფითი მხარეები აქვს, შენი აზრით, ერთფეროვან სამყაროში ცხოვრებას და გააცანი კლასელებს.**

| დადებითი მხარეები | უარყოფითი მხარეები |
|---|---|
| | |

**5. შეადარეთ თქვენი პოზიციები ერთმანეთს და იმსჯელეთ მათ შორის არსებულ განსხვავებებზე.**

**6. წაიკითხე მოცემული ინფორმაცია და უპასუხე შეკითხვებს.**

*დიპლომატებს საგანგებოდ ასწავლიან კულტურათა თავისებურებებს. ამ ფაქტორს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ასევე საერთაშორისო ბიზნესკომპანიებიც.*

- რაში სჭირდებათ დიპლომატებსა და საერთაშორისო ბიზნესკომპანიებს კულტურათა თავისებურებების ცოდნა?
- რა არის თითოეული მათგანის მიზანი?
- რა სირთულეები შეიძლება გამოიწვიოს ამ თავისებურებათა არცოდნამ როგორც დიპლომატების, ისე საერთაშორისო ბიზნესკომპანიების შემთხვევაში?
- შენ როგორ ფიქრობ, საჭიროა თუ არა კულტურული თავისებურებების სპეციალური სწავლება? დაასაბუთე, რატომ ფიქრობ ასე.

**7. გაეცანი მოცემულ სიტუაციას და შეასრულე 96-ე გვერდზე მოცემული მითითებები.**

ა) *წარმოიდგინე, რომ ახალგაცნობილმა გერმანელმა მეგობარმა შენ და კიდევ რამდენიმე უცხოელი თანატოლი სტუმრად დაგპატიჟათ საღამოს 6 საათზე თავისთან. შენ ბულგარელ თანატოლს შესთავაზე, ერთად წასულიყავით მასთან. შეთავაზებაზე ბულგარელმა გაიღიმა და თავი გაიქნია. სახტად დარჩენილი დაემშვიდობე მას და წახვედი. შენმა საქციელმა ბულგარელი გაკვირვებული და განაწყენებული დატოვა.*

ბ) *ბულგარელი თანატოლი სტუმრად აღარ მოვიდა. ბრაზილიელმა მეგობარმა კი ნახევარი საათით დაიგვიანა. მასპინძელმა უკმაყოფილება არ დამალა და დაგვიანებულ მეგობარს უსაყვედურა. ბრაზილიელი გაკვირვებული დარჩა მასპინძლის რეაქციით.*

გ) *ვახშმობის დამთავრებისთანავე ბრაზილიელმა მასპინძელს მადლობა გადაუხადა, თავაზიანად დაემშვიდობა და წავიდა. მისმა ამგვარმა ქცევამ მასპინძელი კვლავ შეურაცხყოფილი დატოვა.*

I. უპასუხე შეკითხვებს.

- რა იყო დანიშნული საღამოს 6 საათზე?
- შენ გარდა, კიდევ ვინ დაპატიჟა შენმა გერმანელმა თანატოლმა?
- ვისთან ერთად გადაწყვიტე იქ წასვლა?
- როგორ მოიქცა შენს შეთავაზებაზე ბულგარელი თანატოლი?
- ვინ არ მივიდა სტუმრად?
- ვის უსაყვედურა მასპინძელმა და რისთვის?

II. მოძებნე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები და ამოწერე.

- გაოცდა, გაოგნდა, ______________________________
- უსიამოვნება, უთანხმოება, დამდურება, ________________________
- კარგი ან ცუდი დამოკიდებულების გამოჩენა ვინმესთან, მოპყრობა, ______ ________________
- დამცირებული, ____________________________

III. ჩაწერე, ვინ არის მოცემულ სიტუაციაში (მიუთითე ყველა შესაძლო ვარიანტი):

- სახტად დარჩენილი ____________________________
- გაკვირვებული ________________________________________
- განაწყენებული ________________________________________
- უკმაყოფილო ________________________________
- დაგვიანებული _____________________________
- შეურაცხყოფილი _______________________________

IV. დაუბრუნდი წინა დავალებას და განმარტე მათი ამგვარი მდგომარეობის მიზეზები.

- შენ: ________________________________________________
- ბულგარელი: _________________________________________
- ბრაზილიელი: ________________________________________
- გერმანელი: _________________________________________

V. შეაფასე მოცემული სიტუაცია შენი პოზიციიდან.

- ვისი ქცევა იყო შენთვის მიუღებელი, ჩვეულებრივი, არაორდინალური, გაუგებარი, გასაგები, გასაოცარი და, კონკრეტულად, რატომ?
- შენ როგორ მოიქცეოდი გერმანელის, ბულგარელისა და ბრაზილიელის ადგილას და რატომ?

**1. გაეცანი მოცემულ ინფორმაციებს და დააკავშირე წინა დავალების სიტუაციასთან. შეადარე შენს ვერსიებს.**

- ევროპის ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნებში, ლათინურ ამერიკასა და აფრიკაში (საჰარის სამხრეთით) სავსებით მისაღებია ვახშამზე ნახევარი საათით დაგვიანება მაშინ, როდესაც გერმანიასა და შვეიცარიაში ეს უზრდელობად აღიქმება.
- აზიის ბევრ ქვეყანასა და ცენტრალურ ამერიკაში მისაღებია ვახშმობის შემდეგ წასვლა. თუ ადამიანი ასე არ მოიქცა, ეს ნიშნავს, რომ ის საკმარისად არ დანაყრდა. ინდოეთში, ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში კი ვახშმის შემდეგ მასპინძლის დატოვება უზრდელობაა და იმას მიანიშნებს, რომ სტუმარს მხოლოდ ჭამა უნდოდა და არა – მასპინძლების საზოგადოებაში დროის გატარება.
- ბულგარეთში თავის დაბლა დაქნევა, თანხმობის ნაცვლად, უარის ნიშანია.

**2. დაუბრუნდი კულტურათა შორის გაუგებრობებს და უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს სათანადო არგუმენტების გამოყენებით.**

ა. რა შემთხვევაში არ მოხდებოდა მსგავსი გაუგებრობები სხვადასხვა კულტურის ადამიანებს შორის?

ბ. რისი გაცნობიერება, გააზრება არის საჭირო განსხვავებულ კულტურასთან შეხვედრამდე?

გ. არსებობს თუ არა ისეთი რამ, რისი წინასწარი გაცნობიერებაც აუცილებლობას არ წარმოადგენს? დადებითი პასუხის შემთხვევაში, დააკონკრეტე, რას გულისხმობ.

**3. დააკვირდი კულტურის აისბერგის მოდელს და ისაუბრე მის შესახებ.**

- რას მოიცავს კულტურა?
- რა შედის მის ე.წ. ხილულ და უხილავ ნაწილებში?
- რომელი ნაწილის გაცნობიერება არის მნიშვნელოვანი?
- დაუბრუნდი უცხოელ თანატოლებთან განვითარებულ სიტუაციას და დააკავშირე ის კულტურის აისბერგის მოდელთან. რამ გამოიწვია გაუგებრობები?

გრაფიკი 1: კულტურა აისბერგის მოდელის მიხედვით




წყარო: p. 14 AFS Orientation Handbook Vol. 4, New York: AFS Intercultural Programs Inc., 1984

**1. გაიხსენე ინფორმაცია სტერეოტიპების შესახებ და შეავსე ტექსტში გამოტოვებული ადგილები. 🎧 მოისმინე თავიდან და შეამოწმე შენი ნაწერი. შეასრულე ქვემოთ მოცემული მითითებები.**

სტერეოტიპი ______________________________ სიტყვაა და სიტყვასიტყვით „მყარ ______________________________“ ნიშნავს. ისინი ხელს ______________________________ და აბრკოლებენ კულტურათა ______________________________, ადამიანებს შორის ______________________________.

წინასწარი წარმოდგენების შედეგად, ადამიანები ხშირად ხედავენ იმას, რაც ______________________________, ან რისი დანახვის ______________________________ აქვთ.

როგორც წესი, ჩვენ გვჯერა არა იმის, რასაც ______________________________, არამედ ვხედავთ იმას, რისიც ______________________________.

სტერეოტიპები ეყრდნობა არა ______________________________ და ______________________________, არამედ ხშირად სხვათა ______________________________ და ______________________________.

*ა. უპასუხე შეკითხვებს.*

- საიდან მოდის სიტყვა „სტერეოტიპი“?
- რა არის სტერეოტიპი და რა უწყობს ხელს მის ჩამოყალიბებას?
- როგორი სტერეოტიპები არსებობს?
- რას ნიშნავს „ნეგატიური“ და „პოზიტიური“ სტერეოტიპები?
- შესაბამისად, რა როლს თამაშობენ ისინი ადამიანებსა და კულტურებს შორის ურთიერთობებისას?

*ბ. გაეცანი მასალას და უპასუხე მის ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს. გაამყარე პასუხი კონკრეტული მაგალითებით.*

ქალი სუსტი არსებაა. ქალი დიასახლისი უნდა იყოს. მამაკაცები საუკეთესო ხელმძღვანელები არიან. მამაკაცი უნდა ფლობდეს ძალაუფლებას. ქალს პოლიტიკასთან არაფერი ესაქმება. მამაკაცს ყველაფრის გაკეთების უფლება აქვს. გერმანელები პუნქტუალურები არიან. ყველა შავკანიანი საუკეთესო კალათბურთელი და მუსიკის საუკეთესო შემსრულებელია. კაცი არ ლაპარაკობს გრძნობებზე და არასოდეს ტირის. ქალები ჭორიკნები არიან. ყველა მოზარდი რთულია. ბევრი ფული ბედნიერებაა. ფულის გარეშე ადამიანი უბედური და წარუმატებელია. ისე უნდა გეცვას, როგორც ყველა იცვამს.

- დაასახელე, მოცემული სტერეოტიპებიდან, რომელია ნეგატიური და რომელი – პოზიტიური?
- რის შესახებ აყალიბებენ ისინი ჩვენს წარმოდგენებს?
- რომელი სტერეოტიპი არსებობს შენ გარშემო? გაავლე პარალელი შენს რეალობასთან.
- როგორია შენი დამოკიდებულება მათ მიმართ? რომელს იზიარებ და რომელს – არა? განმარტე და დაასაბუთე, რატომ?
- ახდენს თუ არა ამგვარი შეხედულებები მათთან ურთიერთობებზე გავლენას? დადებითი პასუხის შემთხვევაში, დააკონკრეტე, რა გავლენას ახდენს.
- შენ თუ გქონია მსგავსი შემთხვევები? დადებითი პასუხის შემთხვევაში, გაიხსენე სად, როდის და ვისთან იყო ეს.
- როგორ იქცევი იმ შემთხვევაში, როდესაც არსებული სტერეოტიპი მკვეთრად ეწინააღმდეგება შენს აზრს, პოზიციას, პირად გამოცდილებას?
- გიკამათია თუ არა სტერეოტიპების საფუძვლიანობა-უსაფუძვლობის გამო? გაიხსენე, სად, როდის და ვისთან იყო ეს.

*გ. გაანაწილე წინა დავალებაში ( გვ. 98, ბ) მოცემული სტერეოტიპები ცხრილში და გააცანი კლასელებს.*

| **უნივერსალური სტერეოტიპი**<br>თითქმის ყველა კულტურაში გვხვდება მცირეოდენი განსხვავებით. | **ნაციონალური სტერეოტიპი**<br>დამახასიათებელია მხოლოდ კონკრეტული კულტურისათვის. | ახასიათებს **კონკრეტულ სოციალურ კლასს (ან საზოგადოების გარკვეულ ჯგუფს)** ყველა კულტურაში ან კონკრეტულ კულტურაში. |
|---|---|---|
| | | |

*დ. შეადარეთ ერთმანეთის ვარიანტები და იმსჯელეთ არსებულ განსხვავებებზე. რა არის ამ სხვაობის საფუძველი? არის თუ არა ეს კონკრეტულ სტერეოტიპთან განსხვავებული მიდგომის ბრალი?*

**2. შეავსე სათანადო ინფორმაციით, გააცანი კლასელებს და იმსჯელე. დაასაბუთე პოზიცია მყარი არგუმენტებით.**




**3. უპასუხე შეკითხვებს.**

**ა.** რა არის „კულტურული შოკი“ და რა იწვევს მას?

**ბ.** ვინ განიცდის კულტურულ შოკს, სად, როდის და რა შემთხვევაში?

**გ.** რა ემოციები შეიძლება გამოიწვიოს კულტურულმა შოკმა?

**დ.** შენი აზრით, აქვს თუ არა შოკის გამოწვევასთან სტერეოტიპების არსებობას კავშირი? დადებითი პასუხის შემთხვევაში, დააკონკრეტე, რას გულისხმობ.

**1. წაიკითხე ტექსტი და შეამოწმე შენი პასუხები.**

XII-XVII სს. მოგზაურთა გადმოცემებმა, რომლებიც აღწერდნენ ახალი ქვეყნებისა და ხალხების უსასრულო რაოდენობას, ევროპაში კულტურული შოკი გამოიწვია, რაც საფუძვლად დაედო კულტურის ფენომენის, როგორც შესწავლის ობიექტის, ჩამოყალიბებას. ამ კულტურულმა შოკმა შეარყია ევროპელთა წარმოდგენა საკუთარ განსაკუთრებულობაზე. აღმოჩნდა, რომ კაცობრიობა შედგება მრავალი კულტურისაგან.

კულტურული შოკი, როგორც ტერმინი, XX ს-ის 50-იანი წლების მიწურულიდან გვხვდება სამეცნიერო ლიტარატურაში დაძაბულობის, დაურწმუნებლობისა და შფოთვის იმ შეგრძნების აღსანიშნად, რომელსაც ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი განიცდის ახალ და უჩვეულო კულტურულ გარემოში აღმოჩენისას. ეს არის სიტუაცია, როდესაც ერთმანეთს უპირისპირდება ადამიანისათვის ჩვეული და უცხო კულტურების ფასეულობები, ნორმები, ენა და ყოველდღიური ცხოვრება. კულტურულ შოკს მეტ-ნაკლებად განიცდის ყველა, ვინც პირველად ხვდება უცხო კულტურულ გარემოში (ტურისტები, ემიგრანტები, სასწავლებლად წასული ახალგაზრდები, უცხო ქვეყანაში სამუშაოდ წასულები, მოგზაურები).

კულტურული შოკი ადამიანებზე სხვადასხვაგვარ გავლენას ახდენს. კულტურული შოკით გამოწვეული ემოციები შეიძლება იყოს გაოცება, გაღიზიანება, შური და აგრესიაც კი.

**2. დაუბრუნდი ტექსტს და შეასრულე მითითებები.**

**ა.** *მონიშნე ცხრილში სათანადო უჯრა. წაიკითხე და შეადარე სხვების ვერსიებს.*

| | **სწორია** | **არ არის სწორი** | **არ ჩანს ტექსტიდან** |
|---|---|---|---|
| ა. პირველი კულტურული შოკი ევროპელებმა განიცადეს. | | | |
| ბ. ამ კულტურული ფენომენის შესწავლა ევროპელებს უკავშირდებათ. | | | |
| გ. კულტურულმა შოკმა გაამყარა ევროპელთა წარმოდგენები. | | | |
| დ. ევროპელები აღფრთოვანებულები დარჩნენ უცხო კულტურასთან შეხებით. | | | |
| ე. კულტურული შოკი დადებითად მოქმედებს ადამიანზე. | | | |
| ვ. XX ს-ის შუა ნახევარში გაჩნდა ახალი ტერმინი. | | | |
| ზ. ამ ტერმინმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. | | | |

**ბ.** *გაასწორე ცხრილში მოცემული მცდარი ინფორმაცია.*

1. ______________________________
2. ______________________________
3. ______________________________

**გ.** *გადმოწერე და დაასაბუთე ცხრილში მოცემული სწორი ინფორმაცია ტექსტის მიხედვით.*

1. ______________________________
______________________________

**საიდან ჩანს?** ______________________________
______________________________

2. ______________________________
______________________________

3. **საიდან ჩანს?** ______________________________
______________________________

*დ. მოძებნე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები და ამოწერე.*

- უსაზღვრო, დაუსრულებელი, ______________________________
- განსაზღვრა, განაპირობა, ______________________________
- დაარღვია, შეასუსტა, ______________________________
- ადამიანთა მოდგმა, მთელი მსოფლიოს ადამიანები, ____________________
- რთული, გამწვავებული მდგომარეობა, ____________________
- ბორგვა, მოუსვენრობა, ______________________________
- გაკვირვება, განცვიფრება, ______________________________
- წუხილი, სინანული სხვის რამე კარგზე, მოსაწონზე. ____________________

*ე. შემოხაზე, რა მნიშვნელობით არის ნახმარი მოცემული სიტყვა კონტექსტის მიხედვით.*

გაღიზიანება არის:

1. ფიზიკური აღგზნების გამოწვევა;
2. გამიზეზება (სატკივრისა, წყლულისა);
3. გაბრაზება, გაცხარება, განერვიულება.

**3. შეავსე ცხრილი და გააცანი კლასელებს. რა არის შენთვის დასავლეთი და რა – აღმოსავლეთი.**

| დასავლეთი | აღმოსავლეთი |
|---|---|
| | |

**4. დაუბრუნდი წინა დავალებას და შეადარე ცხრილის ორივე სვეტი ერთმანეთს.**

- არსებობს თუ არა მათ შორის რამე საერთო? დადებითი პასუხის შემთხვევაში, მიუთითე.

  ______________________________________________________________

- რაში გამოიხატება მათ შორის განსხვავება? დაასახელე კონკრეტულად.
- მოცემული ინფორმაციიდან შენში გამოიწვია თუ არა რაიმემ კულტურული შოკი? დადებითი პასუხის შემთხვევაში, დაასახელე, რამ და მიუთითე: როდის და სად?
- რომელი დგას შენთან უფრო ახლოს, რატომ და რით?
- რა არის საქართველო – დასავლეთი თუ აღმოსავლეთი და რატომ?

**1. გაასწორე ენობრივი შეცდომები, წაიკითხე და შეამოწმე შენი ნაწერი.**

| | გაასწორე მცდარი ინფორმაცია! |
|---|---|
| საქართველო ევროპის მეტად უკიდურესად სამხრეთ-აღმოსავლურ ნაწილში მდებარეობს და ევრაზიის კონტინენტის „აზიურ“ ნაწილთან ესაზღვრება. ამგვარი გეოპოლიტიკური მდებარეობამ მას ძალიან განსაკუთრებული ფუნქცია მისცა. ამ ფუნქციას ისტორიულად, ე.წ. „დიდი აბრეშუმის გზა“ ასრულებდა.<br>ტერმინი „აბრეშუმის გზა“ მე-XIX ს-ის ბოლოში გერმანულ მეცნიერებაში შეიქმნა და ჩინეთიდან დასავლეთისაკენ უძველესი ვაჭრობის გზის აღნიშვნისავის იხმარებოდა. ამ გზიდან სხვა საქონელსა და ნაწარმთან ერთად აღმოსავლეთიდან დასავლეთში უპირატესად სწორედ ჩინელი აბრეშუმი შედიოდა. | |

**2. გაიხსენე ტექსტი და შემოხაზე სწორი ვარიანტები.**



ა. *გათხრები დმანისის ნაქალაქარში დაიწყო:*
- 1926 წელს
- 1936 წელს
- 1956 წელს

ბ. *გათხრები დაიწყეს:*
- ქართველებმა
- გერმანელებმა
- ქართველებმა და გერმანელებმა ერთად.

გ. *არქეოლოგიურმა გათხრებმა დაამტკიცა, რომ:*
- დმანისში უცხო ცივილიზაცია არსებობდა;
- დმანისი პირველი ევროპელების სამშობლოა;
- პირველ ევროპელებს მზია და ზეზვა ერქვათ.

**3. 🎧 მოისმინე და შეამოწმე შენი პასუხები.**

**4. დაასრულე წინადადებები და წაიკითხე.**

ა. გათხრები დმანისის ნაქალაქარში დღემდე ______________________.

ბ. დმანისში აღმოჩენილია დიდი რაოდენობით გადაშენებული ______________________ ______________________.

გ. აღმოჩენილი ადამიანის ნაშთები 1.8–1.7 მილიონი წლით ______________________ ____________.



Qartuli_Done-12_RVEULI _ 102

**5. შეავსე გამოტოვებული კავშირები და წაიკითხე. შეადარე სხვების ვარიანტებს. გამოიყენე წიგნი და შეამოწმე ნაწერის სისწორე.**

*„ეს ის ქვეყანაა, ______________________ გავლითაც ალექსანდრე მაკედონელი დასავლეთში უნდა გაბრუნებულიყო, ______________________ მისი აღება ვერ შეძლო. ამის მიზეზია ______________________ გზათა სივიწროვე, ____________ ____________ მთასა და ზღვას შორის გაწოლილი ქვეყნის მცხოვრებთა სიმამაცე. ______________________ ალექსანდრემ ვერ შეძლო მისი გავლა ____________ ააგო სიმაგრე, ______________________ რკინის კარი (დარუბანდი) ეწოდა...“*

*მარკო პოლო (1254-1324)*

*ვენეციელი ვაჭარი, იმოგზაურა ჩინეთში, ____________ 17 წელი (1275-1292) დაჰყო. მის ცნობილ წიგნში მცირე ადგილი დაეთმო საქართველოსაც, ____________ ________ გზად გაიარა.*

**6. დაუბრუნდი წინა დავალებას და უპასუხე შეკითხვებს.**

**ა.** რომელ საუკუნეებში მოღვაწეობდა მარკო პოლო?

**ბ.** როგორ აღმოჩნდა ის საქართველოში?

**გ.** ვის სახელს უკავშირდება დარუბანდის აგება?

**დ.** რომელ ქვეყანაზე საუბრობს მარკო პოლო?

**ე.** რატომ ვერ შეძლო ალექსანდრე მაკედონელმა მისი აღება?

**7. დაასრულე სიტყვები და წაიკითხე წინადადებები.**

**ა.** მარადიული თოვლ________ დაფარული მწვერვალებ________ კონტრასტია მწვანე ხეობა.

**ბ.** შორს კი აქლემ________ ზურგი________ აწვდილი ყაზბეგი ღრუბლებ________ ამაღლებულა.

**გ.** ქართველ________ ძველ სატახტოს ყოველი მხრი________ გალავნ________ აკრავს მთები.

**8. გამოიყენე წიგნი და უპასუხე შეკითხვებს (გვ.81 ; დავალება №6, მე-2 ტექსტი).**

**ა.** რომელ ქალაქს ადარებს ავტორი თბილისს და რა ნიშნით?

**ბ.** რას ადარებს ის:

- თბილისურ სახლებს? ______________________
- თბილისურ ქუჩებს? ______________________
- ყაზბეგის მთას? ______________________

**გ.** სად ხვდება ერთმანეთს დასავლეთი და აღმოსავლეთი? ______________________

______________________

**დ.** რომელ უბანზე საუბრობს ავტორი, შენი აზრით? ______________________

______________________

**ე.** რა არის აღმოსავლური და რა – დასავლური თბილისში, მისი აზრით? ____________

______________________

**1. დააკავშირე ერთმანეთთან და გადაწერე.**

| | | |
|---|---|---|
| ჭადრაკის | კულტურა | ______ |
| ჩაწნული | დაფარული | ______ |
| ევროპული | თბილისში | ______ |
| თოვლით | ფიგურები | ______ |
| შუაგულ | ბაფთები | ______ |

**2. დაუბრუნდი იმავე ტექსტს და განმარტე მოცემული სიტყვები კონტექსტის მიხედვით. გააცანით ერთმანეთს თქვენი ვერსიები და შეამოწმეთ დავალების სისწორე მასწავლებლის დახმარებით.**

ა. მარადიული: ______

ბ. ეგზომ: ______

**3. შემოხაზე, რომელი მნიშვნელობით არის ნახმარი მოცემული სიტყვა კონტექსტის მიხედვით.**

იფურჩქნება:
1. ფოთოლი გამოაქვს, იშლება.
2. გადატ. ვითარდება.

**4. გადახაზე ზედმეტი სიტყვა.**

მშვენიერი მოხდენილი ნატიფი ფაქიზი სუსტი

**5. შეასრულე წიგნში მოცემული დავალებები (გვ. 82-83 ).**

ა. *სწორად გადმოწერე წინადადებები (დავალება №2).*

ა. ______

ბ. ______

გ. ______

დ. ______

ე. ______

ვ. ______

ზ. ______

ბ. *სწორად გადმოწერე წინადადებები (დავალება №4).*

ა. ______

ბ. ______

გ. ______

დ. ______

ე. ______

**6. გამოიყენე წიგნში მოცემული ტექსტი (გვ.85, დავალება №5) და შეასრულე მითითებები.**

*ა. შეავსე სათანადო ინფორმაციით.*

**დაწყებითი სკოლა::** ________________________________

________________________________

________________________________

________________________________

**საბაზო სკოლა:** ________________

________________

________________

________________

________________

________________

________________

________________

________________

________________

________________

________________



**საშუალო სკოლა:** ________________

________________

________________

________________

________________

________________

________________

________________

**სკოლის ტრადიციები:** ________________

________________

________________

________________

________________

________________

________________

________________

________________

________________

**იაპონელი მოსწავლეები:** ________________________

________________________

________________________

________________________

________________________

________________________

________________________

________________________

*ბ. მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დაუსვით ერთმანეთს შეკითხვები და უპასუხეთ.*

*გ. გამოიყენე სქემა და ისაუბრე იაპონური სკოლისა და იაპონელი მოსწავლეების შესახებ.*

*დ. შეადარე ის შენს სასწავლო გარემოს (სწავლების საფეხურები, საგნები, სკოლის ტრადიციები, მოსწავლეთა მოვალეობები და საქმიანობა და ა.შ.), მოძებნე მსგავსება-განსხვავებები და დაასახელე.*

## 2. ტოლერანტობა

1. **გამოიყენე წიგნში მოცემული ინფორმაცია და უპასუხე შეკითხვებს (გვ. 86, დავალება №2).**
   ა. სად და როდის ჩატარდა კვლევა?
   ბ. ვინ ჩაატარა კვლევა?
   გ. ვინ იყო სამიზნე ჯგუფი?
   დ. სულ რამდენმა ადამიანმა მიიღო გამოკითხვაში მონაწილეობა?
   ე. რა იყო კვლევის მიზანი?
   ვ. შენ როგორ ფიქრობ, რას ნიშნავს სიტყვა „ტოლერანტი“? რა არის „ტოლერანტობა“?

2. **წაიკითხე და შემოხაზე სწორი ვარიანტი. მოისმინე და შეამოწმე შენი პასუხები.**

„ტოლერანტობის“ საერთაშორისო დღე აღინიშნება:
- წელიწადში ორჯერ
- ყოველი წლის გაზაფხულზე
- ყოველი წლის 16 ნოემბერს

„ტოლერანტი“ სიტყვასიტყვით ნიშნავს:
- ატანას (მოთმინებას)
- თანასწორობას
- სინანულს

ამ დღის აღნიშვნა დაიწყო:
- 1946 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის ინიციატივით
- 1996 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის ინიციატივით
- 2006 წელს იუნესკოს გენერალური კონფერენციის გადაწყვეტილებით

3. **თავიდან გადახედე ფორუმს (მოსწ. წიგნი, გვ.87 ) და შეასრულე მითითებები.**

   ა. *უპასუხე შეკითხვებს.*
   - რის შესახებ მსჯელობენ ფორუმზე?
   - რა არის პრობლემა?
   - ვინ სვამს ამ პრობლემას და როგორია თავად მისი ავტორის პოზიცია?
   - არსებობს თუ არა განსხვავებული აზრი?
   - რაში მდგომარეობს ის?

   ბ. *გამოიყენე წიგნი, წაიკითხე და ჩაწერე, ვის ეკუთვნის მოცემული აზრი.*
   1. ერთეული ადამიანები ქმნიან საზოგადოებას. ______________________________
   2. პრობლემები არსებობს, მაგრამ შეფასება გადაჭარბებულია. ________________
   3. საზოგადოება არ იმსახურებს მსგავს შეფასებას. ____________________________
   4. ყველა ადამიანი თანასწორუფლებიანია! __________________________________
   5. შეუძლებელია ამ ქვეყანას ტოლერანტობის პრობლემა ჰქონდეს! _____________
   6. ეს ერთეული ადამიანების პრობლემაა. ________________________________
   7. ადამიანებმა დაკარგეს სიყვარულის გრძნობა. ____________________________

*გ. გადახაზე ზედმეტი სიტყვა.*

- გაზვიადებული გადაჭარბებული გადიდებული მომეტებული
- შემნდობი მიმნდობი მიმტევებელი შემწყნარებელი

*დ. შემოხაზე, რომელი მნიშვნელობით არის ნახმარი ხაზგასმული სიტყვა ფრაზაში.*

ტოლერანტობა XXI საუკუნის გამოწვევაა.

1. გამოძახება, გამოხმობა, დაბარება.
2. გადატ. წინადადების მიცემა გაჰყვეს რაიმე საქმეში (შეჯიბრებაში, ბრძოლაში...)
3. გაღიზიანება, შარში აყოლიება.
4. გადატ. რაიმეს წარმოქმნა, რაიმეს აღძვრა.
5. თანამდებობიდან პიროვნების გადაყენების პროცედურა (მაგ., ელჩები გამოიწვიეს.)

*ე. დაუბრუნდი ფორუმს და მისი გამოყენებით შეავსე მოცემული სქემა. ჩაწერე თითოეული ფორუმელის მთავარი სათქმელი.*

**ეკა ნინუა:** ______________________

**ანდრო:** ______________________

**პრობლემა:** ______________________

**ლალი:** ______________________

**კობა ზ.:** ______________________

*ვ. გააცნი კლასელებს და შეადარე მათ ვარიანტებს. იმსჯელეთ არსებულ განსხვავებებზე.*

**1. შეავსე ცხრილი მეწყვილესთან ერთად მოცემული მითითებების გათვალისწინებით.**

- დააკავშირე მოცემული სიტყვები განმარტებებთან და ჩაწერე.
- მოიფიქრე სათანადო მაგალითი ისტორიიდან ან რეალური ყოფიდან და ჩაწერე შესაბამის ადგილას.

*ეთნოცენტრიზმი დისკრიმინაცია რასიზმი*

| **განმარტება** | **კონკრეტული მაგალითი** |
| --- | --- |
| ეს ნიშნავს ადამიანების უთანასწორო, არასამართლიან მოპყრობას. ის შეიძლება იყოს: რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური და ა.შ. ______ | |
| ის ემყარება კანის ფერის, ეთნიკური ან რელიგიური კუთვნილების საფუძველზე ადამიანების ჩაგვრას, მათზე ძალადობას. ______ | |
| სხვა კულტურებისა და ხალხების მხოლოდ საკუთარი პოზიციიდან შეფასება. ______ | |

**2. გააცანით ერთმანეთს თქვენი ვარიანტები და შეადარეთ. განიხილეთ მოყვანილი მაგალითები და შეაფასეთ, რამდენად სწორად არის ისინი შერჩეული.**

**3. შემოხაზე სწორი ვარიანტი და შეასრულე მითითება.**

<u>რასობრივი დისკრიმინაცია</u> არის:

1. რასებს შორის პირველობისათვის ბრძოლა.
2. ადამიანების რასებად დაყოფა.
3. რომელიმე რასის უუფლებო მდგომარეობა და დევნა.

*განმარტე, რა არის:*

- **ეთნიკური დისკრიმინაცია**? ______
- **რელიგიური დისკრიმინაცია?** ______

**4. დაადასტურე ან უარყავი მოცემული დებულებები. და გაამყარე შენი პოზიციები სათანადო არგუმენტებით. გააცანით ერთმანეთს თქვენი არგუმენტები და იმსჯელეთ მათ შესახებ.**

I. *დისკრიმინაციის მიზეზი ყოველთვის იქნება განსხვავებული კულტურა, წარმომავლობა, ენა და ა.შ.*

II. *„ერთ დღეს რომ გავიღვიძოთ და ყველა ერთი რასის, აღმსარებლობისა და კანის ფერისა ვიხილოთ, მაინც ვიპოვით მიზეზებს ცრურწმენისთვის“. – ჯორჯ აიტკენი*

III. *„სიმამაცის ტესტი დგება მაშინ, როცა ჩვენ უმცირესობაში ვართ, ტოლერანტობის ტესტი კი – უმრავლესობაში ყოფნისას“, – რალფ უ. სოკმენი*

## იუნესკოს „ტოლერანტობის პრინციპთა დეკლარაცია"

**1. გამოიყენე წიგნი და შეასრულე მოცემული მითითებები.**

ა. *რა არის პრეამბულა? წაიკითხე და შემოხაზე სწორი ვარიანტი.*
პრეამბულა არის მნიშვნელოვანი აქტის, საერთაშორისო შეთანხმების, ხელშეკრულების:

- შესავალი ნაწილი
- ძირითადი ნაწილი
- დასკვნითი ნაწილი

ბ. *რა არის მოცემული იუნესკოს „ტოლერანტობის პრინციპთა დეკლარაციის" პრეამბულაში (საუბარია წიგნში მოცემული ნაწყვეტის მიხედვით)? წაიკითხე და შემოხაზე ყველა სწორი ინფორმაცია.*

- მოყვანილია ამონარიდები სხვადასხვა საერთაშორისო აქტიდან;
- საუბარია შესაძლო საფრთხეებზე;
- დასახულია პრობლემის გადაჭრის გზები;
- შეხსენებულია წევრი სახელმწიფოების ვალდებულებები;
- ხაზგასმულია საზოგადოებაში ტოლერანტობის დამკვიდრების აუცილებლობა;
- თითოეული წევრი სახელმწიფოსათვის მოცემულია კონკრეტული შესასრულებელი ამოცანები.

გ. *რის შესახებ არის საუბარი ძირითად ტექსტში?*

დ. *დაუბრუნდი ძირითად ტექსტს და უპასუხე შეკითხვებს.*

- რის შესახებ არის საუბარი პირველ აბზაცში?
- ვინ არიან მეორე, მესამე და მეოთხე აბზაცების ადრესატები?
- რა არის სახელმწიფოს მთავარი ფუნქცია?
- რა კავშირია სახელმწიფოს, ტოლერანტობასა და მშვიდობას შორის?
- რა უპირატესობა აქვს მასმედიას?
- რას უნდა დაეფუძნოს საგანმანათლებლო პოლიტიკა? რა არის მისი მიზანი?

**2. აირჩიე სწორი ვარიანტი და ჩაწერე გამოტოვებულ ადგილას.**

ა. *სახელმწიფომ ყველასთვის უნდა ______________ თანაბარი შესაძლებლობები. (კათილი ინებოს / უზრუნველყოს / სცადოს).*

ბ. *საგანმანათლებლო პოლიტიკამ ხელი უნდა ______________ ტოლერანტობის დამკვიდრებას. (შეუშალოს / გაუწოდოს / შეუწყოს).*

გ. *სკოლამ უნდა ______________ (აღზარდოს / გაზარდოს / ასწავლოს) ისეთი მოქალაქეები, რომელთაც ექნებათ უნარი, ______________ (გაჭრან, გადაჭრან, გახსნან) კონფლიქტები არაძალადობრივი გზით.*

**3. მოძებნე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები და ამოწერე.**

<u>პრეამბულაში:</u>

ა. საერთო, საზოგადო, ______________

ბ. გადმოცემა, გამოსახვა, ______________-

გ. შევიწროებული, შებოჭილი, ______________-

ძირითად ტექსტში:

ა. სიკეთე, ლმობიერება, გულკეთილობა, ______________________________

ბ. წყალობა, დახმარება; სიკეთე, ______________________________

**4. შემოხაზე, რა მნიშვნელობით არის ნახმარი მოცემული სიტყვა კონტექსტის მიხედვით.**

*ტოლერანტობა არ არის დათმობა, მოწყალება ან შეწყნარება.*

დათმობა:

1. სხვის სასარგებლოდ რამეზე ხელის აღება, ნებით მიცემა, დანებება.
2. ანგარიშის გაწევა ვინმესთვის; დათანხმება, კომპრომისი.
3. მიტოვება, დატოვება, შელევა.

შეწყნარება:

1. ყურადღება (ვედრებისა, თხოვნისა...), შეწყალება, შესმენა.
2. სასჯელის შემსუბუქება, პატიება, შეწყალება.
3. დაშოშმინება, დამშვიდება, დაწყნარება.

**5. როგორ გესმის მოცემული ფრაზები? განმარტე შენი სიტყვებით და გააცანი კლასელებს.**

ა. ტოლერანტობა თავისუფლებაა მრავალფეროვნებაში.

______________________________________________________________

ბ. ტოლერანტობის გარეშე შეუძლებელია მშვიდობა, ხოლო მშვიდობის გარეშე შეუძლებელია განვითარება ან დემოკრატია.

______________________________________________________________

______________________________________________________________

______________________________________________________________

**6. შეავსე წინადადებები გამოტოვებული კავშირებით და შეასრულე მითითებები.**

ა. მან უნდა აღზარდოს ისეთი მოქალაქეები, ______________ ექნებათ უნარი, აღიქვან სხვა კულტურები.

ბ. ტოლერანტობა სათნოებაა, ______________ ომის კულტურის მშვიდობის კულტურით შეცვლას განაპირობებს.

გ. ტოლერანტობა ნიშნავს სურვილს, მიიღო და ან მოითმინო განსაკუთრებით ის ქცევა ან აზრები, ______________არ ეთანხმები, ან მოიქცე სწორად იმათთან, __________ __________ არ არის ისეთი, როგორიც – შენ.

- დაასახელე მთავარი და დამოკიდებული წინადადებები.
- მიუთითე დამოკიდებული წინადადების ადგილი.
- მიუთითე მთავარი წინადადების ის წევრი, რომელსაც ეწყობა წევრ-კავშირი რიცხვში.
- დაასახელე დამოკიდებული წინადადების ის წევრი, რომელსაც ეწყობა წევრ-კავშირი ბრუნვაში.
- დაუბრუნდი წინადადებაში მოცემულ წევრ-კავშირს და დაასახელე, რომელ ბრუნვაშია ის ცალკეულ შემთხვევაში.

## ბოშათა პორტრეტები

**1. გამოიყენე წიგნში მოცემული ტექსტი (გვ.90 ) და უპასუხე შეკითხვებს.**

**ა.** მსოფლიოს რამდენ ქვეყანაში ცხოვრობენ ბოშები?
**ბ.** ძირითადად, სად არიან ისინი განსახლებულები?
**გ.** რა მოხდა 1971 წელს?
**დ.** როდის აღინიშნება ბოშათა საერთაშორისო დღე?
**ე.** სად მოიწვიეს ბოშათა პირველი საერთაშორისო კონგრესი?
**ვ.** რა მოხდა კონგრესზე?
**ზ.** რას მიანიშნებს დროშაზე გამოსახული ბორბალი?
**თ.** რისი სიმბოლოა დროშის ფერები?
**ი.** რა კავშირი აქვთ ბოშებს ინდოეთთან?
**კ.** როდის დატოვეს მათ ინდოეთი და სად დასახლდნენ პირველად?

**2. დაადასტურე ან უარყავი მოცემული ინფორმაცია და დაასაბუთე შენი პასუხი ტექსტის მიხედვით.**

**ა.** ბოშები ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი ერია მსოფლიოში. ________

**საიდან ჩანს?** ____________________________________________

____________________________________________

**ბ.** ისინი თითქმის მთელ მსოფლიოში არიან განფენილები. ________

**საიდან ჩანს?** ____________________________________________

____________________________________________

**გ.** ბოშათა საერთაშორისო დღე ევროპელი ბოშების დაარსებულია. ________

**საიდან ჩანს?** ____________________________________________

____________________________________________

**დ.** მსოფლიოში მცხოვრები ყველა ბოშა ერთ ენაზე საუბრობს. ________

**საიდან ჩანს?** ____________________________________________

____________________________________________

**ე.** ბოშები მოხეტიალე ცხოვრებას მისდევენ. ________

**საიდან ჩანს?** ____________________________________________

____________________________________________

**3. დაუბრუნდი ტექსტს და შეასრულე მითითებები.**

**ა.** *დააკონკრეტე თითოეული აბზაცის ძირითადი სათქმელი. რის შესახებ არის ცალკეულ აბზაცში საუბარი?*

I. ____________________________________________
II. ____________________________________________
III. ____________________________________________
IV. ____________________________________________
V. ____________________________________________

*ბ. შეავსე სათანადო ინფორმაციით და წაიკითხე.*

ნაციონალური სიმბოლოები

| ჰიმნი | დროშა |
| --- | --- |
| **სათაური:** ___ | **ფერები:** ___ |
| **რას ეყრდნობა:** ___ | **ფერთა სიმბოლიკა:** ___ |
| **თავისებურება:** ___ | **ბორბალი:** ___ |
| **ტექსტი:** ___ | **მისი ფუნქცია:** ___ |
| **მელოდია:** ___ | |

**4. განმარტე ხაზგასმული სიტყვები კონტექსტის მიხედვით და გააცანი კლასელებს.**

*კაცები ხელშეუხებელი ავტორიტეტით სარგებლობდნენ, ხაზგასმულ პატივს მიაგებდნენ ოჯახის უფროს წევრებსაც.*

ა. ___

ბ. ___

**5. შეავსე წინადადებები გამოტოვებული კავშირებით და შეასრულე მითითებები.**

ა. არსებობს ტექსტის რამდენიმე ვარიანტი, ___ მხოლოდ პირველი სტროფი და მისამღერი აქვს ერთნაირი.

ბ. ბოშები საუბრობენ ბოშების ენაზე, ___ რამდენიმე დიალექტად იყოფა. ასევე საუბრობენ იმ ერების ენებზეც, ___ შორისაც მომთაბარეობენ და ცხოვრობენ.

გ. ბოშათა საერთაშორისო დღე, ___ 8 აპრილს აღინიშნება, 1971 წელს ლონდონში შეკრებილმა ბოშათა პირველმა საერთაშორისო კონგრესმა დააწესა.

- დაასახელე მთავარი და დამოკიდებული წინადადებები.
- მიუთითე დამოკიდებული წინადადების ადგილი.
- მიუთითე მთავარი წინადადების ის წევრი, რომელსაც ეწყობა წევრ-კავშირი რიცხვში.
- დაასახელე დამოკიდებული წინადადების ის წევრი, რომელსაც ეწყობა წევრ-კავშირი ბრუნვაში.
- დაუბრუნდი წინადადებაში მოცემულ წევრ-კავშირს და დაასახელე, რომელ ბრუნვაშია ის ცალკეულ შემთხვევაში.

**1. რით დაიწყო მომთაბარე ბოშებთან ურთიერთობა, როგორ გაგრძელდა და რით დამთავრდა? უპასუხე წიგნში მოცემულ ტექსტზე დაყრდნობით (გვ. 92).**

**ასე დაიწყო:**

**ასე გაგრძელდა:**

**ასე დასრულდა:**

**2. იმსჯელეთ მოცემული თემის გარშემო. დაასაბუთე შენი პოზიცია სათანადო არგუმენტებით. გაავლე პარალელი ბოშების ისტორიასთან.**

ყველა ადამიანს განვითარების თანაბარი შესაძლებლობა აქვს. განსხვავება მაშინ ჩნდება, როცა ისინი არათანაბარ პირობებში ხვდებიან.

**3. უპასუხე შეკითხვებს წიგნის მიხედვით (გვ. 93).**

**ა.** რა არის წერილის სათაური?

**ბ.** ვის (ან რას) ეხება წერილი?

**გ.** ვინ არის წერილის ავტორი?

**დ.** რა არის წერილის გავრცელების წყარო?

**4. დაუბრუნდი წერილს და შეასრულე მითითებები.**

*ა. დააკონკრეტე თითოეული აბზაცის ძირითადი სათქმელი. რის შესახებ არის ცალკეულ აბზაცში საუბარი?*

I. ______

II. ______

III. ______

IV. ______

V. ______

VI. ______

*ბ. დაუბრუნდი I აბზაცს და უპასუხე შეკითხვებს.*
- ვის მსვლელობას აღწერს ავტორი?
- სად ხდება მოქმედება?
- სადაურები არიან მომთაბარე ბოშები?
- რა ხდება ჭასთან დაბანაკებისას?
- განმარტე, როგორია „ღაჟღაჟა“ ტანისამოსი?

*გ. უპასუხე II და III აბზაცების მიხედვით.*
- რა ჰქვია ფილმ-მიუზიკლს?
- ვინ არის მისი რეჟისორი და რა ინფორმაცია არსებობს მის შესახებ წერილში?
- რატომ იწყება ფილმი რაჯასტანის უდაბნოდან? რა მიზანი აქვს ავტორს? გაიხსენე ინფორმაცია ბოშათა წარმომავლობის შესახებ და ისე უპასუხე შეკითხვას.
- სად მთავრდება ბოშათა მოგზაურობა?
- რა გასდევს მთელ ფილმს?

*დ. რისი თქმა სურდა რეჟისორს ამ ფილმით?*

*ე. როგორები არიან ტონი გატლიფის ბოშები?*

*ვ. რას ამბობს თავად წერილის ავტორი ბოშებისა და მათი კულტურის შესახებ? ეთანხმები თუ არა წერილის ავტორს ამ შეფასებაში? გამოკვეთე შენი პოზიცია.*

**5. შეაგროვე დამატებითი ინფორმაცია საქართველოში მცხოვრები ბოშების შესახებ და გააცანი კლასელებს.**

## წაკითხულის გააზრება

1. ატიკუს ფინჩის აზრით, რატომ არ სჭირდებოდა სასამართლოს სერიოზული კვლევა სიმართლის დასადგენად? (უპასუხე I აბზაცის მიხედვით)

___

___

2. რატომ იყო ბრალდება დაუსაბუთებელი? (უპასუხე I აბზაცის მიხედვით)

___

___

3. შენი აზრით, რისი იმედი ჰქონდათ მოწმეებს, რომლებმაც საეჭვო ჩვენებები მისცეს სასამართლოს?

___

___

___

4. ამოიწერეთ II აბზაციდან ორი ზედსართავი სახელი, რომლებიდანაც ჩანს ატიკუს ფინჩის უარყოფითი დამოკიდებულება მოწმეების პოზიციის მიმართ.

___

5. ატიკუს ფინჩის თქმით, მოწმეებს აქვთ "მახინჯი მოსაზრება". რისი თქმა უნდა ამით ადვოკატს?

___

6. II აბზაცზე დაყრდნობით უპასუხე, რა მიაჩნია ატიკუსს ჭეშმარიტებად, რომელიც მთელ კაცობრიობაზე ვრცელდება?

   ა) ცალკეული რასების ყველა ადამიანი არის მატყუარა და უზნეო;
   ბ) ცალკეული რასების ზოგიერთი ადამიანი არის მატყუარა და უზნეო;
   გ) ყველა რასის ყველა ადამიანი არის მატყუარა და უზნეო;
   დ) ყველა რასის ზოგიერთი ადამიანი არის მატყუარა და უზნეო.

7. IV აბზაცში ატიკუს ფინჩი მსჯელობს ამერიკული სასამართლოების შესახებ. შემოხაზე წინადადება, რომელიც შეესატყვისება ადვოკატის აზრს:

   ა) ყველა ადამიანი თანასწორია მხოლოდ სასამართლოში;
   ბ) ყველა ადამიანი თანასწორია ნებისმიერ გარემოებაში;
   გ) ყველა ადამიანი განსხვავებულია სასამართლოში;
   დ) ყველა ადამიანი განსხვავებულია ნებისმიერ გარემოებაში.

8. II ფრაგმენტში მოყვანილია ატიკუს ფინჩის სიტყვები: „ეს მაფიქრებინებს, რომ, ვინ იცის, იქნებ, ეს დასაწყისიც კია...". შენი აზრით, რისი თქმა უნდა ამით ატიკუსს?

___

___

___

**9. V აბზაცში ვკითხულობთ ატიკუს ფინჩის სიტყვებს: "მე იდეალისტი არ ვარ და ამიტომ დარწმუნებით ვერ ვიტყვი, რომ არსებული სასამართლო უნაკლოა". აქედან უნდა დავასკვნათ, რომ იდეალისტი არის ის, ვინც:**

ა) ნაკლს ვერ ხედავს;
ბ) ნაკლს ხედავს;
გ) უნაკლოა;
დ) არ არის უნაკლო.

**10. V აბზაცში ვკითხულობთ: "სასამართლო იმდენადაა სანდო, რამდენადაც სანდოა მსაჯულთა საბჭო". აქედან უნდა დავასკვნათ, რომ:**

ა) რაც უფრო მეტი სამართლიანი ადამიანია მსაჯულთა საბჭოში, მით უფრო სანდოა სასამართლო;
ბ) რაც უფრო მეტი სამართლიანი ადამიანია მსაჯულთა საბჭოში, მით უფრო ნაკლებად სანდოა სასამართლო
გ) რაც უფრო მეტი უსამართლო ადამიანია ნაფიც მსაჯულთა საბჭოში, მით უფრო სანდოა სასამართლო;
დ) რაც უფრო მეტი უსამართლო ადამიანია ნაფიც მსაჯულთა საბჭოში, მით უფრო სანდოა სასამართლო.

**11. II ფრაგმენტიდან ვიგებთ, რომ ერთმა ნაფიცმა მსაჯულმა შეძლო რასისტული შეხედულებისაგან გათავისუფლება. მთლიანი ტექსტის მონაცემებზე დაყრდნობით, დაასახელე სხვა ადამიანები, რომლებსაც არ აქვთ რასისტული შეხედულებები.**